

აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის სახელობის
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

ექსპერიმენტული და კლინიკური

მედიცინა

№2

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის, სტომატოლოგიის,
სახოგალეოპრივი ჯანდაცვისა და ფარმაციის ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოების მიერ
ჟურნალი ჩართულია სამეცნიერო გამოცემების ნუსხაში, სადაც რეკომენდებულია სადისერტაციო
ნაშრომის ფრაგმენტების გამოქვეყნება

გამოქვეყნებული სტატიების რეფერატები იბეჭდება საქართველოს ტექნიკური
„ქართულ რეფერატულ ჟურნალში“

თბილისი 2021

მთავარი რედაქტორი: ასოც. პროფესორი ნატო კორსანტია

გამომცემელი: პროფესორი ჯ.სილაბაძე

სარედაქციო კოლეგია: ნინო კორსანტია, ნატო კორსანტია, ზ.კადაჭკორია, ჯ.სილაბაძე, რ.შაქარაშვილი, მ.ხუბუთია (მოსპოვი)

სარედაქციო საბჭო:

ო.აბრამოვიჩი (უკრაინა)	ა.ლ.თელია	დ.მიქელაძე
ა.აზნაშვიანი (სომხეთი)	ი.იორდანიანი (ბულგარეთი)	ბ.მოსიძე
ა.ბაკურიძე	ზ.კაციტაძე	ვ.საპინი (რუსეთი)
ი.ბელეცკაია (რუსეთი)	ი.კვაჭაძე	ო.სლეზაკი (სლოვაკეთი)
ბ.ბეჟია	დ.კორძია	ნ.ჟიფშიძე (აშშ)
ც.ბაბინძე	ა.ლარიანი (უკრაინა)	ი.ვანცულაია
ლ.გობიაშვილი	ნ.ლომიძე	ვ.შაღლინსკი (აზერბაიჯანი)
ი.ბოდუნიანი (უკრაინა)	პ.ლუკინიანი (გერმანია)	ზ.ცაგარელი
ს.დალაძეშვილი	თ.მაჭავარიანი	ნ.ჭიჭინაძე
დ.დელისტრატი (აშშ)	ნ.მთაბვარია	

დამფუძნებელი - შპს “ინტერფარმი”

სამეცნიერო-სარედაქციო მხარდაჭერა:

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ივ.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მთავარი რედაქტორი: nkorsantia@yahoo.com (995 599) 53 03 76

რედაქცია: 0161, თბილისი, კოსტავას ქ. №67
შპს “ინტერფარმი⁺” (995 597) 92 71 71

journals.4science.ge
www.jecm.ge; www.interpharm.edu.ge

НАУЧНО-ПРАКТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ
ЖУРНАЛ ИМ. НИНО ДЖАВАХИШВИЛИ

ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНАЯ И КЛИНИЧЕСКАЯ
МЕДИЦИНА

№2

ДИССЕРТАЦИОННЫМИ СОВЕТАМИ ФАКУЛЬТЕТОВ МЕДИЦИНЫ, СТОМАТОЛОГИИ,
ОБЩЕСТВЕННОГО ЗДРАВООХРАНЕНИЯ И ФАРМАЦИИ ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО
МЕДИЦИНСКОГО УНИВЕРСИТЕТА ЖУРНАЛ ВКЛЮЧЕН В СПИСОК НАУЧНЫХ ИЗДАНИЙ,
РЕКОМЕНДУЕМЫХ ДЛЯ ПУБЛИКАЦИИ ФРАГМЕНТОВ ДИССЕРТАЦИОННЫХ ТРУДОВ

РЕЗЮМЕ ОПУБЛИКОВАННЫХ СТАТЕЙ ПЕЧАТАЮТСЯ В
“ГРУЗИНСКОМ РЕФЕРАТИВНОМ ЖУРНАЛЕ” ТЕХИНФОРМА

ТБИЛИСИ 2021

ГЛАВНЫЙ РЕДАКТОР: АССОЦ. ПРОФЕССОР НАТО КОРСАНТИЯ

ИЗДАТЕЛЬ: ПРОФЕССОР ДЖ.СИЛАГАДЗЕ

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: НИНО КОРСАНТИЯ, НАТО КОРСАНТИЯ, З.ВАДАЧКОРИЯ,
ДЖ.СИЛАГАДЗЕ, Р.ШАКАРИШВИЛИ, М.ХУБУТИЯ (Москва)

РЕДАКЦИОННЫЙ СОВЕТ:

О.АБРАГАМОВИЧ (Украина)	А.Л.ТЕЛИЯ	Д.МИКЕЛАДЗЕ
А.АЗНАУРЯН (Армения)	И.ИОРДАНОВ (Болгария)	Б.МОСИДЗЕ
А.БАКУРИДЗЕ	З.КАЦИТАДЗЕ	М.САПИН (Россия)
Л.БЕЛЕЦКАЯ (Россия)	И.КВАЧАДЗЕ	И.СЛЕЗАК (Словакия)
Г.БЕКАЯ	Д.КОРДЗАЯ	И.ПАНЦУЛАЯ
Ц.ГАГНИДЗЕ	А.ЛАРИН (Украина)	Н.КИПШИДЗЕ (США)
Л.ГОГИАШВИЛИ	Н.ЛОМИДЗЕ	З.ЦАГАРЕЛИ
Ю.ГОДОВАНЕЦ (Украина)	Р.ЛУНКЕНХЕЙМЕР (Германия)	Н.ЧИЧИНАДЗЕ
С.ДАЛАКИШВИЛИ	Т.МАЧАВАРИАНИ	В.ШАДЛИНСКИЙ (Азербайджан)
Д.ДЕЛИСТРАТИ (США)	Н.МИТАГВАРИЯ	

УЧРЕДИТЕЛЬ – ООО “ИНТЕРФАРМ”

НАУЧНО-РЕДАКЦИОННАЯ ПОДДЕРЖКА:

ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ МЕДИЦИНСКИЙ УНИВЕРСИТЕТ

ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ ИМ. ИВ.ДЖАВАХИШВИЛИ

ГЛАВНЫЙ РЕДАКТОР: nkorsantia@yahoo.com (995 599) 53 03 76

РЕДАКЦИЯ: 0171, ТБИЛИСИ, УЛ.КОСТАВА №67
ООО “ИНТЕРФАРМ” (995 597) 92 71 71

journals.4science.ge
www.jecm.ge; www.interpharm.edu.ge

NINO JAVAKHISHVILI
SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL

**EXPERIMENTAL & CLINICAL
MEDICINE**

№2

BY THE DISSERTATION COUNCILS OF THE MEDICINE, STOMATOLOGY, PUBLIC HEALTH AND
PHARMACY FACULTIES AT TBILISI STATE MEDICAL UNIVERSITY, JOURNAL IS INCLUDED IN A
LIST OF SCIENTIFIC EDITIONS RECOMMENDED FOR PUBLISHING OF THE DISSERTATION
FRAGMENTS

Abstracts of articles are published in “Georgian Ref. Journal” (www.tech.caucasus.net)

TBILISI 2021

EDITOR- IN- CHIEF: ASSOCIATE PROFESSOR NATO KORSANTIA

PUBLISHER: PROFESSOR J.SILAGADZE

EDITORIAL BOARD: NINO KORSANTIA, NATO KORSANTIA, Z.VADACHKORIA,
J.SILAGADZE, R.SHAKARISHVILI, M.KHUBUTIA (Moscow)

EDITORIAL COUNCIL:

O.ABRAHAMOVYCH (Ukraine)	AL.TELIA	D.MIKELADZE
A.AZNAURIAN (Armenia)	Y.YORDANOV (Bulgaria)	B.MOSIDZE
A.BAKURIDZE	Z.KATSITADZE	M.SAPIN (Russia)
G.BEKAIA	I.KVACHADZE	J.SLEZAK (Slovakia)
L.BELETSKAIA (Russia)	D.KORDZAIA	I.PANTSULAIA
TS.GAGNIDZE	A.LARIN (Ukraine)	N.KIPSHIDZE (USA)
L.GOGIASHVILI	N.LOMIDZE	V.SHADLINSKI (Azerbaijan)
Y.HODOVANETS (Ukraine)	R.LUNKENHEIMER (Germany)	Z.TSAGARELI
S.DALAKISHVILI	T.MACHAVARIANI	N.CHICHINADZE
D.DELISTRATY (USA)	N.MITAGVARIA	

THE FOUNDER OF THE JOURNAL LTD “INTERPHARM”

SCIENTIFIC SUPPORT: TBILISI STATE MEDICAL UNIVERSITY
TBILISI Iv.JAVAKHISHVILI STATE UNIVERSITY

EDITOR-IN-CHIEF: nkorsantia@yahoo.com (995 599) 53 03 76

EDITORIAL OFFICE: 67, KOSTAVA St., TBILISI, GEORGIA, 0171

UNIVERSITY “INTERPHARM”, (995 597) 92 71 71

journals.4science.ge
www.jecm.ge; www.interpharm.edu.ge

<i>კ. ხარაბაძე; დ. კობეშავიძე</i>	13
ბაქტერიული ვაგინოზის მკურნალობის ოპტიმიზაციის შესახებ	
<i>შ. კეპულაძე; ი. კობრიძე; გ. ბურკაძე</i>	17
ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაციის თავისებურებები სხვადასხვა მოლეკულური ქვეტიპის მქონე სადინროვანი ინვაზიური კარცინომის პირველად კერასა და მეტასტაზურ ლიმფურ კვანძებში (კრიტიკული მიმოხილვა)	
<i>რ. თაბუკაშვილი, ვ. კაპეტივაძე, მ. ყუფარაძე, თ. ლაზაშვილი, ზ. მაღლაფერიძე, ი. ავალიანი</i>	25
ფიზიკური სტრეს-ტესტით ინდუცირებული უსიმპტომო იშემიის ზოგიერთი კლინიკური თავისებურება	
<i>ნატო კორსანტია, ა.კაციტაძე, ნ.კილაძე, ნ.ცისკარიშვილი, მ.თევზაძე, ნ.ადამაშვილი, ნინო კორსანტია</i>	31
ჟიბერის ვარდისფერი პიტირიაზი მარტივი ჰერპესის ფონზე (კლინიკური შემთხვევა)	
<i>თ.გოგიჩაძე, ე.მისაბიშვილი, გ.გოგიჩაძე</i>	36
პლაზმური მემბრანების პერფორაციები, როგორც სიმსივნური ტრანსფორმაციის საწყისი ეტაპი	
<i>ნ. თევზაძე, ს. გიორგაძე, ნ. გუჯაბიძე, რ. რუხაძე</i>	40
აპოპტოზის უჯრედგარე სასიგნალო გზის მოლეკულები მწიფე ერითროციტებში (მოკლე მიმოხილვა)	
<i>თ.მუზაშვილი, მ.გაჩეჩილაძე, გ.ბურკაძე</i>	47
BRAF/V600E მუტაციისა და სიმსივნისშიდა იმუნური მიკროგარემოს თავისებურებები ფარისებრი ჯირკვლის პაპილურ კარცინომაში ჰასიმოტოს თირეოიდიტის თანაარსებობით	
<i>დ. კობეშავიძე; კ. ხარაბაძე</i>	56
საკვერცხეების ფუნქციონალური კისტების მართვის ასპექტები	
<i>თ. ზარქუა, ი.კეკელიძე, ვ. თედიაშვილი, ი. წურწუმია, ლ.ლომიძე</i>	61
ნექსიუმის მარკეტინგული კვლევა	

<i>ი.გ. წურწუშია., თ.პ.მაქაცარია., ა.ჯ.ბაკურიძე</i>	65
ჰიგიენური კოსმეტიკური კრემის რეცეპტურისა და ტექნოლოგიის შემუშავება	
<i>თ.გოგიჩაძე, ე.მისაბიშვილი, გ.გოგიჩაძე</i>	70
კიბოს ინდუქციის შესაძლებლობა ალოტრანსპლანტაციების შემთხვევაში	
<i>G.JACCARD, D.TAFIN DJOKO, O.MOENNIKES, C.JEANNET, A.KONDYLIS, M.BELUSHKIN</i>	74
Comparative assessment of HPHC yields in the Tobacco Heating System THS2.2 and commercial cigarettes	
<i>თ.ზარქუა, გ.ქურციკიძე, ი.კეკელიძე, ი.წურწუშია, ლ.ლომიძე</i>	84
პარკინსონის დაავადების სამკურნალო მედიკამენტების მარკეტინგული ანალიზი	
<i>ნ.ცაგარეიშვილი, ა.ბაკურიძე, ნ.ქურდიანი, ნ.ქურდიანი, ნ.ახალაძე, გ.მიქაია</i>	88
ტუჩის ბალზამის რეცეპტურისა და ტექნოლოგიის შემუშავება	
<i>რ. ბოლქვაძე, ვ. ქაშიბაძე, ა. ცალუღელაშვილი, ზ. ჩომახაშვილი, თ. ცეცხლაძე, გ. ჟღენტი, ნ. ზოსიძე, დ. ჯინჭარაძე</i>	93
ნაღვლის გამომყოფი სისტემის ექსტრაჰეპატური ნაწილის ანატომიური თავისებურებები (ლიტერატურის მიმოხილვა)	
<i>N.TSAGAREISHVILIT, N.KURDIANI, G.MIKAIA, A.MAISURADZE, N.IMNADZE</i>	99
DEVELOPMENT OF COSMETIC LIPOSOMAL GEL	



კ. ხარაბაძე; დ. კობეშავიძე
ბაქტერიული ვაგინოზის მკურნალობის ოპტიმიზაციის შესახებ
თსუ მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი,
შ.პ.ს. “იმედის კლინიკა”, თბილისი, საქართველო

K. KHARABADZE; D. KOBESHAVIDZE
OPTIMIZATION OF TREATMENT OF BACTERIAL VAGINOSIS

Department of Obstetrics and Gynecology TSMU,
Ltd „Imedi Clinic”, Tbilisi, Georgia

SUMMARY

Comparative analysis of 3 therapeutical schemes was made. 44 patients of the I group received simultaneously antibiotic and probiotic during 7 days, 42 patients of II group 7 days received antibiotic and next 1 week-probiotic. 40 patients of III group were using only antibiotic, during 7 days.

Both combinative schemes were characterized by the identical results. Monotherapy by antibiotic showed the less effectiveness and predisposition for recidives.

ბაქტერიული ვაგინოზი (ბვ) წარმოადგენს ქალის სასქესო ტრაქტის ფართოდ გავრცელებულ პათოლოგიას. მას განსაზღვრავენ, როგორც ინფექციურ არაანთებით სინდრომს, რომელსაც თან ახლავს ფაკულტატურ-ანაერობული, პირობით-პათოგენური მიკროორგანიზმების ძალზედ მაღალი კონცენტრაცია საშოში, რძემჟავა ბაქტერიების (ლაქტობაქტერიების) რაოდენობის მკვეთრი შემცირების, თუ სრული გაქრობის ფონზე [7]. მისი სიხშირე დიდწილად დამოკიდებულია გამოკვლეული ქალების კონტინგენტზე, კერძოდ იგი გვხვება 24-37%-ში, ვენერიული დაავადებების მქონე ქალებში; 61-87%-ში პათოლოგიური გამონადენის მქონე პაციენტებში. ითვლება, რომ თითქმის ყველა ქალს ერთხელ მაინც ცხოვრებაში აღენიშნებოდა ბვ [4].

ბვ ასოცირებულია მრავალ სამეანო-გინეკოლოგიურ გართულებასთან. კერძოდ მას უკავშირდება ინფექციური გართულებები ჰისტერექტომიის და აბორტის შემდგომ [5], სასქესო ორგანოების ანთებითი პროცესები, ნაადრევი მშობიარობა, ლოგინობის ხანის ტოქსიკურ-სეპტიური პროცესები, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების მანიფესტაცია, პაპილომა ვირუსით ინდუცირებული საშვილოსნოს ყელის ნეოპლასტიური პროცესები [1,2,8]. ბვ-ს რეციდივები იწვევს ქალის ცხოვრების ხარისხის მკვეთრ დაქვეითებას და სპეციფიური ფსიქოსომატური გართულებების ჩამოყალიბებას.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ბვ-ს მკურნალობის საკითხებს. დღესდღეობით მიღებულია ბვ-ს თერაპიის ორ ეტაპიანი სქემა: I ეტაპი გულსხმობს ანტიბიოტიკის გამოყენებას პირობით-პათოგენური მიკროფლორის ჭარბი კოლონიზაციის დათრგუნვის მიზნით; II ეტაპზე კი ინიშნება პრობიოტიკები, საშოს ნორმობიოცენოზის აღდგენის მიზნით [4].

უკანასკნელ პერიოდში აღინიშნება პირობით-პათოგენური მიკროფლორის ანტიბაქტერიული რეზისტენტობის მომატების ტენდენცია. დადგენილ იქნა ხსენებული ბაქტერიების (*Gardnerella vaginalis*, *Prevotella bivia*) რეზისტენტობის ფორმირება ბვ-ის სამკურნალო I რიგის ანტიბიოტიკების მიმართ (მეტრონიდაზოლი, კლინდამიცინი) დაახლოებით 80% შემთხვევებში [3]. ამას გარდა, ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, ნორმალური მიკროფლორის დეფიციტი იწვევს ანტიმიკრობული თერაპიის დაბალ ეფექტურობას [6]. ყოველივე ზემოთქმულმა დღის

წესრიგში დააყენა ლაქტობაცილების (როგორც საშოს ნორმალური მიკროფლორის წარმომადგენლების) ზეგავლენის შესწავლა ანტიბიოტიკორეზისტენტობაზე. ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა ანტიბიოტიკოთერაპიის პოტენციურების ფენომენი, გამოწვეული ლაქტობაცილების შემცველი პრობიოტიკული შტამის მიერ.

ყოველივე ეს ქმნის ბგ-ის თერაპიის ეფექტურობის ზრდის პერსპექტივას ანტიბიოტიკისა და პრობიოტიკის ერთდროული გამოყენების გზით. უნდა გადაიხედოს ბგ-ს მკურნალობის თანამედროვე, 2 ეტაპიანი სქემა (ჯერ ანტიბიოტიკი, შემდეგ პრობიოტიკი).

ამგვარად, ბგ-ს მკურნალობისას ანტიბიოტიკის და პრობიოტიკის ერთდროული დანიშვნით მიღწეულ იქნება: პრობიოტიკული შტამის მეშვეობით ანტიბიოტიკის მოქმედების პოტენცირება; მკურნალობის კურსის ხანგრძლივობის შემცირება; პაციენტების უფრო მეტი ინიციატივა და ჩართულობა მკურნალობის პროცესში.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა ბგ-ის მკურნალობის მოდიფიცირებული სქემის (ანტიბიოტიკის და პრობიოტიკის ერთდროული დანიშვნა) ეფექტურობის შედარება არსებულ ორეტაპიან წესთან და მხოლოდ ანტიბიოტიკით მონოთერაპიასთან.

პაციენტების კვლევაში ჩართვის კრიტერიუმებს მიეკუთვნებოდა: ასაკი 18-დან 45 წლამდე; ბგ-ის ლაბორატორიულად და კლინიკურად დადგენილი დიაგნოზი; Amsel-ის კრიტერიუმით 4 ნიშნიდან როგორც მინიმუმ 3-ის არსებობა; რაიმე ვულვო-ვაგინალური ინფექციის (ბაქტერიული, სოკოვანი, ვირუსული) არარსებობა და შესაბამისი ანტიფუნგალური, ანტიტრიქომონადული პრეპარატების და ანტიბიოტიკების არმიღება უკანასკნელი 1 თვის განმავლობაში; ინფორმირებული თანხმობა.

დაკომპლექტდა 3 ჯგუფი: I ჯგუფი (n=44) იღებდა კლინდამიცინს (1 საშოს სანთელი ძილის წინ, 7 დღის განმავლობაში) და იმავდროულად ფლორაჯინს (1 საშოს სანთელი დილა-სადამოს, 7 დღის განმავლობაში). II ჯგუფის პაციენტები (n=42) I ეტაპზე იღებდნენ კლინდამიცინს (1 საშოს სანთელი ძილის წინ, 7 დღის განმავლობაში), ხოლო შემდგომ, II ეტაპზე ფლორაჯინს (1 საშოს სანთელი დილა-სადამოს, 7 დღის განმავლობაში). III ჯგუფის პაციენტები (n=40) იტარებდნენ მკურნალობას მხოლოდ კლინდამიცინით (1 საშოს სანთელი ძილის წინ, 7 დღის განმავლობაში).

სხვადასხვა ჯგუფში ჩატარებული მკურნალობის ეფექტურობის შედარებითი ანალიზი გულისხმობს შემდეგი კლინიკურ-ლაბორატორიული მონაცემების დინამიკის შესწავლას: ა) წვა და ქავილი ვულვის არეში; ჭარბი, მონაცრისფრო ფერის გამონადენი საშოდან; ბ) საშოს ექსუდატის pH-მეტრი; გ) ამინოტესტი, 10% KOH-ის დამატებით; დ) U, V, C ნაცხის მიკროსკოპიული გამოკვლევა (მათ შორის “საკვანძო უჯრედები”); ე) ბაქტერიოლოგიური კვლევა პრიორიტეტულად პირობით-პათოგენური მიკროფლორისა და ლაქტობაქტერიების კონცენტრაციის გამოსავლენად. შედარებითი ანალიზი მოიცავს აგრეთვე რეციდივებისადმი მიდრეკილების დადგენას.

აღნიშნული კლინიკურ-ლაბორატორიული მონაცემების დინამიკა ფასდებოდა მკურნალობის დამწყებიდან 2 კვირის შუალედში. ამასთან ერთად ხდებოდა სამივე ჯგუფში „ეფექტურად ნამკურნალევი“ პაციენტების განმეორებითი ტესტირება 3 თვის შემდგომ, შესაძლო რეციდივების გამოვლენის მიზნით.

ჯგუფებს შორის სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით სხვაობის სტატისტიკური დამაჯერებლობა ფასდებოდა სტიუდენტის კრიტერიუმის მიხედვით.

ჩატარებული მკურნალობის ფონზე კლინიკური ჩივილების (წვა და ქავილი ვულვის არემი) კუპირება მოხერხდა I ჯგუფში - 32 (72,7%) შემთხვევაში, II ჯგუფში – 30 (71,4%) შემთხვევაში, III ჯგუფში – 20 (50,0%) შემთხვევაში. (I-II ჯგ., $p>0,05$; I-IIIჯგ., $p<0,05$; II-IIIჯგ., $p<0,05$).

ჭარბი, მონაცრისფრო ფერის გამონადენი საშოდან შეუწყდა I ჯგუფის 29 (65,9%) პაციენტს, II ჯგუფის 28 (66,7%) ქალს და III ჯგუფის 18 (45,0%) ქალს. (I-II ჯგ., $p>0,05$; I-IIIჯგ., $p=0,05$; II-IIIჯგ., $p<0,05$).

საშოს შიგთავსის $pH<4,5$ მიღწეულ იქნა I ჯგუფის 37 (84,1%) შემთხვევაში, II ჯგუფის 37 (88,1%) პაციენტში და III ჯგუფის 30 (75,0%) შემთხვევაში (I-IIჯგ., $p>0,05$; I-IIIჯგ., $p>0,05$; II-IIIჯგ., $p>0,05$).

ამინოტესტი გახდა უარყოფითი I ჯგუფის 38 (86,4%) ქალში, II ჯგუფის 39 (92,9%) პაციენტში და III ჯგუფის 32 (80,0%) პაციენტში. (I-IIჯგ., $p>0,05$; I-IIIჯგ., $p>0,05$; II-IIIჯგ., $p>0,05$).

საშოს ნაცხის მიკროსკოპული კვლევით “საკვანძო უჯრედების” გაქრობა I ჯგუფში დაფიქსირდა 40 (90,9%) შემთხვევაში, II ჯგუფში – 38 (90,5%) შემთხვევაში და III ჯგუფში – 21 (52,5%) პაციენტში. (I-IIჯგ., $p>0,05$; I-IIIჯგ., $p<0,05$; II-IIIჯგ., $p<0,05$).

ბაქტერიოლოგიური კვლევით ლაქტობაქტერიების უპირობო დომინირება (*Lactobacillus spp.* შეადგენს საერთო ბაქტერიული მასის $\geq 80\%$) გამოვლინდა I ჯგუფის 41 (93,2%) პაციენტში, II ჯგუფის 39 (92,9%) პაციენტში და III ჯგუფის 31 (77,5%) შემთხვევაში. (I-IIჯგ., $p>0,05$; I-IIIჯგ., $p<0,05$; II-IIIჯგ., $p<0,05$).

“ეფექტურად ნამკურნალევი” პაციენტების 3 თვის შემდგომ ჩატარებული განმეორებითი ტესტირებით აღმოჩნდა, რომ კლინიკური ნიშნების მიხედვით რეციდივი აღინიშნა I ჯგუფის 1 (3,3%) შემთხვევაში 30 განკურნებულიდან, II ჯგუფის 2 (6,9%) შემთხვევაში 29 განკურნებულიდან და III ჯგუფის 7 (36,8%) შემთხვევაში 19 განკურნებულიდან. (I-IIჯგ., $p>0,05$; I-IIIჯგ., $p<0,05$; II-IIIჯგ., $p<0,05$).

სხვადასხვა ლაბორატორიული მონაცემის მიხედვით რეციდივი აღინიშნა I ჯგუფის 2 (5,1%) შემთხვევაში 39 განკურნებულიდან, II ჯგუფის 2 (5,3%) შემთხვევაში 38 განკურნებულიდან და III ჯგუფის 10 (34,5%) შემთხვევაში 29 განკურნებულიდან. (I-II ჯგ., $p>0,05$; I-IIIჯგ., $p<0,05$; II-IIIჯგ., $p<0,05$).

კვლევის პროცესში ჩატარებულმა შედარებითმა ანალიზმა აჩვენა I და II ჯგუფებს შორის სრული თავსებადობა ყველა შესწავლილი კომპონენტების მიხედვით (კლინიკური ნიშნები; ლაბორატორიული მონაცემები; რეციდივების სიხშირე). ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს ბგ-ის არსებული სქემის, ახლად მოწოდებული სქემით ჩანაცვლების რაციონალურობის სასარგებლოდ, უკანასკნელისთვის დამახასიათებელი რიგი უპირატესობების გამო.

მხოლოდ კლინდამიცინით ჩატარებულმა მონოთერაპიამ აჩვენა მისი ნაკლები ეფექტურობა კომპლექსური მკურნალობის სქემებთან შედარებით და რეციდივებისადმი მეტი მიდრეკილება. სახელდობრ, სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა პოლითერაპიულ სისტემებთან შედარებით გამოვლინდა კლინიკური ნიშნების კუპირების, “საკვანძო უჯრედების” ალაგების, ლაქტობაქტერიების ზრდის და რეციდივების სიხშირის კუთხით.

ამრიგად, კვლევის შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი დასკვნები:

1. ბაქტერიული ვაგინოზის კომბინირებული მკურნალობის შედეგების შედარებამ ტრადიციულ, ორეტაპიან თერაპიასთან აჩვენა სრული იდენტურობა ყველა შესწავლილი

კომპონენტის მხრივ (კლინიკური ნიშნები; ლაბორატორიული მონაცემები; რეციდივებისადმი მიდრეკილება).

2. ბაქტერიული ვაგინოზის მკურნალობის პროცესში ანტიბიოტიკისა და პრობიოტიკის ერთდროულად დანიშვნის უპირატესობებს მიეკუთვნება: თერაპიის კურსის ხანგრძლივობის 2-ჯერ შემცირება და შესაბამისად პაციენტების უფრო აქტიური ჩართულობა მკურნალობის პროცესში.
3. ბაქტერიული ვაგინოზის მხოლოდ ანტიბიოტიკით ჩატარებული მონოთერაპია ხასიათდება საგრძნობლად დაბალი ეფექტურობით მკურნალობის კომბინირებულ სქემებთან შედარებით და რეციდივებისადმი მიდრეკილებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Atashili J., Poole C. et all. Bacterial vaginosis and HIV acquisition: a metaanalysis of published studies. AIDS. 2008; 22: 1493-1501.
2. Chohan V.H., Baeten J. et all. A prospective study of risk factors for herpes simplex virus type 2 Acquisition among highrisk HIVI Zero negative Kenyan Women. Sex. Transm. Infect. 2009; 85: 489-492.
3. David A. Eschenbach. Bacterial Vaginosis: Resistance, Recurrence, and/or Reinfection? Clinical Infectious Diseases. 2007; 44(2): 220-221.
4. Federal Clinical recommendations of the ROAG, Diagnosis and treatment of diseases accompanied by pathological secretions from the genital tract of women”, 2019.
5. Larsson P.G., Platz Cristensen J.J. et all. Incidence of pelvic inflammatory disease after first trimester legal abortion in women with bacterial vaginosis after treatment with metronidazole: a double-blind, randomized study. „Am. J. Obstet. Gynecol.” 1992; 166(1 Pt. 1): 100-103.
6. Macklaim J.M., Clemente J.C. et all. Changes in vaginal microbiota following antimicrobial and probiotic therapy. „Microb. Ecol. Health Dis.” 2015; 26: 277-99.
7. The cervix, vagina, vulva, physiology, pathology, colposcopy, aesthetic correction: a guide for practitioners; Edited by S.I. Rogovskaya, E.V. Lipova. Moscow: publishing house of the journal Status Praesens; 2014, 250p.
8. Van de Wijgert J.H., Morrison C.S. et all. Bacterial vaginosis and vaginal yeast, but not vaginal cleansing; increase HIVI acquisition in African women. „J Acquir. Immune. Defc. Syndr.” 2008; 48: 203-209.

კ. ხარაბაძე; დ. კობეშავიძე

ОБ ОПТИМИЗАЦИИ ЛЕЧЕНИЯ БАКТЕРИАЛЬНОГО ВАГИНОЗА

Департамент акушерства и гинекологии ТГМУ; О.О.О. «Клиника Имеди»; Тбилиси, Грузия

Резюме

Проведён сравнительный анализ 3-х схем лечения в случаях БВ. I группа пациентов (44) применяла одновременно антибиотик и пробиотик в течении 7 дней. II группа 7 дней лечилась антибиотиком, а следующие 7 дней – пробиотиком. Женщины III-й группы принимали только антибиотик - 7дней. Было показано полная идентичность обеих схем комбинированного лечения. Монотерапия с антибиотиком характеризуется меньшей эффективностью и более частым рецидивированием.

კ. ხარაბაძე; დ. კობეშავიძე
ბაქტერიული ვაგინოზის მკურნალობის ოპტიმიზაციის შესახებ.
თსსუ მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი,
შ.პ.ს. „იმედის კლინიკა“, თბილისი, საქართველო

რეზიუმე

გაკეთდა ბაქტერიული ვაგინოზის 3 თერაპიული სქემის შედარებითი ანალიზი. I ჯგუფის 44 პაციენტმა 7 დღის განმავლობაში მიიღო ერთდროულად ანტიბიოტიკი და პრობიოტიკი, II ჯგუფი (42 პაციენტი) 7 დღის განმავლობაში იღებდა ანტიბიოტიკს და შემდეგი 7 დღე პრობიოტიკს. III ჯგუფის 40 პაციენტი 7 დღის განმავლობაში იყენებდა მხოლოდ ანტიბიოტიკს. ორივე კომბინაციური სქემა ხასიათდებოდა იდენტური შედეგებით. ანტიბიოტიკით მონოთერაპიამ აჩვენა ნაკლები ეფექტურობა და უფრო ხშირი რეციდივები.



შ. კეპულაძე; ი. კოხრეიძე; გ. ბურკაძე
ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაციის თავისებურებები სხვადასხვა მოლეკულური ქვეტიპის მქონე სადინროვანი ინვაზიური კარცინომის პირველად კერასა და მეტასტაზურ ლიმფურ კვანძებში (კრიტიკული მიმოხილვა)
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; საქართველო

SH.KEPULADZE; I. KOKHREIDZE; G.BURKADZE

THE CHARACTERISTICS OF EPITHELIAL MESENCHYMAL TRANSITION IN DIFFERENT MOLECULAR SUBTYPES OF PRIMARY AND METASTATIC INVASIVE DUCTAL CARCINOMA OF THE BREAST (CRITICAL REVIEW)

Tbilisi State Medical University, Georgia

SUMMARY

Breast cancer represents the most frequently registered cancer type in females in Georgia. The mortality from breast cancer (90%) is frequently caused by invasion and the development of distant metastasis. It is suggested that, both processes are caused by epithelial mesenchymal transition (EMT), which represents the complex process of result of the loss of cell polarity, loss of cell-cell adhesion, invasion and metastasis. In addition, it is suggested that tumor budding and tumor infiltrating lymphocytes (TILs) play an important role in the progression of breast cancer. In presented critical review, we discuss the characteristics of epithelial-mesenchymal transition in different molecular subtypes of primary and metastatic invasive ductal carcinoma.

ბუბუს კიბო წარმოადგენს, ქალთა პოპულაციაში, ყველაზე მეტად გავრცელებულ ავთვისებიან სიმსივნეს და ამავდროულად სიმსივნით გამოწვეული სიკვდილიანობის რიგით მეხუთე მიზეზს, მსოფლიოს მასშტაბით. საქართველოში, NCDC-ის მონაცემების

მიხედვით, ძუძუს კიბო ქალებში რეგისტრირებული კიბოს შემთხვევებს შორის ყველაზე ხშირი სიმსივნეა (29.3% - 1603 შემთხვევა/2018 წელი) [1].

ძუძუს ინვაზიური სადინროვანი კარცინომების მოლეკულური კლასიფიკაციის თანახმად, ძუძუს ავთვისებიანი სიმსივნე იყოფა ოთხ ძირითად ქვეტიპად [2]. ეს ქვეტიპები მოიცავს: **ლუმინალურ A** ქვეტიპის ძუძუს კიბოს, რომელიც არის ჰორმონულ - რეცეპტორ პოზიტიური (ესტროგენის-რეცეპტორი და/ან პროგესტერონ - რეცეპტორი), HER2 ნეგატიური და ხასიათდება პროლიფერაციული მარკერის Ki-67-ის დაბალი ექსპრესიით; **ლუმინალურ B** ქვეტიპს, რომელიც არის ჰორმონულ - რეცეპტორ პოზიტიური (ესტროგენის-რეცეპტორი და/ან პროგესტერონ - რეცეპტორი), HER2 პოზიტიური ან ნეგატიური, Ki67-ის მაღალი ხარისხის ექსპრესიით. ხასიათდება **ლუმინალურ A** ქვეტიპთან შედარებით უფრო ცუდი პროგნოზით; **HER2 პოზიტიური** (ErbB2-ის ამფლიფიკაცია) ძუძუს კიბოს შემთხვევაში ჰორმონული რეცეპტორების ექსპრესია არ ვლინდება. ამ ჯგუფის სიმსივნეები, ლუმინალური ტიპის სიმსივნეებთან შედარებით ხასიათდებიან მეტად სწრაფი ზრდითა და დამიზნებითი (თარგეტული) თერაპიისადმი მაღალი მგრძობელობით [3]; **ტრიპლ-ნეგატიური** ძუძუს კიბო (Triple Negative Breast Cancer) ხასიათდება პროგესტერონის, ესტროგენის რეცეპტორისა და HER2-ის ექსპრესიის დაკარგვით და გამოირჩევა შორეული, ვისცერული მეტასტაზირების მაღალი უნარით [4].

ტრიპლ-ნეგატიური ძუძუს კიბოს მქონე პაციენტთა ჯგუფების მეტა ანალიზის შედეგად შესაძლებელი გახდა ძუძუს კიბოს ამ ქვეტიპის ქვეკლასიფიცირება სულ მცირე ოთხ ქვეჯგუფად: ლუმინალური ანდროგენ რეცეპტორული (**Luminal Androgen Receptor**), მეზენქიმური (**Mesenchymal**), ბაზალურის-მსგავსი იმუნო-სუპრესირებული (**Basal-Like Imuno Suppressed**) და ბაზალურის-მსგავსი იმუნოაქტივირებული (**Basal-Like Imuno Activated**) [5]. აღნიშნული კლასიფიკაცია ასევე დასტურდება სიმსივნის გენომის ატლასის (TCGA) მიერ დამატებითი mRNA, miRNA, DNA და ეპიგენეტიკური ანალიზის შედეგების მიხედვით [6].

ძუძუს კიბოს მქონე პაციენტთა სიკვდილობა ხშირ შემთხვევაში (90%) გამოწვეულია აღნიშნული სიმსივნის ინვაზიისა და დისტანციური მეტასტაზების განვითარების უნარით. არსებობს მოსაზრება, რომ ორივე პროცესს საფუძვლად უდევს ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაციის (Epithelial-Mesenchymal Transformation - EMT) პროცესი, რომელიც წარმოადგენს ეპითელური უჯრედების მიერ უჯრედული პოლარობის, უჯრედულ-უჯრედული ადჰეზიურობის დაკარგვისა და ამავდროულად მიგრაციის, ინვაზიურობისა და მეზენქიმური მახასიათებლების შეძენის კომპლექსურ მრავალსაფეხუროვან პროცესს [6]. თუმცა, ეს მოსაზრება ბოლომდე დადასტურებული არაა და საჭიროებს დამატებითი კვლევების ჩატარებას.

ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაციის საშუალებით ეპითელური უჯრედები, იძენენ როგორც მეზენქიმურ ფენოტიპურ მახასიათებლებს, ასევე გარკვეულწილად მოძრაობის უნარს. განარჩევენ სამი სახის EMT პროცესს: ტიპი 1 დაკავშირებულია ემბრიოგენეზის, გასტრულაციისა და ნერვული ღეროს ფორმირების პროცესებთან; ტიპი 2 აღნიშნება ქსოვილთა რეგენერაციისა და ჭრილობის შეხორცების პროცესში; ხოლო ტიპი 3 ასოცირებულია ავთვისებიან პროცესებთან, მათ ინვაზირებასთან და მეტასტაზირებასთან [7].

კანცეროგენეზის პროცესში EMT-ის მარეგულირებელ გზებში მომხდარი ცვლილებები განაპირობებს უჯრედული ადჰეზიის უნარის დაკარგვას, ცვლილებებს უჯრედის ციტოჩონჩხის არქიტექტურაში, უჯრედების ერთმანეთისაგან დაშორებას,

მიგრაციას, სისხლმილთა სანათურში მოხვედრისა და სისხლმილთა სანათურში მათ შემდგომ გადარჩენადობას; ექსტრავაზაციას და საბოლოოდ მეტასტაზირებას [8]. კლასიკური EMT ხასიათდება ეპითელური ქსოვილის დედიფერენცირებით, რაც გამოიხატება E-კადჰერინის ექსპრესიის შემცირებითა და N-კადჰერინის ექსპრესიის გაზრდით, ისევე როგორც ვიმენტინისა და სხვადასხვა უჯრედული პროტეაზების ექსპრესიით. EMT წარმოადგენს გარდამავალ მდგომარეობას, რასაც მოსდევს შექცევადი პროცესი, კერძოდ მეზენქიმურიდან კვლავ ეპითელური ტრანსფორმაცია (MET). EMT მოიცავს ბევრ სასიგნალო გზას, თუმცა უმნიშვნელოვანესს წარმოადგენს TGF- β , Notch და Wnt სასიგნალო გზები, რომელზედაც თავის მხრივ გავლენას ახდენს სიმსივნის მიკროგარემოს თავისებურებები, ჰიპოქსია და ასევე სხვადასხვა მიკრო-რნმ-ების (miRNAs) ექსპრესია [6,7].

სამმაგად ნეტატიური, ბაზალურის-მსგავსი, ძუძუს კიბოს კლინიკურ-ჰისტოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ ეს არის ყველაზე აგრესიული და ლეტალური ძუძუს კიბოს ქვეტიპი. იგი ხასიათდება მაღალი მეტასტაზური უნარით. რიგი კვლევებით ნაჩვენებია, რომ ძუძუს კიბოს აღნიშნულ ქვეტიპში აღინიშნება ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაციის მაჩვენებლები [5,6,7]. მოლეკულური მექანიზმები, თუ რა უდევს საფუძვლად მეზენქიმური მახასიათებლების გამოვლენას ბაზალურის მსგავს ძუძუს კიბოს შემთხვევებში, ჯერ კიდევ გაურკვეველი რჩება.

ბოლო წლებში აქტიურად განიხილება ჰიპოთეზა ესტოგენის რეცეპტორის ფუნქციის დაკარგვის შესახებ, რომელიც განაპირობებს ეპითელური უჯრედების მეზენქიმურ ფენოტიპად ტრანს-დიფერენციაციას და ამგვარად აგრესიულობისა და მეტასტაზირების პოტენციალის გაზრდას [9]. მაგალითად, ER α knockdown model of MCF-7, რომელიც მოწოდებული იყო Bouris et al-ის მიერ, გამოავლინა, რომ ესტოგენის ექსპრესიის დაკარგვა ასოცირებული იყო EMT ფენოტიპთან მათ შორის გაზრდილ პროლიფერაციულ აქტივობასა და მიგრაციასთან და უჯრედგარე მატრიქსის კომპონენტებისა და მატრიქსის მეტალოპროტეინაზების ცვლილებებთან [10].

არსებობს კვლევები, რომლებიც ეწინააღმდეგება EMT-ის როლს ძუძუს კიბოს ინვაზიისა და მეტასტაზირების პროცესში. მაგალითად Fischer et al. თავიანთ კვლევაში აჩვენა, რომ ძუძუს კიბოს პროგრესია საკვლევ თავებში განხორციელდა EMT-ის არარსებობის პირობებში [11].

E-კადჰერინი წარმოადგენს უჯრედული ადჰეზიის მოლეკულას, რომელიც **CDH1 გენიდან** სინთეზირდება. სხვადასხვა კვლევებით ნაჩვენებია, რომ EMT-ის დროს აღინიშნება CDH1 გენის ექსპრესიის და შესაბამისად აღნიშნული გენის პროდუქტის, E-კადჰერინის ექსპრესიის შემცირება. CDH1-ის ექსპრესიის დათრგუნვა შესაძლოა მოხდეს სხვადასხვა სომატური მუტაციით, ქრომოსომული დელეციითა და CDH1-ის პრომოტორის ეპიგენეტიკური მოდიფიკაციით, რაც განაპირობებს დესმოსომებში არსებული მყარი კავშირების დარღვევას [12]. სხვადასხვა კვლევებით ნაჩვენებია, რომ გაზრდილი მიგრაციული პოტენციალის გარდა, E-კადჰერინის ექსპრესიის შემცირება ასევე ზრდის აპოპტოზის მიმართ რეზისტენტობას [12], თუმცა ეს საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას. E-კადჰერინის ინაქტივაციის ძირითადი მექანიზმია, CDH1 გენის მუტაცია ან მისი პრომოტორის ჰიპერმეთილაცია. Lombartaes et al. კვლევის თანახმად, CDH1 პრომოტორის ჰიპერმეთილაცია და არა CDH1 მუტაციური ინაქტივაცია EMT-კონტექსტში ასოცირებული იყო სიმსივნური უჯრედების უფრო მეტ აგრესიულ ფენოტიპთან და გაზრდილ ინვაზიურობასთან [12]. თუმცა, კვლევის შეზღუდულობა იმაში მდგომარეობდა,

რომ გამოსაკვლევად გამოყენებული იყო უჯრედული ხაზები და არა ქსოვილოვანი ნიმუშები. საკამათოა ის საკითხი, თუ რამდენად ყველაზე ხშირი მექანიზმია ჰიპერმეთილაცია და რამდენად განაპირობებს ის აგრესიულ ქცევას.

N-კადჰერინის ექსპრესიის მომატება, თანმდევია E-კადჰერინის სინთეზის შემცირებისა, რაც საბოლოოდ გამოვლინდება სიმსივნურ უჯრედებს შორის ადჰეზიური კავშირების დაკარგვით; აღნიშნული კარგად ჩანს ბაზალურის-მსგავსი ძუძუს კიბოსა და ასევე HER2+ პოზიტიურ კიბოებში. კლინიკურად აგრესიული ბაზალურის-მსგავსი ძუძუს კიბო ავლენს ყველაზე მაღალი ინტენსივობით N-კადჰერინის ექსპრესიას, განსაკუთრებით კი სისხლმილებით მდიდარ არეებში. E-კადჰერინის ნაცვლად N-კადჰერინის ექსპრესია ასოცირებულია გაზრდილ სიკვდილობასა და ცუდ კლინიკურ გამოსავალთან [13,14].

EMT-ის სხვადასხვა ეტაპზე, ეპითელიუმის პლასტიურობის შენარჩუნებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს WNT/ β -კატენინის სასიგნალო გზის აქტივაცია. WNT/ β -კატენინის აქტივაცია იწვევს E-კადჰერინის სინთეზის შემცირებასა და ვიმენტინის სინთეზის გაძლიერებას [15]. β -კატენინის ექსპრესიის შეცვლა, წარმოადგენს WNT სასიგნალო გზის აქტივაციის მანიშნებელს და იგი გამოვლენილია ძუძუს სიმსივნეების სხვადასხვა ტიპებში. თუმცა, β -კატენინი/WNT სასიგნალო გზის აქტივაცია და მისი კავშირი კლინიკურ გამოსავალთან, ასევე ის მექანიზმები, თუ რა განაპირობებს მის აქტივაციას ძუძუს კიბოს შემთხვევებში, კვლავ რჩება განხილვის საგანი.

სხვადასხვა კვლევებით ნაჩვენებია სიმსივნის ღეროვანი უჯრედების როლი ძუძუს კიბოს ინვაზიის, მიგრაციის და მეტასტაზირების პროცესში. სიმსივნის ღეროვანი უჯრედებად განიხილება სიმსივნის შემადგენლობაში მყოფი უჯრედები, რომელთაც აქვთ თვითგანახლებისა და კანცეროგენეზის წარმართვის უნარი. ისინი ძირითადად წარმოადგენენ CD44⁺/CD24⁻ უჯრედებს. სიმსივნის ღეროვანი უჯრედების კონცეფცია ძალზე მნიშვნელოვანია სიმსივნის ახალი თერაპიული საშუალებების შექმნისათვის.

ძუძუს სიმსივნეებში განიხილება „სიმსივნის ღეროვანობის“ რაოდენობრივი ცნება, რომელიც იზომება საკვლევ თაგვებში სიმსივნური უჯრედების შეყვანის შემდგომ, მათ მიერ მამოსფეროების ფორმირებისა და მეტასტაზირების უნარების გამოვლენით [16]. სიმსივნის ღეროვანი უჯრედების შესაძლებლობები ძუძუს სიმსივნეების შემთხვევებში ავლენს განსაკუთრებულ ფენოტიპურ პლასტიურობას EMT ეპითელიურ-მეზენქიმური ტრანსფორმაციის ხარჯზე [17].

CD44⁺/CD24⁻ უჯრედულ ხაზებში EMT-ასოცირებული გენების ექსპრესიამ აჩვენა, რომ EMT ტრანსფორმაციასთან ასოცირებული ფაქტორები უფრო მეტად ექსპრესირებულია მაშინ, როცა სიმსივნეს აქვს ღეროვანი-უჯრედული მახასიათებლები [17].

სიმსივნის პროგრესიისა და მეტასტაზირების გარდა EMT ასევე ასოცირებულია სიმსივნის თერაპიულ რეზისტენტობის ჩამოყალიბებასთან, თუმცა ეს პროცესები კარგად ცნობილი არ არის. სიმსივნის უფრო მეტი ღეროვანი უჯრედულობა ხასიათდება აპოპტოზის მიმართ მათი მეტი რეზისტენტულობით [16].

ძუძუს კიბოს მეტასტაზირების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სიმსივნის გავრცელების „ბადინგის - დაკვირტვის“ (Tumor Budding) სისტემა, რომელიც წარმოადგენს სიმსივნის მთავარი კერიდან განცალკევებით არსებული მცირე რაოდენობის სიმსივნური უჯრედების ჯგუფს. სიმსივნის ბადინგის არსებობა მიუთითებს დისტანციური მეტასტაზირების გაზრდილ რისკზე [18]. მოლეკულურმა კვლევებმა გამოავლინა, რომ სიმსივნის ბადინგის „შვილური“ უჯრედები სწორედ ეპითელიურ-მეზენქიმური პროცესის ნაწილობრივი გამოვლინებაა, რადგან მათ ვიმენტინის ექსპრესიის უნარის მიუხედავად,

შესაძლოა ჯერ კიდევ ჰქონდეთ შენარჩუნებული ეპითელური მახასიათებლები და კვლავ აექსპრესირებდნენ ეპითელურ მარკერებს [18,19].

კვლევების სიმწირის გამო, დღესდღეობით არ არსებობს შეთანხმებული რეკომენდაცია ბადინგის როლისა და მნიშვნელობის შესახებ ძუძუს ინვაზიურ კარცინომებში, რაც საჭიროებს ამ კუთხით დამატებით კვლევებს. რასაც ვერ ვიტყვით კოლორექტული კარცინომების შესახებ. ამ უკანასკნელში კვლევათა სიუხვემ გამოავლინა, მეტად დახვეწილი და სტანდარტიზირებული გახადა რუტინული ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევისას, როგორც მისი შეფასების კრიტერიუმები, ასევე შედეგების მიხედვით მოსალოდნელი პრედიქტული ფაქტორები.

სიმსივნის ბადინგის სისტემის დახვეწა და სტანდარტიზება უმნიშვნელოვანესია ასევე მისი, როგორც ციფრული პათოლოგიის ნაწილად ქცევისათვის. ამ მიმართულებით კვლევები ძალიან მწირია. საჭიროა კლინიკური პათოლოგიებისა და ბიოინფორმატიკოსების კოლაბორაცია, რაც ციფრულად მათი აღმოჩენისა და შეფასების ავტომატიზების საშუალებას მოგვცემს და ეს თავის მხრივ სამომავლოდ დაზოგავს დიდი რაოდენით დროს. თავიდან ავირიდებთ ასევე დიაგნოსტიკის დროს არსებულ სუბიექტურობას და მეტად ზუსტს გავხდით დიაგნოსტიკას.

სიმსივნის-მაინფილტრირებელი ლიმფოციტები (TILs) წარმოადგენს სიმსივნესა და მის მიმდებარე სტრომაში არსებულ მონონუკლეურ იმუნურ უჯრედებს სიმსივნის იმუნოგენურობის განსაზღვრისათვის (Tumour immunogenicity).

TILs შესაძლოა კლასიფიცირდეს, მისი ლოკაციიდან გამომდინარე, როგორც ინტრა-ეპითელური და სტრომული. ინტრა-ეპითელური (iTILs) ლიმფოციტები, მათი სიმსივნურ უჯრედებთან პირდაპირი კავშირის გამო, იქცევენ მეტ ყურადღებას, თუმცა, როგორც კვლევების უმრავლესობამ აჩვენა ჰემატოქსილინითა და ეოზინით შეღებილ ანათლებზე (H&E) სტრომული sTIL-ის ხარისხობრივი ანალიზი ასევე ინფორმატიულია [20].

ზოგიერთი კვლევის თანახმად, sTIL-ის კონცენტრაცია პოზიტიური პროგნოზური მარკერია თერაპიაზე სრული პასუხისა, სამმაგად-ნეგატიური ძუძუს სიმსივნეების (TNBC) შემთხვევაში და ასევე HER2-პოზიტიური (ადამიანის ეპიდერმული ზრდის ფაქტორის რეცეპტორ 2) ძუძუს სიმსივნეების შემთხვევაში.

ინტრასიმსივნური (iTILs) ჩვეულებრივ რაოდენობრივად დაბალია და მეტად ჰეტეროგენური სხვადასხვა ნიმუშებში და ასევე ნაკლებად ხილული H&E ტექნოლოგიით შეღებილ ანათლებში. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო იმუნო-ონკოლოგიური მიომარკერების სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციის მიხედვით, sTIL კონცენტრაცია (სტრომული ლიმფოციტები) წარმოადგენს რეკომენდებულ პარამეტრს მასპინძლის ორგანიზმის იმუნური პასუხის შეფასებისათვის [21].

მასპინძლის იმუნური, ანტი-სიმსივნური, პასუხის დომინანტ მექანიზმად განისაზღვრება ადაპტაციული ციტოტოქსიური T-უჯრედებით გაშუალებული პასუხი.

T უჯრედული პასუხი ეფექტორულ უჯრედებზე მთავარ ჰისტოშეთავსების ცილების კომპლექსთან (MHC) ასოციაციაში არსებული სიმსივნის-სპეციფიური ანტიგენების ამოცნობის შედეგია.

CD103 (aEh7 ინტეგრინი) ექსპრესირებულია CD8+ T უჯრედების ქვეტიპზე, და მისი ექსპრესია იმატებს უჯრედულ მიკროგარემოში ანტიგენის ამოცნობისას ტრანსფორმაციული ზრდის ფაქტორი B (TGF-B) სიჭარბის შემთხვევაში.

CD103 უკავშირდება მის ლიგანდს, E-კადჰერინს, ეპითელურ სიმსივნურ უჯრედებზე, რაც ხელს უწყობს ანტიგენ-სპეციფიური ლიმფოციტების მიმაგრებას

ეპითელურ სიმსივნეებში. CD103 უმნიშვნელოვანესია ანტიციტოტოქსიური T უჯრედულ აქტივობაში, რადგან ის საკონტაქო არეებში ლიტოკური გრანულების პოლარიზაციის (Lytic granule polarisation) ინიციაციას ახდენს. აქედან გამომდინარე, CD103 განისაზღვრება, როგორც მარკერი ანტიგენ-გააქტიურებული ეფექტორული T უჯრედებისა, რომლებიც შემდგომ ყალიბდებიან ქსოვილის-რეზიდენტი მეხსიერების T უჯრედებად (T_{rm}). ამის გათვალისწინებით, CD103 არის უფრო ხშირად ექსპრესირებული ინტრასიმსივნურ iTILs-ში, სტრომულ sTIL-თან შედარებით [21].

აღსანიშნავია ის, რომ CD103+ iTILs რაოდენობა ასოცირებულია უკეთეს გადარჩენადობასთან სხვადასხვა სოლიდური სიმსივნეების მქონე პაციენტების შემთხვევაში და ასევე მას უფრო მაღალი პროგნოზული ღირებულება აქვს საერთო CD8+ TILs-ის მაჩვენებელთან შედარებით [21]. თუმცა, კვლევები ძალიან მწირია და მეტ დაზუსტებას საჭიროებს, თუ რა პროგნოზული ღირებულების შესაძლოა იყოს CD103+ TILs ძუძუს სიმსივნეების შემთხვევაში.

საჭიროა განისაზღვროს CD103+ T ლიმფოციტების პროგნოზული ღირებულება სხვადასხვა მოლეკულური ქვეტიპის მქონე ძუძუს სიმსივნეებში და შედარდეს მისი მაჩვენებელი CD8+ ინტრასიმსივნური iTILs-ის მაჩვენებელთან, ასევე საჭიროა შესწავლილ იქნას TGF- β იზოფორმების ექსპრესია სიმსივნურ უჯრედებზე, რათა განისაზღვროს CD103+ ინტრასიმსივნური ლიმფოციტების ჯგუფებზე მისი ეფექტი.

ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე EMT-ის როლი ძუძუს კიბოს შემთხვევებში უფრო და უფრო მეტ ინტერესს იწვევს. ჯერ კიდევ ბევრი დეტალი რჩება გაურკვეველი, არა მარტო E-კადჰერინის როლის შესახებ, არამედ საკუთრივ EMT-ის კომპლექსური მრავალსაფეხუროვანი პროცესების დეტალების და ამ პროცესში მიკროგარემოში არსებული სხვადასხვა ელემენტების გავლენის, თუ მათი პროგნოზული ღირებულების შესახებ. EMT-გენური მახასიათებლები და ბიომარკერები შესაძლოა გამოყენებულ იქნას, როგორც პროგნოზული (რეზიდუული რისკი) და ასევე პრედიქტული საშუალებები. ძუძუს ინვაზიური კარცინომიდან მეტასტაზირებულ სიმსივნემდე პროგრესიის პოტენციალი შესაძლოა უკეთ იქნას გაგებული EMT ტრანსფორმაციის მექანიზმების უფრო დეტალური შესწავლით, რაც ასევე საშუალებას მოგვცემს ახალი თერაპიული გადაწყვეტილებების მიღებაში. დღესდღეობით არის სხვადასხვა სამკურნალო საშუალება, რომელიც ტესტირებას გადის სხვადასხვა ტიპის სიმსივნეებში და მოიხსენიება როგორც ანტი-EMT საშუალებები.

ამგვარად იმის შესწავლა, თუ რა მექანიზმით მიმდინარეობს ეპითელური უჯრედების ფენოტიპური და ქცევითი მახასიათებლების ცვლილებები და რა როლი აქვს ამ პროცესში სიმსივნის Tumor budding-ის სისტემას და ადგილობრივ მიკროგარემოს, კრიტიკულია ძუძუს კიბოს პათოგენეზის სიღრმისეულად შესასწავლად, რაც თავის მხრივ იძლევა იმედს უფრო ზუსტი პროგნოზული ბიომარკერების შექმნისა, ახალი თერაპიული ინტერვენციების კუთხით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი - ჯანმრთელობის დაცვა სტატისტიკური ცნობარი 2018; ქალებში რეგისტრირებული ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების ყველაზე მაღალი ავადობის მქონე ლოკალიზაცია, საქართველო 2018 წელი; გვერდი 72;
2. Pandit P, Patil R, Palwe V, Gandhe S, Patil R, Nagarkar R. Prevalence of Molecular Subtypes of Breast Cancer: A Single Institutional Experience of 2062 Patients. Eur J Breast Health. 2019 Nov 20;16(1):39-43. doi: 10.5152/ejbh.2019.4997. PMID: 31912012; PMCID: PMC6939714.

3. Elena López-Miranda, José Manuel Pérez-García, Serena Di Cosimo, Etienne Brain, Maja Ravnik, Santiago Escrivá-de-Romaní, Maria Vidal, Joseph Gligorov, Simona Borštnar, Laura Calabuig, Miguel Sampayo-Cordero, Andrea Malfettone, Antonio Llombart-Cussac, Thomas M. Suter, Javier Cortés, Trastuzumab Emtansine Plus Non-Pegylated Liposomal Doxorubicin in HER2-Positive Metastatic Breast Cancer (Thelma): A Single-Arm, Multicenter, Phase Ib Trial, *Cancers*, 10.3390/cancers12123509,12,12,3509, 2020.
4. Lehmann B.D., Bauer J.A., Chen X., Sanders M.E., Chakravarthy A.B., Shyr Y., Pietenpol J.A. Identification of human triple-negative breast cancer subtypes and preclinical models for selection of targeted therapies. *J. Clin. Investig.* 2011;121:2750–2767. doi: 10.1172/JCI45014.
5. Jézéquel, P., Kerdraon, O., Hondermarck, H. *et al.* Identification of three subtypes of triple-negative breast cancer with potential therapeutic implications. *Breast Cancer Res*21, 65 (2019). <https://doi.org/10.1186/s13058-019-1148-6>
6. Cancer Genome Atlas Network Comprehensive molecular portraits of human breast tumours. *Nature*. 2016;490:61–70. doi: 10.1038/nature11412.
7. Epithelial-Mesenchymal Transition in Cancer: A Historical Overview Domenico Ribatti *, Roberto Tamma, Tiziana Annese; Department of Basic Medical Sciences, Neurosciences and Sensory Organs, University of Bari Medical School, Bari, Italy April 1 20202;
8. Micalizzi D., Ford H. Epithelial to mesenchymal transition in development of cancer. *Future Oncol.* 2009;8:1129–1143. doi: 10.2217/fon.09.94.
9. Al Saleh S., Al Mulla F., Luqmani Y.A. Estrogen receptor silencing induces epithelial to mesenchymal transition in human breast cancer cells. *PLoS ONE*. 2011;6:65. doi: 10.1371/journal.pone.0020610.
10. Bouris P., Skandalis S.S., Piperigkou Z., Afratis N., Karamanou K., Aletras A.J., Moustakas A., Theocharis A.D., Karamanos N.K. Estrogen receptor alpha mediates epithelial to mesenchymal transition, expression of specific matrix effectors and functional properties of breast cancer cells. *Matrix Biol.* 2015;43:42–60. doi: 10.1016/j.matbio.2015.02.008.
11. Fischer K., Durrans A., Lee S., Sheng J., Li F., Wong S.T., Choi H., El Rayes T., Ryu S., Troeger J., et al. Epithelial-to-mesenchymal transition is not required for lung metastasis but contributes to chemoresistance. *Nature*. 2015;527:472–476. doi: 10.1038/nature15748.
12. Lombaerts M., van Wezel T., Philippo K., Dierssen J.W., Zimmerman R.M., Oosting J., van Eijk R., Eilers P.H., van de Water B., Cornelisse C.J., et al. E-cadherin transcriptional downregulation by promoter methylation but not mutation is related to epithelial-to-mesenchymal transition in breast cancer cell lines. *Br. J. Cancer*. 2016;94:661–671. doi: 10.1038/sj.bjc.6602996.
13. Onder T.T., Gupta P.B., Mani S.A., Yang J., Lander E.S., Weinberg R.A. Loss of E-cadherin promotes metastasis via multiple downstream transcriptional pathways. *Cancer Res.* 2008;68:3645–3654. doi: 10.1158/0008-5472.CAN-07-2938.
14. Abdulla T., Luna-Zurita L., de la Pompa J.L., Schleich J.M., Summers R. Epithelial to mesenchymal transition—The roles of cell morphology, labile adhesion and junctional coupling. *Comput Methods Progr. Biomed.* 2015 doi: 10.1016/j.cmpb.2013.05.018.
15. Srishti K., Susinjam B. Breast cancer stem cells, EMT and therapeutic targets. *Biochem. Biophys. Res. Commun.* 2014;453:112–116.
16. Sigurdsson V., Gudjonsson T. Endothelial induced EMT in breast epithelial cells with stem cells properties. *PLoS ONE*. 2011;6:65. doi: 10.1371/journal.pone.0023833.
17. Wang C, Mu Z, Chervoneva I, Austin L, Ye Z, Rossi G, Palazzo JP, Sun C, Abu-Khalaf M, Myers RE, et al. Longitudinally collected CTCs and CTC-clusters and clinical outcomes of metastatic breast cancer. *Breast Cancer Res Treat.* 2017; 161:83–94.
18. Voutsadakis IA. Prognostic role of tumor budding in breast cancer. *World J Exp Med.* 2018;8(2):12-17. Published 2018 Sep 7. doi:10.5493/wjem.v8.i2.12
19. Bostwick DG, de la Roza G, Dundore P, Corica FA, Iczkowski KA. Intraepithelial and stromal lymphocytes in the normal human prostate. *Prostate.* 2013 May 15;55(3):187-93. doi: 10.1002/pros.10224.

20. Gao G, Wang Z, Qu X, Zhang Z. Prognostic value of tumor-infiltrating lymphocytes in patients with triple-negative breast cancer: a systematic review and meta-analysis. *BMC Cancer*. 2020;20(1):179. Published 2020 Mar 4. doi:10.1186/s12885-020-6668-z
21. Park MH, Kwon SY, Choi JE, Gong G, Bae YK. Intratumoral CD103-positive tumour-infiltrating lymphocytes are associated with favourable prognosis in patients with triple-negative breast cancer. *Histopathology*. 2020 Oct;77(4):560-569. doi: 10.1111/his.14126. Epub 2020 Sep 10. PMID: 32333690.

შ. კეპულაძე, ი. კოხრეიძე, გ. ბურკაძე

ОСОБЕННОСТИ ЭПИТЕЛИАЛЬНО-МЕЗЕНХИМАЛЬНОЙ ТРАНСФОРМАЦИИ В РАЗНЫХ МОЛЕКУЛЯРНЫХ ПОДТИПАХ ПРОТОКОВОЙ ИНВАЗИВНОЙ КАРЦИНОМЫ В ПЕРВИЧНОМ ОЧАГЕ И В МЕТАСТАТИЧЕСКИХ ЛИМФАТИЧЕСКИХ УЗЛАХ (КРИТИЧЕСКИЙ ОБЗОР)

Тбилисский Государственный Медицинский Университет, Грузия

Резюме

Опухоль молочной железы самая часто регистрируемая опухоль среди женщин в Грузии. Смертность среди пациентов с опухолью молочной железы часто (90%) вызвана способностью данной опухоли к инвазивному росту и дальнейшему метастазированию. Бытует мнение, что в основе обоих процессов лежит процесс эпителиально-мезенхимальной трансформации (Epithelial-Mesenchymal Transformation - EMT), который представляет комплексный многоступенчатый процесс потери эпителиальными клетками полярности и клеточной адгезии с одновременным приобретением ими способностей к миграции, инвазивности и мезенхимальных характеристик. Кроме этого, предполагают, что в патогенезе карциномы молочной железы большое значение имеет "степень почкования опухоли" (Tumor Budding) и наличие инфильтрирующих опухоль лимфоцитов. В данном критическом обзоре рассмотрены особенности эпителиально-мезенхимальной трансформации протоковой инвазивной карциномы разных молекулярных подтипов в первичном очаге и в метастатических лимфатических узлах.

შ. კეპულაძე; ი. კოხრეიძე; გ. ბურკაძე

ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაციის თავისებურებები სხვადასხვა მოლეკულური ქვეტიპის მქონე სადინროვანი ინვაზიური კარცინომის პირველად კერასა და მეტასტაზურ ლიმფურ კვანძებში (კრიტიკული მიმოხილვა)

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; საქართველო

რეზიუმე

საქართველოში, ძუძუს კიბო ქალებში რეგისტრირებული კიბოს შემთხვევებს შორის ყველაზე ხშირი სიმსივნეა. ძუძუს კიბოს მქონე პაციენტთა სიკვდილობა ხშირ შემთხვევაში (90%) გამოწვეულია აღნიშნული სიმსივნის ინვაზიისა და დისტანციური მეტასტაზების განვითარების უნარით. არსებობს მოსაზრება, რომ ორივე პროცესს საფუძვლად უდევს ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაციის (Epithelial-Mesenchymal Transformation - EMT) პროცესი, რომელიც წარმოადგენს ეპითელური უჯრედების მიერ უჯრედული პოლარობის, უჯრედული კავშირების დაკარგვისა და ამავდროულად მიგრაციის, ინვაზიურობისა და მეზენქიმური მახასიათებლების შექმნის კომპლექსურ მრავალსაფეხუროვან პროცესს. გარდა ამისა, ვარაუდობენ, რომ ძუძუს კიბოს პათოგენეზში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სიმსივნის "ბადინგს"- დაკვირტვისა (Tumor Budding) და სიმსივნის მაინფილტრირებელი ლიმფოციტების არსებობას. წინამდებარე კრიტიკულ მიმოხილვაში, განხილულია ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაციის თავისებურებები სხვადასხვა მოლეკულური ქვეტიპის მქონე სადინროვანი ინვაზიური კარცინომის პირველად კერასა და მეტასტაზურ ლიმფურ კვანძებში.

რ. თაბუკაშვილი, ვ. კაპეტივაძე, მ. ყუფარაძე, თ. ლაზაშვილი,
ზ. მაღლაფერიძე, ი. ავალიანი

ფიზიკური სტრეს-ტესტით ინდუცირებული უსიმპტომო იშემიის ზოგიერთი კლინიკური
თავისებურება

შინაგან დაავადებათა პროპედევტიკის დეპარტამენტი, თსსუ

*R. TABUKASHVILI, V. KAPETIVADZE, M. KUPARADZE, T. LAZASHVILI,
Z. MAGLAPHERIDZE, I. AVALLIANI*

SOME CLINICAL FEATUIRES OF PHYSICAL STRESS INDUCED SILENT MYOCARDIAL ISCHEMIA

Tbilisi State Medical University, Department of Propaedeutics of Internal Diseases

SUMMARY

The aim of the present study was to determine the pain perception threshold in silent myocardial ischemia induced by physical load, and evaluate izosorbid dinitrat and dilthiazem effect on the pain perception. In total, 58 male non-diabetic subjects were enrolled in the study. Based on the results of stress tests patent were divided into 3 groups:

Methods: Gr 1. – 14 patients (31,3%), mean age $56 \pm 4,6$ (30 pts > 50 yrs, 15 pts < 50 yrs) – with ischemic depression of ST segment on the stress of ECG, no pain sensation. Gr 2. - 28 patients (41,37%), mean age 42 ± 5 (33 pts > 50 yrs, 27 pts < 50 yrs) – in whom together with ischemia criteria angina developments was registered. Gr 3. - 16 patients (27,58%), mean age $45 \pm 6,7$ (36 pts > 50yrs, 4 pts < 50 yrs) – with negative stress-test results. Perception threshold according to groups was as follows: Gr 1. – $14,5 \pm 2,2$ sec; Gr 2. – $7,1 \pm 3,2$ sec; Gr 3. – $5,1 \pm 4$ sec. According to the age of patients we observed that in <50 yrs age group perception threshold was $6,6 \pm 2,0$ sec. while in >50 yrs age group it was $12,8 \pm 4,5$ sec. Arterial hypertension was observed in 6 Gr. 1, and 28 Gr. 2 patients. We registered that in the presence of arterial hypertension pain perception index was $12,8 \pm 3,2$ sec, while in its absence – only $5,4 \pm 2,1$ sec. ($P < 0,05$).

The results obtained indicate that in patients with silent ischemia on stress ECG the pain perception threshold increased (from $6,7 \pm 1,67$ to $15,1 \pm 1,9$); in patients with symptomatic myocardial ischemia on stress ECG the pain perception threshold decreased (from $25,3 \pm 1$ to $11,7 \pm 2,7$). Treatment with anaprilin and izosorbid dinitrate caused the increase in the pain perception threshold, while diltiazem therapy had no effect on pain perception.

უსიმპტომო იშემიის ქვეშ იგულისხმება მიოკარდიუმის პერფუზიის, ფუნქციის ან ელექტრული აქტივობის გარდამავალი დარღვევა, რომელსაც თან არ ახლავს სტენოკარდიული შეტევა ან მისი ექვივალენტი. მიოკარდიუმის უსიმპტომო იშემიას გააჩნია არასასურველი პროგნოზული მნიშვნელობა და ის საჭიროებს ისეთივე აქტიურ მკურნალობას, როგორსაც არასტაბილური სტენოკარდია.

კლინიკური თავისებურებების გამო უსიმპტომო იშემიის გამოვლენა გარკვეულ სიმნელებთან არის დაკავშირებული. თუ არასტაბილური სტენოკარდიის შემთხვევაში ავადმყოფები აქტიურად მიმართავენ ექიმს, უსიმპტომო იშემიის აღმოჩენა უფრო ხშირად ხდება შემთხვევით [7]. მისი გამოვლენა ხდება ეპიდემიოლოგიური გამოკვლევების დროს სპეციალური კითხვარების მეშვეობით.

იშემიის ამ ფორმის გამოვლენის შემთხვევაშიც კი მას არც თუ იშვიათად არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება.

აქედან გამომდინარე - ეს საკითხი თანამედროვე მედიცინის გლობალურ პრობლემას წარმოადგენს. ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჯერ კიდევ საბოლოოდ არაა დადგენილი უსიმპტომო იშემიის წარმოშობის პათოფიზიოლოგიური მექანიზმები [8].

უკანასკნელ წლებში უსიმპტომო იშემიის პრობლემა განსაკუთრებით აქტიურად შეისწავლება, რადგანაც დადგენილია მისი ფართო გავრცელება და მძიმე პროგნოზული მნიშვნელობა. უსიმპტომო იშემიის მძიმე შედეგებიდან გამომდინარე, მწვავედ დგას საკითხი მისი მკურნალობისა და პროფილაქტიკის შესახებ. კლინიკური დაკვირვებებიდან ჩანს, რომ არასტაბილური სტენოკარდიის სინდრომის მკურნალობის შემდეგაც, ხშირად, რჩება უსიმპტომო იშემიის ეპიზოდები [1]. ამიტომ მკურნალობა ყოველთვის არ აუმჯობესებს გულის იშემიური დაავადების პროგნოზს. არ არის საბოლოოდ დადგენილი, თუ როგორი უნდა იყოს უსიმპტომო იშემიის მედიკამენტოზური მკურნალობა. ლიტერატურაში მონაცემები, სხვადასხვა პრეპარატის გამოყენების თაობაზე, ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგოა [2]. იშემიის ამ ფორმის გამოვლენის შემთხვევაში კი მას, არც თუ იშვიათად, არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება.

კვლევის მიზანს შეადგენდა ფიზიკური დატვირთვით ინდუცირებული უსიმპტომო იშემიის შემთხვევაში ტკივილის პერცეფციის ზღურბლის ზოგიერთი კლინიკური თავისებურებების დადგენა სითბური მეთოდით - სიცივის სინჯის გამოყენებით, კერძოდ ჰემოდინამიკის რეაქციის შესწავლა, ასევე ანაპრილინით, დილთიაზემით, იზოსორბიდ დინიტრატით მკურნალობის გავლენის შესწავლა ტკივილის აქტივაციის ზღურბლზე. გამოკვლევისთვის პაციენტებს შორის გამოიყო სამი ჯგუფი.

კვლევის მასალები: გამოვიკვლიეთ 58 პაციენტი საქართველოს საპატრიარქოს თერაპიული კლინიკის ბაზაზე. ავადმყოფები გაყოფილი იყო სამ ჯგუფად: I-ჯგუფი (14 ავადმყოფი, საშუალო ასაკი - 56 ± 4.6 წელი) სხვადასხვა სომატიური პათოლოგიით, რომლებსაც ფიზიკური დატვირთვის ტესტით გამოუვლინდათ ეკგ-ზე ST-სეგმენტის დეპრესია. II-ჯგუფი (28 ავადმყოფი, საშუალო ასაკი 42 ± 5 წელი) არასტაბილური სტენოკარდიით, რომლებსაც ფიზიკური დატვირთვის ტესტით დაუდგინდა ST-სეგმენტის იშემიური დეპრესია. III-ჯგუფი: ფიზიკური დატვირთვის ტესტით არ იყო გამოვლენილი ST-სეგმენტის დეპრესია, ამ ჯგუფში შევიდა ნეიროცირკულატორიული დისტონიით შეპყრობილი 16 პირი (საშუალო ასაკი $45 \pm 6,7$ წელი).

კვლევის მეთოდები: ავადმყოფებს უტარდებოდათ ტკივილის პერცეფციის ზღურბლის დადგენა სითბური მეთოდით, სიცივის სტანდარტული სინჯით. ჩვილების გამოკითხვა წარმოებდა კითხვარით, ზოგიერთი მედიკამენტით პროვოცირებისას ტკივილის პერცეფციის ზღურბლის დადგენა.

არტერიული ჰიპერტენზია აღენიშნებოდა I ჯგუფის 6 და II ჯგუფის 13 ავადმყოფს. ტკივილის პერცეფციის მაჩვენებლები არტერიული ჰიპერტონიის შემთხვევაში და მის გარეშე შემდეგია: $12,8 \pm 3,2$ და $5,4 \pm 2,1$ წმ. შესაბამისად ($p < 0,05$) ტკივილის პერცეფცია I ჯგუფში შეადგენდა $14,4 \pm 2$ წმ. II ჯგუფში $7,5 \pm 3,2$ წმ., მე- III $5,1 \pm 4,1$ წმ. I ჯგუფში ტკივილის შგრძნების ზღურბლი სარწმუნოდ უფრო მეტია, ვიდრე ორ დანარჩენში ($p < 0,05$).

ჩვენს მიერ გამოკვლეულ ავადმყოფებს ყოველდღიურ ცხოვრებაში აღნიშნებოდათ გარკვეული ჩვილები, რომლებსაც ისინი პრაქტიკულად არ აქცევდნენ ყურადღებას და რომელთა გამოვლენა საჭიროებდა სპეციალურ, მიზანდასახულ გამოკითხვას. ამ ჩვილების ჩამონათვალი და სიხშირე მოყვანილია სურათი 1-ზე.

სურათი 1. ჩივილები და სიხშირე

	ჩივილები	I ჯგუფი (14 ავადმყოფი)	II ჯგუფი (28 ავადმყოფი)	III ჯგუფი (16 ავადმყოფი)
1	ზეწოლის შეგრძნება გულმკერდში - პაციენტი ვერაფერს ვერ უკავშირებს	4 (28,57%)	10 (35,71%)	6 (37,5%)
2	ყრუ, არაშემაწუხებელი ტკივილი გულმკერდში, რომელიც თანდათან იწყება და უეცრად ქრება	6 (42,85%)	12 (42,65%)	2 (9,87%)
3	ყრუ, არაშემაწუხებელი ტკივილი გულმკერდში, რომელიც თანდათან იწყება და თანდათან ქრება	4 (28,57%)	5 (17,85%)	9 (56,25%)
4	შებოჭილობა, რომელიც იცვლება სიმსუბუქის შეგრძნებით	4 (28,57%)	11(39,28%)	4 (25,0%)
5	გულისცემის აჩქარების ეპიზოდები დღის განმავლობაში	3 (21,42%)	9 (32,14%)	6 (37,5%)
6	გულისცემის აჩქარება დილაობით სიცივეში გასვლისას	4 (28,57%)	7 (25,0%)	3 (18,75%)
7	ხანმოკლე, არაშემაწუხებელი ჩხვლეტის შეგრძნების ეპიზოდები გულმკერდში დღის განმავლობაში	5 (35,71%)	9 (32,14%)	5 (31,25%)
8	შებოჭილობა მკლავებში და ბეჭებში, რასაც პაციენტი ვერაფერს ვერ უკავშირებს	3 (21,42%)	6 (21,42%)	7 (43,75%)
9	ზოგადი სისუსტის ხანმოკლე ეპიზოდები	5 (35,71%)	14 (50,0%)	2 (12,5%)
10	პერიოდულად უსიამოვნო შეგრძნება გულმკერდში დატვირთვაზე ან ემოციაზე	5 (35,71%)	13 (46,42%)	2 (12,5%)
11	დისკომფორტის შეგრძნება ეპიგასტრიუმში	5 (35,71%)	14 (50,0%)	1 (6,65%)
12	ჰაერის უკმარისობის ეპიზოდები დატვირთვაზე ან ემოციებზე	4 (28,57%)	12 (42,85%)	3 (18,75%)
13	გარდამავალი დაბუყების შეგრძნება კიდურებში	6 (42,85%)	13 (46,42%)	2 (12,5%)
14	სუსტი ტკივილი ან უსიამოვნო შეგრძნება გულმკერდში, რომელიც ქრება დატვირთვაზე	8 (57,14%)	8 (28,57%)	2 (12,5%)
15	შებოჭილობა იცვლება სიმსუბუქის შეგრძნებით	6 (42,85%)	12 (42,85%)	2 (12,5%)
16	გულისცემის გამოვარდნის შეგრძნება დილაობით	6 (42,85%)	9 (32,14%)	3 (18,75%)
17	გულისცემის გამოვარდნის შეგრძნება დღის განმავლობაში	2 (14,28%)	13 (46,42%)	6 (37,5%)
18	შრომისუნარის დაქვეითება	6 (42,85%)	5 (17,85%)	5 (31,25%)
19	შინაგანი დაძაბულობა	3 (21,42%)	9 (32,14%)	7 (43,75%)
20	სუსტი ტკივილი ან უსიამოვნო შეგრძნება დილაობით	6 (42,85%)	13 (46,42%)	2 (12,5%)
21	სტენოკარდია სიცივეზე	4 (28,57%)	20 (71,42%)	

შედეგები: სურათიდან ჩანს, რომ მე-II ჯგუფში ნაკლები სიხშირით გვხვდებოდა სიმპტომები №1,3,4,5,6,8,12,17,19,21 და უფრო მაღალი სიხშირით სიმპტომები №2,7,9,10,11,13,14,15,16,18,20. ეს სიმპტომები გაცილებით უფრო იშვიათად გვხვდებოდა მე-III საკონტროლო ჯგუფში. ამიტომ ჩატარებული იქნა აღნიშნული ჩივილების ანალიზი მათი სენსიტიურობის და სპეციფიურობის დასადგენად.

I ჯგუფში მაღალი სპეციფიურობით ხასიათდება სიმპტომები 2,13,14,15,16,18,20, მე-II ჯგუფში - 9,10,11,13,17,20,21 შესაბამისად. ამ ნიშნებს III ჯგუფის ავადმყოფებში გააჩნია მეტად დაბალი სენსიტიურობა და სპეციფიურობა.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ I ჯგუფის ავადმყოფებს სტრეს-ტესტით დაუდგინდათ მხოლოდ ST - სეგმენტის დეპრესია, ამ პირებს მაინც აქვთ ჩივილები ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომლებიც მე - II ჯგუფთან შედარებით ხასიათდებიან დაბალი სენსიტიურობით და სპეციფიურობით. ამიტომ მნიშვნელოვანია მათი იდენტიფიკაცია, ვისაც აქვს უსიმპტომო იშემიის ეპიზოდები.

სიცვიის სინჯი ჩაუტარდა I ჯგუფის 8, II ჯგუფის 10 და მე-III ჯგუფის 7 ავადმყოფს. I ჯგუფში სინჯი დადებითი აღმოჩნდა 5, II ჯგუფში 2, მე-III ჯგუფში-0 ავადმყოფს. როგორც ჩანს, სიცვიის სინჯი უფრო დადებითია I ჯგუფში. თუ მხედველობაში მივიღებთ ამ სინჯის მაღალ სპეციფიურობას ანგიოსპაზმის პროვოცირების მხრივ (88%), შეიძლება ვიფიქროთ, რომ I ჯგუფის პაციენტები უფრო მიდრეკილნი არიან კორონაროსპაზმისადმი.

ავადმყოფებს, ფიზიკური სტრეს-ტესტით გამოვლენილი უსიმპტომო იშემიით (I ჯგუფი), აღენიშნებოდათ ტკივილის პერცეფციის ზღურბლის მომატება ანაპრილინით და იზოსორბიდ დინიტრატით მკურნალობის შემდეგ. მკურნალობა დილთიაზემით მოქმედებდა ტკივილის აღქმის ზღურბლზე.

მე-II ჯგუფის ავადმყოფებს აღენიშნებოდათ ტკივილის პერცეფციის ზღურბლის დაქვეითება (მკურნალობამდე $8,3 \pm 3,1$; მკურნალობის შემდეგ- $15,7 \pm 2,7$).

ტკივილის პერცეფციის ზღურბლი წამებში	პრეპარატი	P
მკურნალობამდე - $6,7 \pm 1,67$ მკურნალობის შემდეგ - $15,1 \pm 1,9$	ანაპრილინი	<0,05
მკურნალობამდე - $8,8 \pm 2,0$ მკურნალობის შემდეგ - $10,2 \pm 1,8$	დილთიაზემი	>0,05
მკურნალობამდე - $7,7 \pm 1,55$ მკურნალობის შემდეგ - $12,8 \pm 1,7$	იზოსორბიდ დინიტრატი	<0,05

განხილვა: დადგენილია, რომ ზოგიერთ ავადმყოფში იშემია გამოიხატება კლასიკური სტენოკარდიით, სხვებში სტენოკარდიის ექვივალენტით. მაგრამ ზოგიერთ ავადმყოფში მიოკარდიუმის იშემიის ეპიზოდები სავსებით უსიმპტომოდ მიმდინარეობს [3]. ასეთ ავადმყოფებს აღენიშნებათ ტკივილის შეგრძნების მაღალი ზღურბლი, კანის ელექტრული გაღიზიანების და წინამხრის იშემიის საპასუხოდ, განსხვავებით იმ ავადმყოფებისაგან, რომლებსაც მიოკარდიუმის იშემია უმჟღავნდებათ ტკივილის სინდრომით. აქედან მოყოლებული, უსიმპტომო იშემიის მთავარ მიზეზად ითვლება ტკივილის პერცეფციის ინდივიდუალური თავისებურება [10].

ზოგიერთი მკვლევარის მონაცემების მიხედვით ტკივილის აღქმა დამოკიდებულია იმპულსაციის ორ მახასიათებელზე: ინტენსივობასა და სპეციფიურობაზე [4]. ტკივილის შეგრძნება ჩნდება მაშინ, როდესაც პათოლოგიური იმპულსები იმდენად ინტენსიურია, რომ

აჭარბებენ შემაკავებელ ზღურბლს, სპეციფიკურ ნოციცეპტიური რეცეპტორების დაბოლოებებში [9].

რიგი კვლევების მონაცემებით ტკივილის სინდრომის არარსებობა იშემიის ეპიზოდის შემთხვევაში აიხსნება იშემიის არასაკმარისი ინტენსივობით. ცნობილია, რომ ფიზიკური დატვირთვის ტესტის ჩატარებისას სტენოკარდიის აღმოცენებას რამდენიმე წამით ან წუთითაც კი წინ უსწრებს ST-სეგმენტის უტკივილო დეპრესია. ამ დროის ST-ინტერვალი იშემიის გაჩენიდან ტკივილის დაწყებამდე ასახავს უსიმპტომო იშემიის პერიოდს [5].

საბოლოოდ დადგენილ იქნა, რომ კორონარული არტერიების ოკლუზიის ერთნაირი ხარისხის პირობებში, შესაძლებელია წარმოიშვას იშემიის როგორც მტკივნეული, ისე უტკივილო ეპიზოდები [6].

ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ ავადმყოფებს ფიზიკური სტრეს-ტესტით გამოვლენილი უსიმპტომო იშემიით (I ჯგუფი) აღენიშნებოდათ ტკივილის პერცეფციის ზღურბლის მომატება ანაპრილინით და იზოსორბიდ დინიტრატით მკურნალობის შემდეგ. მკურნალობა დილთიაზემით არ მოქმედებს ტკივილის აღქმის ზღურბლზე.

დასკვნა: ავადმყოფები, რომლებსაც აღენიშნებათ უსიმპტომო იშემიის ეპიზოდები და ტკივილის პერცეფციის მაღალი ზღურბლი, სიცივით ინდუცირებულ სიმპატიკურ სტიმულაციაზე პასუხობენ შესუსტებული ჰემოდინამიკური რეაქციით, განსხვავებით ჯანმრთელებისგან და არასტაბილური სტენოკარდიით დაავადებულებისგან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Anderson KL, Shah NA, Gallegos M, Chiang IH. Asymptomatic ST elevation. *Heart Lung*. 2018 Jul - Aug; 47(4):363-365.
2. Vancheri F, Longo G, Vancheri S, Henein M. Microvascular Dysfunction. *J Clin Med*. 2020 Sep 6;9(9):2880.
3. Nicholls SJ, Nelson AJ. HDL and cardiovascular disease. *Pathology*. 2019 Feb;51(2):142-147.
4. Zhdan VM, Holovanova IA, Filatova VL, Khorosh MV. Medical evaluation of efficiency of optimized models for early detection and primary prevention of cardiovascular diseases. *Wiad Lek*. 2017;70(3 pt 1):433-438.
5. Murphy BM, Worcester MU, Goble AJ, Mitchell F, Navaratnam H, Higgins RO, Elliott PC, Le Grande MR. Lifestyle and physiological risk factor profiles six weeks after an acute cardiac event: are patients achieving recommended targets for secondary prevention? *Heart Lung Circ*. 2011 Jul;20(7):446-51.
6. Kanorskii SG, Smolenskaya NV. [Triple antianginal combinations in the treatment of elderly and senile patients with stable angina]. *Ter Arkh*. 2016;88(12):33-40.
7. Choi KH, Lee JM, Park I, Kim J, Rhee TM, Hwang D, Park J, Park TK, Yang JH, Song YB, Hahn JY, Jeong DS, Cho YH, Kim WS, Sung K, Jang MJ, Sung JD, Choi JH, Choi SH, Koo BK, Lee YT, Kim EK, Chang SA, Park SJ, Choi JO, Lee SC, Park SW, Cho YS, Choi JY, Gwon HC, Oh JK. Comparison of long-term clinical outcomes between revascularization versus medical treatment in patients with silent myocardial ischemia. *Int J Cardiol*. 2019 Feb 15; 277:47-53.
8. Wimmer NJ, Scirica BM, Stone PH. The clinical significance of continuous ECG (ambulatory ECG or Holter) monitoring of the ST-segment to evaluate ischemia: a review. *Prog Cardiovasc Dis*. 2013 Sep-Oct;56(2):195-202.
9. Petretta, M., Fiumara, G., Petretta, M.P. *et al*. Detection of silent myocardial ischemia: Is it clinically relevant?
10. Malhotra S, Sharma R, Kliner DE, Follansbee WP, Soman P. Relationship between silent myocardial ischemia and coronary artery disease risk factors. *J Nucl Cardiol* 2013.

*Р. ТАБУКАШВИЛИ, В. КАПЕТИВАДЗЕ, М. КУПАРАДЗЕ, Т. ЛАЗАШВИЛИ,
З. МАГЛАПЕРИДЗЕ, И. АВАЛИАНИ*

КЛИНИЧЕСКИЕ ОСОБЕННОСТИ БЕССИМПТОМНОЙ ИШЕМИИ ИНДУЦИРОВАННОЙ ФИЗИЧЕСКИМИ СТРЕСС-СИМПТОМАМИ

Тбилисский Государственный Медицинский Университет, Департамент Пропедевтики
Внутренних Болезней.

Резюме

Цель исследования: Определение некоторых клинических особенностей индуцированной бессимптомной ишемии под влиянием физических напряжений, тепловыми методами – холодной пробой. Определяли, в частности, гемодинамику, а также влияние анаприлина, Дилтиазема, изосорбида динитрата на активацию порога боли.

Материал и методы: I группа (14 больных, средний возраст - $56 \pm 4,6$ лет) с различными соматическими заболеваниями, у которых при физической нагрузке обнаружилось на ЭКГ – депрессия ST-сегмента. II группа (28 больных, средний возраст - 42 ± 5 лет) нестабильной стенокардией, при физической нагрузке обнаружилось на ЭКГ – депрессия ST-сегмента. III группа (16 больных, средний возраст - $45 \pm 6,7$ лет) нейроциркулярной дистонией у которых при физической нагрузке не обнаружилось на ЭКГ - депрессия ST-сегмента.

Результаты: Артериальная гипертензия наблюдалась у 6 больных I группы и у 13 больных II группы. Порог болевой чувствительности отмечался при артериальной гипертензии и без наличия нее: $12,8 \pm 3,2$ и $5,4 \pm 2,1$ сек. Соответственно ($p < 0,05$). порог боли в I группе был $14,4 \pm 2$ сек., во II группе - $7,5 \pm 3,2$ сек. в III группе - $5,1 \pm 4,1$ сек. В I группе порог болевой чувствительности достоверно был больше, чем в двух остальных ($p < 0,05$).

Выводы: у больных с бессимптомной ишемией и высоким порогом болевой чувствительности отмечается пониженная гемодинамическая реакция на симпатическую стимуляцию холодом по сравнению с группами больных нейроциркулярной дистонией и нестабильной стенокардией.

რ. თაბუკაშვილი, ვ. კაპეტივაძე, მ. კუპარაძე, თ. ლაზაშვილი,

ზ. მაგლაპერიძე, ი. ავალიანი

ფიზიკური სტრეს-ტესტით ინდუცირებული უსიმპტომო იშემიის ზოგიერთი კლინიკური თავისებურება

შინაგან დაავადებათა პროპედევტიკის დეპარტამენტი, თსსუ

რეზიუმე

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ფიზიკური დატვირთვით ინდუცირებული უსიმპტომო იშემიის შემთხვევაში ტკივილის პერცეფციის ზღურბლის ზოგიერთი კლინიკური თავისებურებების დადგენა სითბური მეთოდით - სიცივის სინჯის გამოყენებით - კერძოდ ჰემოდინამიკის რეაქციის შესწავლა სიცივის სინჯით, ასევე ანაპრილინით, დილთიაზემით, იზოსორბიდ დინიტრატით მკურნალობის გავლენის შესწავლა ტკივილის აქტივაციის ზღურბლზე. დაკვირვება წარმოებდა სამი ჯგუფზე: I-ჯგუფი (14 ავადმყოფი, საშუალო ასაკი - 56 ± 4.6 წელი) სხვადასხვა სომატური

პათოლოგიით, რომლებსაც ფიზიკური დატვირთვის ტესტით გამოუვლინდათ ეკგ-ზე ST-სეგმენტის დეპრესია. II-ჯგუფი (28 ავადმყოფი, საშუალო ასაკი 42 ± 5 წელი) არასტაბილური სტენოკარდიით, რომლებსაც ფიზიკური დატვირთვის ტესტით დაუდგინდა ST-სეგმენტის იშემიური დეპრესია. III- ჯგუფი: ფიზიკური დატვირთვის ტესტით არ იყო გამოვლენილი ST-სეგმენტის დეპრესია, ამ ჯგუფს შეადგენდა 16 პირი, ნეიროციკულატორიული დისტონიით (საშუალო ასაკი $45 \pm 6,7$ წელი).

შედეგები: არტერიული ჰიპერტენზია აღენიშნებოდა I ჯგუფის 6 და II ჯგუფის 13 ავადმყოფს. ტკივილის პერცეფციის მაჩვენებლები არტერიული ჰიპერტონიის შემთხვევაში და მის გარეშე: $12,8 \pm 3,2$ და $5,4 \pm 2,1$ წმ. შესაბამისად ($p < 0,05$). ტკივილის პერცეპცია პირველ ჯგუფში შეადგენდა $14,4 \pm 2$ წმ. II ჯგუფში $7,5 \pm 3,2$ წმ. III $5,1 \pm 4,1$ წმ. I ჯგუფში ტკივილის შგრძნების ზღურბლი სარწმუნოდ უფრო მეტია, ვიდრე ორ დანარჩენში ($p < 0,05$).

ამგვარად, ავადმყოფები, რომლებსაც აღენიშნებათ უსიმპტომო იშემიის ეპიზოდები და ტკივილის პერცეფციის მაღალი ზღურბლი, სიცივით ინდუცირებულ სიმპატიკურ სტიმულაციაზე პასუხობენ შესუსტებული ჰემოდინამიკური რეაქციით, განსხვავებით ნეიროციკულარული დისტონიით და არასტაბილური სტენოკარდიით დაავადებულებისგან.



*ნატო კორსანტია, ა.კაციტაძე, ნ.კილაძე, ნ.ცისკარიშვილი, მ.თევზაძე,
ნ.ადამაშვილი, ნინო კორსანტია*

**ჟიბერის ვარდისფერი პიტირიაზი მარტივი ჰერპესის ფონზე - კლინიკური შემთხვევა
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი**

*NATO KORSANTIA, AL. KATSITADZE, N.KILADZE, N.TSISKARISHVILI, M.TEVZADZE,
N.ADAMASHVILI, NINO KORSANTIA*

PITYRIASIS ROSEA GIBERT AND HERPES SIMPLEX – CLINICAL CASE

Tbilisi State Medical Centre

SUMMARY

Pityriasis rosea (PR) is a dermatological disorder seen commonly in clinical practice. Despite its prevalence and benign nature, there are still times when this common disorder presents in an uncommon way or course posing diagnostic or management problems for the physician. The etiopathogenesis of PR has always been a dilemma, and extensive research is going on to elicit the exact cause. This review and case report focus mainly on the difficult aspects of this benign common disorder such as etiopathogenesis, atypical manifestations, recurrent cases, differential diagnosis and treatment.

ვარდისფერი პიტირიაზი (PR) პაპულო-სქვამოზური დაავადებაა, რომელიც პირველად 1798 წელს რობერტ ვილანმა აღწერა, თუმცა სხვა ტერმინოლოგიით [1]. 1860

წელს კი ჟიბერმა დაახასიათა მისი კონკრეტული, ლაქოვანი ფორმა (Gibert CM. *Traité Pratique Des Maladies de La Peau et de La Syphilis, Volume 2.* H. Plon, Paris, France; 1860).

დაავადება ჩვეულებრივ იწყება დიდი ზომის ერთემატოზული, ქერცლით დაფარული ლაქით, რომელსაც ეწოდება ჰერალდის ბალთა ან დედისეული ლაქა, რასაც მოსდევს მრავალი, მეორადი, მცირე ზომის ერთემატოზული აქერცლილი ლაქები, რომლებიც განლაგებულია ძირითადად გულმკერდსა და ზურგზე. ჩვეულებრივ, გამონაყარს წინ უძღვის ყელის ტკივილი, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დარღვევები, ცხელება და ართრალგია. ამასთან, ვინაიდან პროდრომი შეიძლება იყოს მსუბუქი და გამონაყარი მოგვიანებით განვითარდეს, პაციენტმა შეიძლება არც კი მიაქციოს სათანადო ყურადღება ანამნეზს. PR-ის სავარაუდო სიხშირე 0,5-2%-ს შეადგენს და გვხვდება ორივე სქესში, 15-30 წლის ასაკში, თუმცა ასევე ხშირად გვხვდება ხანდაზმულებში და ბავშვებში. [3] დაავადება უმეტეს შემთხვევაში, 2-8 კვირაში გადის. დაფიქსირებულია ოჯახური კლასტერები, აღსანიშნავია რომ დაავადება უფრო ხშირია ზამთარში.

PR დიაგნოზი და მართვა ჩვეულებრივ ადვილია, თუმცა არსებობს გარკვეული ასპექტები, რომელთა წინაშეც დგება დერმატოლოგი ყოველდღიურ პრაქტიკაში. ამიტომ წარმოდგენილი მიმოხილვა და კლინიკური შემთხვევის აღწერა მოწოდებულია ვარდისფერი პიტირიაზის ზოგიერთი ასპექტის უფრო ძირფესვიანი შეფასებისთვის.

ბოლო წლების განმავლობაში უამრავი ჰიპოთეზა იქნა გამოთქმული PR-ის ზუსტი მიზეზის შესახებ, რაც მოიცავს როგორც ინფექციურ აგენტებს, როგორცაა ვირუსები, ბაქტერიები, სპიროქეტები და არაინფექციურ მდგომარეობებს, როგორცაა ატოპია და აუტოიმუნუიტეტი.

არსებობს მრავალი ფაქტორი, რომლებიც მიუთითებენ ინფექციური ეტიოლოგიის შესაძლებლობაზე, როგორცაა სეზონური ვარიაციები, პროდრომის არსებობა, ზოგიერთ შემთხვევაში ოჯახური კლასტერები და ჰერალდის ბალთა (რაც შეიძლება კორელაციაში იყოს ორგანიზმის ინოკულაციასთან), რომელსაც მოყვება მეორადი გამონაყარი და იშვიათი რეციდივები. ამასთან, მიუხედავად მრავალი მცდელობისა, მაინც არ არსებობს სარწმუნო მტკიცებულება ამ ინფექციის რომელიმე კონკრეტული ერთი ინფექციური აგენტის შესახებ. ამ მიზეზამ გამოიწვია რიგი ორგანიზმების შეფასება, როგორცაა ციტომეგალოვირუსი (CMV), ებშტეინ – ბარის ვირუსი, პარვოვირუსი B19, პიკორნავირუსი, გრიპის და პარაგრძის ვირუსები, Legionella spp., Mycoplasma spp. და Chlamydia spp. ინფექციები; ამასთან, არსებობს მტკიცებულებები, რომ PR არ არის დაკავშირებული მათთან [4, 8]

ბოლო პერიოდში სულ უფრო იზრდება მტკიცებულებები, რომლებიც მიანიშნებს ადამიანის ჰერპესის ვირუსის (HHV) როლზე PR პათოგენეზში. 1997 წელს Drago et al. პირველად გამოთქვა აზრი HHV 7-ის როლზე PR ეტიოლოგიაში, PR პაციენტების (და არა კონტროლის) შრატსა და პერიფერიული სისხლის მონონუკლეარულ უჯრედებში HHV 7-ის აღმოჩენით, რაც მიუთითებს სავარაუდო მიზეზობრივ კავშირზე. [5]

Watanabe et al. ჩაატარა პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია (PCR) HHV 6, HHV 7 და CMV დნმ-ის დასადგენად 14 PR პაციენტში, სადაც HHV 7 დნმ აღმოჩნდა დაზიანებულ კანში (93%), არადაზიანებულ კანში (86%), ნერწყვში (100%), პერიფერიული სისხლის მონონუკლეარული უჯრედების (83%) და შრატის (100%) ნიმუშებში, ხოლო HHV 6 დნმ დაფიქსირდა დაზიანებულ კანში (86%), არადაზიანებულ კანში (79%), ნერწყვში (80%), პერიფერიული სისხლის მონონუკლეარული უჯრედების (83%) და შრატის (88%) ნიმუშებში. CMV არ დაფიქსირდა არცერთ ჩამოთვლილ ნიმუშში [6].

ავტორებმა ასევე განაცხადეს, რომ ვინაიდან ვირუსი ნერწყვში იქნა აღმოჩენილი, პაციენტებს ჰქონდათ უფრო მეტად რეაქტივაცია, ვიდრე პირველადი ინფექცია, რადგან სანერწყვე ჯირკვლები რეზერვუარად მოქმედებს მხოლოდ ადრე ინფიცირებულ პირებში. გარდა ამისა, დაზიანებულ კანში ამ ვირუსების მცირე დონემ გამოიწვია ჰიპოთეზა, რომ ეს ვირუსები არ აზიანებენ უშუალოდ კანის უჯრედებს და PR რეალურად რეაქტიული რეაქციის შედეგია სისტემური ვირუსული რეპლიკაციისთვის. მიჩნეულია, რომ ვირუსული ინფექციების აქტივაცია ხდება იმუნური სისტემის დათრგუნვის ფონზე. ამიტომაც ჰიპოთეზის სახით შესაძლებელია ვარაუდი, რომ ვარდისფერი პიტირიაზის დასაწყისი შეიძლება კავშირში იყოს იმუნური სისტემის დათრგუნვასთან, გამოწვეული სხვადასხვა მიზეზის გამო [12,13].


PR-ის ატიპიური გამოვლინებები ჩვეულებრივ გვხვდება დერმატოლოგიურ პრაქტიკაში და უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ვარიანტების უმეტესობა ატიპიურია მორფოლოგიაში და არა პროგნოზში. ატიპიური ფორმების სიხშირე 20% -ს შეადგენს [15]. ატიპიურობა შეიძლება გამოიხატებოდეს მორფოლოგიაში, ზომაში, განაწილებაში, მიმდინარეობაში ან სიმპტომებში. ზოგი ავტორი მიიჩნევს, რომ ბავშვები უფრო მეტად არიან განწყობილნი ატიპიური ვარიანტების მიმართ, ვიდრე მოზრდილები [7]. ატიპიურ ვარიანტებს მიეკუთვნება ვეზიკულური, პურპურული, ურტიკარიული, ლიქენოიდური, გენერალიზებული, მრავალფორმიანი ექსუდაციური ერითემის მსგავსი, ფოლიკულური, გიგანტური, ექსფოლიაციური ფორმები [9].

ითვლება, რომ PR-ის განმეორება იშვიათია და მეორე ეპიზოდი კვლევებით დაფიქსირებულია პაციენტთა 1-3% -ში. მრავალჯერადი განმეორება (>2) ითვლება ძალიან იშვიათად. რეციდივის ზუსტი ეტიოლოგია არ არის ცნობილი, მაგრამ თვლიან, რომ სხვა HHV ვირუსების მსგავსად (varicella zoster virus და Epstein-Barr virus), რომლებიც დაკავშირებულია რეაქტივაციასთან; HHV6 და HHV7 - ის რეაქტივაცია შეიძლება იყოს პასუხისმგებელი განმეორებით ეპიზოდებზე [10]

ვარდისფერი პიტირიაზის დიაგნოზის დროს უნდა გამოირიცხოს ისეთი დაავადებები, როგორცაა: მეორადი სიფილისი, დერმატოფიტია, წვეთოვანი ფსორიაზი, ნუმულარული ეგზემა, ქვემწვავე მგლურა, კანის T-უჯრედოვანი ლიმფომა. იშვიათი მდგომარეობები: წითელი ბრტყელი ლიქენი, ცენტრიდანული ერითემა, ნაირფეროვანი პიტირიაზი, ტოქსიდერმია, ვასკულიტი [11].

ვარდისფერი პიტირიაზის მკურნალობა სიმპტომურია. იმის გათვალისწინებით, რომ დაავადება უმეტესად გართულებების გარეშე თავისით გადის, სისტემური მკურნალობის სქემები არ გამოიყენება. მაგრამ გავრცელებული, გამოხატული სიმპტომების დროს დამატებით ინიშნება ანტიჰისტამინები. ანტიბიოტიკების და ანტივირუსული პრეპარატების გამოყენება დაფიქსირდა მხოლოდ იმ კვლევებში, რომლებიც მიმართული იყო ეტიოლოგიური ფაქტორის აღმოჩენისკენ. განსაკუთრებით ხშირია ამ მხრივ აციკლოვირის ჩართვა. კვლევებმა აჩვენა აციკლოვირის ჯგუფში უფრო სწრაფი გამოჯანმრთელება, სიმპტომების (ქავილი) გაქრობა [11].

წარმოგიდგენთ ჩვენს კლინიკურ შემთხვევას. მოგვმართა 33 წლის მამაკაცი, ჩივილებით ლაქოვან გამონაყარზე გულმკერდსა და ზურგზე, ასევე მარჯვენა თეძოს არეში შეჯგუფებულ წვრილ ბუშტუკებზე. აღნიშნავდა ქავილს, განსაკუთრებით ოფლიანობის და აბაზანიდან გამოსვლის შემდეგ. თავდაპირველად შენიშნა წვრილბუშტუკოვანი ელემენტების ჯგუფი, რამდენიმე დღეში დააფიქსირა ვარდისფერი ლაქების გაჩენა, თანდათანობით გავრცელებით გულმკერდზე და შემდეგ ზურგზე. ავადაა ჯამში 2 კვირა.



ობიექტურად, პაციენტს გულმკერდსა და ზურგზე აღენიშნება სხვადასხვა ზომის, უპირატესად 1 სანტიმეტრის ლაქოვანი გამონაყარი, აგრეთვე მარჯვენა თეძოს უბანში - წვრილ ბუმბუტოვანი გამონაყარი, რეგრესიის სტადიაში.

დიაგნოზი: მარტივი ჰერპესი, ჟიბერის ვარდისფერი პიტირიაზი - დაისვა კლინიკური გამოვლინებების საფუძველზე. მეორადი სიფილისის გამორიცხვის გამო ჩატარდა VDRL კვლევა, რომელმაც მოგვცა უარყოფითი პასუხი.

მკურნალობის სქემა: მარტივი ჰერპესის გამო - აციკლოვირი 200, თითო აბი 5 ჯერ დღეში 7 დღის განმავლობაში, ადგილობრივად აციკლოვირის კრემი. ჟიბერის ვარდისფერი პიტირიაზის გამო - ერითუსი 5მგ, თითო აბი, 10 დღის განმავლობაში, ლოკალურად უპირატესად საბავშვო პუდრა დღეში 3-4 ჯერ, წყლის პროცედურების შეზღუდვით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Weiss L. Pityriasis rosea – An erythematous eruption of internal origin. JAMA. 1903;41:20–8.
2. Schwartz R, Janniger C.– Pityriasis Rosea – emedicine.medscape.com/article/1107532 – 2021.
3. Khushbu Mahajan et al. - Pityriasis Rosea: An Update on Etiopathogenesis and Management of Difficult Aspects - Indian J Dermatol. 2016 Jul-Aug; 61(4): 375–384
4. Chuh A, Chan H, Zawar V. Pityriasis rosea – Evidence for and against an infectious aetiology. Epidemiol Infect. 2004;132:381–90.
5. Drago F, Ranieri E, Malaguti F, Battifoglio ML, Losi E, Rebora A. Human herpesvirus 7 in patients with pityriasis rosea. Electron microscopy investigations and polymerase chain reaction in mononuclear cells, plasma and skin. Dermatology. 1997;195:374–8.
6. Watanabe T, Sugaya M, Nakamura K, Tamaki K. Human herpesvirus 7 and pityriasis rosea. J Invest Dermatol. 1999;113:288–9.
7. Zawar V, Jerajani H, Pol R. Current trends in pityriasis rosea. Expert Rev Dermatol. 2010;5:325–33
8. Rebora A, Drago F, Broccolo F. Pityriasis rosea and herpesviruses: facts and controversies. Clin Dermatol. 2010;28(5):497-501.

9. Harvell JD, Selig DJ. Seasonal variations in dermatologic and dermatopathologic diagnoses: a retrospective 15-year analysis of dermatopathologic data. *Int J Dermatol.* 2016;55(10):1115-1118.
10. Drago F, Ciccarese G, Rebora A, et al. Relapsing pityriasis rosea. *Dermatology.* 2014;229(4):316-318.
11. Clark M., Gudjonsson J. – Pityriasis Rosea – *Fitzpatrick’s Dermatology*, 2019; 9, 2, 31: 518-526.
12. Хачапуридзе Д.Р., Корсантия Н.Б., Патарая М.Р., Корсантия Б.М. - Изменения окислительного метаболизма у больных рецидивирующим герпесом - *Аллергология и иммунология*, М., 2008, том 9, №5, 554-556.
13. Nato Korsantia, A. Katsitadze, V. Bakhutashvili, Nino Korsantia - Clinical and Immunological Aspects of Treatment of Acute Herpetic Stomatitis with Plaferon-containing Adhesive Films. *Annals of Biomedical Research and Education*, 2003, Vol 3, Iss 2, 117-120

*НАТО КОРСАНТИЯ, А. КАЦИТАДЗЕ, Н. КИЛАДЗЕ, Н. ЦИСКАРИШВИЛИ,
М. ТЕВЗАДЗЕ, Н. АДАМАШВИЛИ, НИНО КОРСАНТИЯ*
РОЗОВЫЙ ЛИШАЙ НА ФОНЕ ПРОСТОГО ГЕРПЕСА - КЛИНИЧЕСКИЙ СЛУЧАЙ
Тбилисский Государственный Медицинский Университет

Резюме

Розовый лишай (PR) — это дерматологическое заболевание, часто встречающееся в клинической практике. Несмотря на свою распространенность и доброкачественный характер, все же бывают случаи, когда проявляется необычным образом или, создает диагностические или лечебные проблемы для врача. Этиопатогенез PR всегда был дилеммой, и продолжают обширные исследования, чтобы выявить точную причину. В этом обзоре и описании случая основное внимание уделяется сложным аспектам этого распространенного доброкачественного заболевания, таким как этиопатогенез, атипичные проявления, рецидивирующие случаи, дифференциальная диагностика и лечение.

*ნატო კორსანტია, ა.კაციტაძე, ნ.კილაძე, ნ.ცისკარიშვილი, მ.თევზაძე,
ნ.ადამაშვილი, ნინო კორსანტია*

ქიბერის ვარდისფერი პიტირიაზი მარტივი ჰერპესის ფონზე - კლინიკური შემთხვევა
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

რეზიუმე

ქიბერის ვარდისფერი პიტირიაზი (PR) ხშირად გვხვდება დერმატოლოგის კლინიკურ პრაქტიკაში. მისი გავრცელებისა და კეთილთვისებიანი ხასიათის მიუხედავად, ჯერ კიდევ ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ეს, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი დაავადება პრობლემებს ქმნის ექიმისთვის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თვალსაზრისით. PR- ის ეტიოპათოგენეზი ყოველთვის იყო დილემა და მიმდინარეობს ფართო კვლევები ზუსტი მიზეზის დასადგენად. ეს მიმოხილვა და კლინიკური შემთხვევის აღწერა ძირითადად ფოკუსირდება დაავადების იმ რთულ ასპექტებზე, როგორცაა ეტიოპათოგენეზი, ატიპიური გამოვლინებები, განმეორებითი შემთხვევები, დიფერენციალური დიაგნოზი და მკურნალობა.



თ.გოგიჩაძე, ე.მისაბიშვილი, გ.გოგიჩაძე
პლაზმური მემბრანების პერფორაციები, როგორც სიმსივნური ტრანსფორმაციის
საწყისი ეტაპი
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

T.GOGICHADZE, E.MISABISHVILI, G.GOGICHADZE
**PERFORATIONS OF PLASMA MEMBRANES, AS INITIAL STAGE OF TUMOR
TRANSFORMATION**

Tbilisi State Medical University, Tbilisi, Georgia

SUMMARY

Numerous carcinogenic substances and factors of different natures probably can signify that these carcinogens must start up some common mechanism of normal cells transition into transformed states. Influence of physical, chemical and biological carcinogenic agents on cells probably are adequate. By our opinion the common mechanism of action of diametrically different carcinogens on target-cells is the destruction of the plasmatic membrane. After influence of different carcinogens, cells' fusion originates as a result of cytoplasmic membranes perforations, i.e. formation in plasma membranes pores, what induces alteration of summary superficial charge of cells' surface. Because of this, cells acquire ability to approach each other, what in many cases may be a premise for fusion process.

როგორც ცნობილია, ნორმალური უჯრედების კიბოს უჯრედებად კონვერსიას იწვევს უამრავი, თავისი ბუნებით ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული აგენტები და ფაქტორები. მათ შორის უნდა აღინიშნოს ფიზიკური (სხვადასხვა ბუნების რადიაცია) ფაქტორები, ქიმიური (ამჟამად ცნობილია 1500-ზე მეტი კანცეროგენური ქიმიური ნივთიერება და კომბინაცია) ნივთიერებები და ბიოლოგიური აგენტები - ტოქსინები, ინფექციური და ონკოგენური ვირუსები და სხვა [1]. ასეთივე მოქმედებით ხასიათდებიან სხვადასხვა ფარმაკოლოგიური აგენტები, ორალური კონტრაცეპტივები, დამწვრობები, ტრავმები, ქრონიკული ანთებითი პროცესები და ა.შ. კანცეროგენური აგენტების და ფაქტორების საოცარი სიმრავლე და მათი მოქმედების ფართო სპექტრი, თითქოსდა მიუთითებს მათ უნარზე, აამუშავოს ყველა სომატურ უჯრედში არსებული ნორმალური ბიოლოგიური პროგრამა, ე.ი. რომელიღაც ერთიანი მექანიზმი, რასაც შეუძლია გამოიწვიოს ნორმალური უჯრედების სიმსივნური ტრანსფორმაცია.

როგორ შეიძლება, რომ დიამეტრალურად ისეთმა განსხვავებულმა აგენტებმა და ფაქტორებმა, როგორებიცაა რენტგენის გამოსხივება, პლასტმასის იმპლანტაცია, ვირუსი და უამრავი სხვა, გამოიწვიოს ერთი და იგივე შედეგი – ნორმალური უჯრედის კონვერსია კიბოს უჯრედად? ადეკვატურია თუ არა უჯრედების სიმსივნური ტრანსფორმაციის მექანიზმი ამ უამრავი კანცეროგენური აგენტების და ფაქტორების შენთხვევაში? საკითხი დადებითად შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დავუშვებთ, რომ ყველა ზემოჩამოთვლილი სტიმული ხელს უწყობს იმ პროცესის (პროცესების) აქტივაციას, რომელსაც უჯრედი მათ გარეშეც ახორციელებს, ასე ვთქვათ, სპონტანურად, ყოველდღიურად. კანცეროგენები იძლევიან მხოლოდ ბიძგს, შემდეგ კი უჯრედი მოქმედებს დამოუკიდებლად.

ჩვენი შეხედულებით, ეს კონკრეტული პროცესი, ანუ დიმეტრალურად განსხვავებული ბუნების კანცეროგენების ზემოქმედება სამიზნე უჯრედებზე, მდგომარეობს სომატური უჯრედების პლაზმურ მემბრანებში სხვადასხვა ზომის (მოცულობის) პერფორაციების ფორმირებაში და შემდგომ ამისა, სომატური უჯრედების შერწყმაში ანუ ფუზოგენიაში. პერფორაციის პროცესი ასუსტებს უჯრედებში არსებულ ელექტროსტატიკურ განზიდვის ძალებს და აძლიერებს ვან დერ ვაალსის მიზიდულობის ძალებს [2,3]. ეს კი ხელს უწყობს სომატური უჯრედების მიახლოებას და კონტაქტს ერთმანეთთან. გამოირკვა, რომ ფუზოგენიის წინაპირობის – სომატური უჯრედების პლაზმური მემბრანების პერფორაციების ინდუქცია შეუძლიათ როგორც ვირუსებს, ასევე ყველა სხვა კანცეროგენურ და ერთი შეხედვით, არა კანცეროგენურ აგენტს (ქიმიურ კანცეროგენებს, დასხივებებს, ზოგიერთ ტოქსინს, ვირუსს, ცხიმოვან მჟავას, ნახშირწყალს და უამრავ სხვას). ეს საბოლოო ჯამში ცვლის ამ პლაზმური მემბრანების ელექტრულ მახასიათებლებს: მათი საკმაოდ მაღალი სუმარული უარყოფითი მუხტი ქვეითდება და უჯრედები იძენენ ერთმანეთთან მიახლოების და შემდგომი კონტაქტის შესაძლებლობას (ადჰეზია). თუ პლაზმალემების პერფორირებული უბნები ერთმანეთს დაემთხვა, შესაძლებელია ადგილი ექნეს უჯრედების გაერთიანებას (ფუზოგენიას) და დიკარიონების ან პოლიკარიონციტების ფორმირებას [4,5]. ამრიგად, სხვადასხვა ბუნების კანცეროგენების (და არაკანცეროგენების) ზემოქმედებას სამიზნე-უჯრედებზე გააჩნია ადეკვატური ხასიათი.

რაში მდგომარეობს სომატური უჯრედების შერწყმის პროცესის ბიოლოგიური არსი ანუ რისთვისაა იგი აუცილებელი ნორმალური სომატური უჯრედისათვის, და მთლიანად, ორგანიზმისათვის? როგორც ეტყობა, ფუზოგენია, ისევე როგორც სხვა პროცესები (მიტოზი, დიფერენციაცია, ფაგოციტოზი, ნეკრობიოზი, პინოციტოზი, როფეოციტოზი და სხვა), შეადგენს სომატური უჯრედის ნორმალური პროგრამის შემადგენელ ნაწილს. ყველა ამ პროცესს გააჩნია თავისი ბიოლოგიური ფუნქცია, მნიშვნელობა, მათ შორის ფუზოგენიის პროცესსაც. კერძოდ, იგი მოწოდებულია გაზარდოს შესაბამისი ორგანოს (ქსოვილის) უჯრედების რეზისტენტობა სხვადასხვა მავნე ზემოქმედებების მიმართ პოლიპლოიდიზაციის გზით. სამწუხაროდ, უჯრედისათვის და ზოგადად ორგანიზმისათვის უთუოდ სასარგებლო და საჭირო, მრავალსაუკუნოვანი ევოლუციით შექმნილი პროცესი (ფუზოგენია), ზოგ (საბედნიეროდ, ძალზე იშვიათ!) შემთხვევაში, მაღალი ონკოგენური პოტენციის მქონე დიკარიონების (ორბირთვიანი უჯრედების) ფორმირების გამო, შეიძლება გადაიზარდოს ჯერ პრეკანცეროზულ, შემდეგ კი ჭეშმარიტ კიბოს უჯრედად.

ინიციაციის სტადიაზე დიკარიონის ინტერფაზური ბირთვებიდან კარიოგამიის მეშვეობით შესაძლებელია წარმოიქმნეს ჰიბრიდული უჯრედი – ე.წ. პრეკანცეროზული (ინიცირებული, იმორტალიზებული) უჯრედი. უმრავლეს შემთხვევაში პრეკანცეროზული უჯრედები მორფოლოგიურად ემსგავსებიან ან ერთ ან მეორე წინამორბედ ანუ ერთ-ერთ საწყის პარტნიორ უჯრედს. გენეტიკური კანონების თანახმად, შესაძლებელია ადგილი ექნეს ნიშანთვისებათა შუალედურ დამემკვიდრებასაც. ასეთ შემთხვევაში პრეკანცეროზულ სინკარიონებს ექნებათ ე.წ. მოზაიკური მორფოლოგია ანუ ისინი ერთდროულად იქნებიან ორივე პარტნიორ-უჯრედის მორფოლოგიური თავისებურებების მტარებლები.

პრეკანცეროზული ანუ ინიციირებული უჯრედები მაკროორგანიზმში შესაძლებელია გა ნუსაზღვრელად დიდხანს, ათწლეულობითაც კი არსებობდნენ ლატენტურ, მთვლემარე მდ გო მარეობაში, ე.ი. მიტოზური ციკლის გარეშე.

თავდაპირველად, პრეკანცეროზულ უჯრედში ქრომოსომების კომპლექტი როგორც ეტყობა, მცირე ხნით მაინც ინარჩუნებს ტეტრაპლოიდიის მდგომარეობას. წარმოქმნილ პრეკანცეროზულ და შემდეგ, სიმსივნურ სინკარიონში ქრომოსომების სტრუქტურული აბერაციების პარალელურად მიმდინარეობს აგრეთვე მათი სეგრეგაცია, რაც ამ უჯრედში ქრომოსომათა რაოდენობრივ ცვლილებებს იწვევს. – ტეტრაპლოიდიის ნაცვლად ხშირად ადგილი შეიძლება ჰქონდეს ჰიპოტეტრაპლოიდიას, ჰიპერდიპლოიდიას და ა.შ.

იმ მრავალრიცხოვანი დიკარიონებისა და პრეკანცეროზული უჯრედებისაგან, რომლებიც სხვადასხვა ბუნების კანცროგენების ზემოქმედების შედეგად წარმოიქმნენ ინიციაციის სტადიაზე, მხოლოდ ზოგიერთებს და ისიც ძალზე იშვიათად თუ ძალუმთ შეიძინონ ანომალური და შეუზღუდავი პროლიფერაციის პოტენცია ანუ კიბოს უჯრედად ტრანსფორმირების უნარი. გაცილებით უფრო ხშირად წარმოიქმნებიან გიგანტური მრავალუჯრედიანი უჯრედები (პოლიკარიოციტები), რომლებიც ენდომიტოზის შედეგად წარმოქმნილი პოლიკარიოციტებისაგან განსხვავებით, უმეტეს შემთხვევაში არასიცოცხლისუნარიანნი არიან და მალე იღუპებიან.

პრეკანცეროზული უჯრედის კიბოს უჯრედად ტრანსფორმაციას სავარაუდოა, რომ გააჩნდეს მოლეკულური და სუბუჯრედული საფუძველი, რაც გამოიხატება გენების ამპლიფიკაციაში და ქრომოსომების სტრუქტურულ აბერაციებში. ამ დონეებზე მიმდინარე პროცესების თანხვედნისას, მილიონი პრეკანცეროზული უჯრედიდან მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს ადგილი ჰემმარიტი კიბოს უჯრედის ფორმირებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Cohen S.M., Arnold L.L. - Chemical carcinogenesis.// Toxicological Sciences, 2011,120 (supp. 1), p. 576-592
2. Gogichadze G.K., Gogichadze T.G., Kamkamidze G.K.- Presumably Common Trigger Mechanism of Action of Diametrically Different Carcinogens on Target Cells. // Cancer and Oncol. Res., 2013, 1 (2), p. 65-68.
3. Minuk G.Y., Zhang M., Gong Y. et al. - Decreased Hepatocyte Membranes Potential Differences and BABAa-B3 Expression in Human Hepatocellular Carcinoma. //Hepatology, 2007, 45, 3, p.735-745.
4. Gogichadze G. - Views and Suppositions about the pathogenesis of Cancer./Disserta Verlag, Hamburg, 2016.
5. Gogichadze George D.K.- The Paradoxical Situation in Carcinogenesis. Optimistic mistake or pessimistic truth. /Cambridge Scholars Publishing. 2020.

Т. ГОГИЧАДЗЕ, Е. МИСАБИШВИЛИ, Г. ГОГИЧАДЗЕ

ПЕРФОРАЦИИ ПЛАЗМАТИЧЕСКИХ МЕМБРАН, КАК НАЧАЛЬНЫЙ ЭТАП ОПУХОЛЕВОЙ ТРАНСФОРМАЦИИ

Тбилисский Государственный Медицинский Университет, Тбилиси, Грузия

Резюме

Существование множества канцерогенных веществ и факторов различной природы, несомненно является показателем того, что данные канцерогены могут дать начало какому-то

общему механизму превращения нормальной клетки в трансформированное состояние. Воздействие различных физических, химических и биологических канцерогенных агентов и факторов на клетки может носить адекватный характер. На наш взгляд, общий механизм воздействия диаметрально противоположных по своей природе канцерогенов на клетки-мишени, состоит в деструкции плазматической мембраны. После воздействия различных канцерогенов, слияния соматических клеток обуславливают перфорации цитоплазматических мембран, т.е. формирование пор в плазматических мембранах, что индуцирует изменение суммарного заряда клеточной поверхности. Исходя из этого, клетки приобретают способность контактирования друг с другом, что в некоторых случаях может стать предпосылкой процесса фузогении и формирования опухолевого синкарiona.

თ.გოგიჩაძე, ე.მისაბიშვილი, გ.გოგიჩაძე

**პლაზმური მემბრანების პერფორაციები, როგორც სიმსივნური ტრანსფორმაციის
საწყისი ეტაპი**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

რეზიუმე

სხვადასხვა ბუნების უამრავი კანცეროგენური ნივთიერებების და ფაქტორების არსებობა უთუოდ მაჩვენებელი უნდა იყოს იმისა, რომ ყველა მათგანმა შეიძლება საწყისი მისცეს ნორმალური სომატური უჯრედის სიმსივნურად ტრანსფორმაციის ერთ, საერთო მექანიზმს. სხვადასხვა ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური კანცეროგენური აგენტების ზემოქმედება უჯრედებზე შესაძლებელია ადეკვატური იყოს. ჩვენი აზრით, თავისი ბუნებით დიამეტრალურად განსხვავებული კანცეროგენების სამიზნე-უჯრედებზე ზემოქმედების ერთიანი, საერთო მექანიზმი მდგომარეობს პლაზმური მემბრანების დესტრუქციაში. კანცეროგენების ზემოქმედების შემდგომ, უჯრედების ფუზოგენიას განაპირობებს ციტოპლაზმური მემბრანების პერფორაციები, ანუ მათში ფორების განვითარება, რაც იწვევს უჯრედების ზედაპირის ჯამური მუხტის ცვლილებას. აქედან გამომდინარე, უჯრედები იძენენ ერთმანეთთან მიახლოების და კონტაქტირების უნარს, რაც არც თუ იშვიათად შესაძლებელია გახდეს ფუზოგენიის და შემდგომი სიმსივნური ტრანსფორმაციის წინამორბედი.



ნ. თევზაძე, ს. გიორგაძე, ნ. გუჯაბიძე, რ. რუხაძე
აპოპტოზის უჯრედგარე სასიგნალო გზის მოლეკულები მწიფე ერითროციტებში
(მოკლე მიმოხილვა)

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
ჰისტოლოგიის, ციტოლოგიის და ემბრიოლოგიის დეპარტამენტი

N. TEVZADZE, S. GIORGADZE, N. GUJABIDZE, R. RUKHADZE
**THE COMPONENTS OF THE EXTRINSIC APOPTOTIC PATHWAY
IN MATURE ERYTHROCYTES
(BRIEF REVIEW)**

Tbilisi State Medical University
The Department of Histology, Cytology and Embryology

Summary

The programmed cell death – apoptosis plays an important role in the life of the nucleated cells. It is a vital component of different processes, like normal cell cycle, embryonic development, development and functioning of the immune system, etc. There are at least two signalling pathways that lead to apoptosis of the nucleated cells – the extrinsic pathway of the apoptosis and the intrinsic pathway of the apoptosis. The extrinsic pathway of apoptosis begins outside a cell, when conditions in the extracellular environment determine that a cell must die. The intrinsic pathway of apoptosis begins when an injury occurs within the cell and the resulting stress activates the apoptotic pathway. Erythrocytes, like nucleated cells, may undergo a form of suicidal cell death called eryptosis. The fact is that erythrocytes, which are devoid of nuclei, contain most components of the receptor-dependent apoptotic pathway. The components of the extrinsic and intrinsic apoptotic pathways play a significant role at the different stages of erythropoiesis and even in mature erythrocytes. Mature erythrocytes contain most components of the receptor-dependent apoptotic pathway, however, common inducers of apoptosis do not activate this pathway. Studies based on an animal model suggested that other stimuli, such as ROS or cholesterol accumulation, could activate the extrinsic apoptotic pathway. The data also demonstrate important effects of caspases-8 and caspase-3 on red cell membrane and membrane skeleton proteins, which are crucial in determining cell shape and erythrocyte deformability and therefore erythrocyte survival in the circulation. Understanding all of these processes may help to explain the pathophysiology of anemia. Despite extensive research, it is still unclear what the direct mechanism of apoptosis of erythroid cells is.

შესავალი. ცირკულაციაში მყოფი ერითროციტების სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ 120 დღეა. მწიფე ერითროციტი არ შეიცავს ბირთვის და ორგანელებს, შესაბამისად, ბირთვიანი უჯრედებისაგან განსხვავებით აპოპტოზს არ განიცდის. დაბერებული ერითროციტების ცირკულაციიდან გამოყვანის პროცესში წამყვან როლს მემბრანაში განვითარებული ცვლილებები ასრულებს. დაბერებული ერითროციტების მემბრანაში ზოლი 3 ცილას უკავშირდება ჰემიქრომები და ამ უკანასკნელს კომპლემენტის C3 ფრაგმენტისა და შესაბამისი ანტისხეულების სამიზნედ აქცევს. ოფსონიზაციის შემდგომ დაბერებულ ერითროციტებს მაკროფაგი შთანთქამს [1-3]. სიბერის დადგომამდე, ცირკულაციაში მყოფი ერითროციტების კვდომა ერითროციტის გზით ხორციელდება, რომელიც ჰემოლიზის გარეშე აცილებს ორგანიზმს დაზიანებულ ერითროციტებს [4].

ბირთვიანი უჯრედების მსგავსად, რომლებიც აპოპტოზს განიცდიან, ერთროციტმა შესაძლოა განახორციელოს „თვითმკვლელობა“, ე.წ. ერიპტოზი, რომელიც გარეგნულად საკმაოდ ჰგავს აპოპტოზის პროცესს [5]. კერძოდ, ვითარდება უჯრედის შეჭმუხვნა, მემბრანული ბუშტუკების წარმოქმნა და ფოსფატიდილსერინის გადანაცვლება უჯრედის გარსის შიგნითა ნახევრიდან გარეთა ნახევარში [6]. ერიპტოზი მკაცრად მართული პროცესია, რომელიც მრავალი რეცეპტორის, იონური არხის, ფერმენტის (ძირითადად კინაზების) და სასიგნალო მოლეკულის მონაწილეობით მიმდინარეობს [7]. ერიპტოზის დასაწყისი ყოველთვის უკავშირდება ციტოპლაზმაში Ca^{2+} -ის კონცენტრაციის მატებას, რასაც თან ახლავს Ca^{2+} დამოკიდებული კალიუმის არხების გახსნა, კალიუმის კონცენტრაციის მატება, სითხის დაკარგვა და უჯრედის შეჭმუხვნა. შემდგომი ცვლილებები მოიცავს ფოსფატიდილსერინის ადგილ-მონაცვლეობას, კალპეინის გააქტივებას, რაც ციტოჩონჩხის ცილების დაზიანებას და მემბრანული ბუშტუკების წარმოქმნას იწვევს [6, 7]. Ca^{2+} -ის კონცენტრაციის მატებით განპირობებულ ცვლილებებს აძლიერებს ცერამიდი, რომელიც მემბრანის სფინგომიელინების ჰიდროლიზის შედეგად წარმოიქმნება და ერიპტოზის მძლავრ სტიმულატორს წარმოადგენს [8]. ერიპტოზის გამომწვევი მიზეზები საკმაოდ მრავალფეროვანია, მათ შორის არის ოსმოსური შოკი [9], ოქსიდაციური სტრესი [10], ენერჯის დეფიციტი [11], ტემპერატურის მატება [12] და სხვ. თავის მხრივ ერიპტოზის ინჰიბირება შეუძლია აზოტის ოქსიდს [13], ერთროპოეტინს [14], ანტიოქსიდანტებს [7]. ერიპტოზსა და აპოპტოზს შორის გარეგნული მსგავსების მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ მათი გამომწვევი მიზეზები და განვითარების მექანიზმი საკმაოდ განსხვავებულია. აღსანიშნავია, რომ მემბრანაში განვითარებული ცვლილებები ნაკლები სიმძიმით გამოირჩევა, რაც სავარაუდოდ, ერთროციტში, ბირთვიანი უჯრედებისაგან განსხვავებით, მემბრანების მნიშვნელოვნად ნაკლები შემცველობით უნდა აიხსნას. წინამდებარე მიმოხილვაში ჩვენ შევეცდებით ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე განვსაზღვროთ აპოპტოზის როლი როგორც ერთროციტის წარმოქმნის პროცესში, ისე ცირკულაციაში მყოფი მწიფე ერთროციტის სიცოცხლისუნარიანობის თვალსაზრისით.

აპოპტოზის როლი ერთროციტოპოეზის რეგულაციაში. ძვლის წითელ ტვინში მუდმივად მიმდინარეობს ერთროციტების წარმოქმნა. მოზრდილი ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმში დღეში დაახლოებით 200 მილიარდი ერთროციტი წარმოიქმნება. ძვლის წითელი ტვინიდან სისხლში გადადის რეტიკულოციტები, რომლებიც რამდენიმე დღეში, დამახასიათებელი ფორმის ჩამოყალიბებისა და ორგანელების ნარჩენებისაგან განთავისუფლების შემდეგ, მწიფე ერთროციტებად ყალიბდებიან. ერთი მხრივ, რეტიკულოციტების რაოდენობის მუდმივი შევსება და, მეორე მხრივ, ერთროციტების კვდომა, ცირკულაციაში მყოფი ერთროციტების რაოდენობრივ მუდმივობას უზრუნველყოფს. ამრიგად, ერთროციტოპოეზი ერთროციტების წარმოქმნისა და კვდომის ინტენსივობას შორის არსებული წონასწორობით რეგულირდება [15].

ერთროციტოპოეზის მართვა ხორციელდება მრავალი ფაქტორით, როგორც არის ზრდის ფაქტორები და ციტოკინები (ერთროპოეტინი, SCF, G-SCF, IL-3), ვიტამინები (ფოლიუმის მჟავა, B12 და სხვ.), ჰორმონები (კორტიკოსტეროიდები, ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონები, ანდროგენები), რკინის შემცველობა და მისი მარეგულირებელი ფაქტორები (ფერიტინი, ტრანსფერინი, ფეროპროტეინი და სხვ.), ტრანსკრიპციული ფაქტორები (GATA-1, STAT5A, STAT5B) და სხვ. [16]. აღსანიშნავია, რომ ერთროპოეზის რეგულაციაში აპოპტოზის გამომწვევი ორი სასიგნალო გზა მონაწილეობს: მიტოქონდრიაზე

დამოკიდებული უჯრედშიდა გზა და კვდომის რეცეპტორთან დაკავშირებული უჯრედგარე გზა [17, 18].

უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა მკვლევარების ყურადღება ერთროპოეზისა და მისი მარეგულირებელი მექანიზმების მიმართ. აღმოჩნდა, რომ ერთროციტების წარმოქმნის რეგულაციის ერთერთი წამყვანი გზა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ერთროპოეზის ყველა სტადიაზე, არის აპოპტოზის უჯრედგარე სარეგულაციო მექანიზმი. მრავალრიცხოვანი კვლევები ადასტურებს სიმსივნის ნეკროზული ფაქტორის (TNF- α) მაინჰიბირებელ გავლენას ერთროციტების მომწიფების პროცესზე. არაპირდაპირ TNF- α გავლენას ახდენს ერთროციტული კოლონიის წარმოქმნაზე β ინტერფერონის მეშვეობით, რომელსაც ძვლის წითელი ტვინის უჯრედები გამოიმუშავებენ. მეორე მხრივ, TNF- α -ს აქვს უნარი პირდაპირ იმოქმედოს ერთროციტის წინამორბედ უჯრედებზე. საერთო ჯამში, TNF- α განიხილება როგორც უარყოფითი რეგულაციური ფაქტორი, რომელიც, როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი გზით თრგუნავს უმწიფარი ერთრობლასტების მომწიფებას და/ან შეუძლია არეგულიროს მათი რაოდენობა აპოპტოზის ინიცირების გზით [19, 20]. ექსპერიმენტული შრომები ასევე ადასტურებს, რომ ერთროპოეზის რეგულაციაში გარკვეულ როლს ასრულებს აპოპტოზის გამოწვევის FAS/FASL გზა. შესაბამისი სიკვდილის ლიგანდის (FASL) და რეცეპტორის (FAS) არსებობა შეინიშნება ბაზოფილური ერთრობლასტის სტადიამდე. ორივე ახორციელებს ერთროპოეზის ინჰიბირებას უმწიფარი ერთრობლასტების სტადიაზე [21-23]. რიგი კასპაზების გააქტივება ასევე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ერთრობლასტების დიფერენციაციის ადრეულ სტადიებზე. კასპაზა 1-3 და კასპაზა 5-9-ს პროფერმენტების შემცველობა უმაღლესია უმწიფარ ერთრობლასტებში. კასპაზა 3-ის მაღალი დონე დამახასიათებელია ბაზოფილური ერთრობლასტისათვის და იგი ძალიან მნიშვნელოვანია პოერიტრობლასტის ბაზოფილურ ერთრობლასტად დიფერენციაციისათვის. კასპაზა-3-ის ინჰიბირება თრგუნავს ერთროციტების დიფერენციაციას, თუმცა გავლენას არ ახდენს უჯრედის საბოლოო დიფერენციაციაზე, კერძოდ ბირთვის კონდენსაციასა და გამოძევებაზე [24, 25].

აპოპტოზის უჯრედგარე სასიგნალო გზა და მწიფე ერთროციტი. მწიფე ერთროციტში ბირთვისა და ორგანელების არარსებობა გამორიცხავს უჯრედშიგა აპოპტოზური გზის არსებობას. ერთროციტებში აპოპტოზის მექანიზმის შემსწავლელი შრომები ცალსახად ადასტურებს, რომ უჯრედში კასპაზა-9, აპოპტოზური პროტეაზების გააქტივებელი ფაქტორი 1 (APAF 1) და ციტოქრომ C არ არსებობს. მაგრამ იგივე შრომებით დასტურდება კასპაზა-3-ის და კასპაზა-8-ის მნიშვნელოვანი შემცველობა [26]. ამასთან, აღსანიშნავია, რომ აპოპტოზის კარგად ცნობილი გამომწვევები - CD95-მასტიმულირებელი ანტიხეულები და მიტომიცინ- c - უძლურია გააქტივოს ერთროციტის კასპაზა-3 და კასპაზა-8, მაშინ როდესაც იგივე სტიმულატორები იწვევენ აღნიშნული ფერმენტების გააქტივებას ბირთვიან უჯრედებში [27]. გააქტივებული კასპაზები შესაძლოა მონაწილეობდნენ ერთროციტის მემბრანული ცილების დეგრადაციაში, რაც თავის მხრივ ერთროციტის მემბრანის ფორმისა და მექანიკური თვისებების ცვლილებებს განაპირობებს. კასპაზა-8 მონაწილეობს β -სპექტრინის დეგრადაციაში. ექსპერიმენტულად გამოვლინდა, რომ ამ დროს იშლება სპექტრინის აქტინთან დამაკავშირებელი უბანი. ამ პროცესში 4.1 ზოლის ცილა მონაწილეობს [28]. მეორე მხრივ, ოქსიდაციური სტრესის პირობებში გააქტივებულ კასპაზა-3-ს აქვს უნარი დააზიანოს 3 ზოლის ცილის ციტოპლაზმური ნაწილი დაბერებულ ერთროციტებში. ამის შედეგად სუსტდება კავშირი 3 ზოლის ცილასა

და 4.2 ზოლის ცილას შორის, რასაც საბოლოო ჯამში სპექტრინთან კავშირის შესუსტება ახლავს თან [29, 30]. ასევე არსებობს მონაცემები, რომ კასპაზა-3 იწვევს 3 ზოლის ცილის გროვების წარმოქმნას და ხელს უწყობს მაკროფაგების მიერ ერითროციტის ფაგოციტოზს [31]. დამატებით, არსებობს მონაცემები, რომ ოქსიდაციური სტრესის პირობებში ერითროციტების მემბრანაში ფოსფატიდილსერინის გადანაცვლება მემბრანის გარეთა ნახევარში კასპაზა-3-თან არის დაკავშირებული [32].

ერითროციტის მემბრანაში ასევე გამოვლენილია FAS, FAS-ლიგანდი და FADD, რომლებსაც აპოპტოზის გამომწვევი უჯრედგარე სასიგნალო გზის განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ყველა ეს კომპონენტი დაბერებული ან ოქსიდაციური სტრესის ქვეშ მყოფი ერითროციტების მემბრანაში მდებარეობს [32]. არსებობს მონაცემები, რომ დარიშხანით მოწამვლის პირობებში ერითროციტების FAS-ით განპირობებული კვდომა შესაძლოა დაკავშირებული იყოს ოქსიდაციურ სტრესთან და ერითროციტის ციტოპლაზმში ქოლესტეროლის დაგროვებასთან [33]. ტყვიით ქრონიკული მოწამვლის შემთხვევაში, OH⁻ რადიკალის წარმოქმნისა და K⁺-ის დიდი რაოდენობით დაკარგვის ფონზე ადგილი აქვს FAS-ის გადანაცვლებას ერითროციტის მემბრანაში და, შესაბამისად, აპოპტოზის უჯრედგარე სასიგნალო გზის ჩართვას [34].

დასკვნები. მონაცემები მწიფე ერითროციტებში აპოპტოზის უჯრედგარე სასიგნალო გზის ყველა კომპონენტის შენარჩუნების შესახებ მრავალ კითხვას ბადებს. ფაქტია, რომ აპოპტოზის ჩვეული გამომწვევები ამ გზის გააქტივებას ვერ ახერხებს. ამ მიმართულებით ჩატარებული მრავალი კვლევა საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სხვა სტიმული, როგორც არის თავისუფალი რადიკალების ან ქოლესტეროლის დაგროვება შესაძლოა გახდეს აპოპტოზის უჯრედგარე სასიგნალო გზის გააქტივების მიზეზი. იგივე შრომები ადასტურებს, რომ მწიფე ერითროციტში არსებული კასპაზა-3 და კასპაზა-8 გავლენას ახდენს მემბრანასა და ციტოქოქსიზმში განვითარებულ ცვლილებებზე, რაც მნიშვნელოვანია ერითროციტის დეფორმაბელობის შენარჩუნების, და, შესაბამისად, ცირკულაციაში მყოფი ერითროციტების სიცოცხლისუნარიანობის თვალსაზრისით. მიუხედავად მრავალრიცხოვანი კვლევებისა ამ მიმართულებით, ჯერ კიდევ ბოლომდე გაურკვეველია აპოპტოზის მიმდინარეობის მექანიზმი ერითროციტული რიგის უჯრედებში. ამ მექანიზმების დაზუსტება ანემიების პათოფიზიოლოგიის უკეთ გარკვევის საწინდარი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. P. Arese, F. Turrini, and E. Schwarzer, "Band 3/complement mediated recognition and removal of normally senescent and pathological human erythrocytes," *Cellular Physiology and Biochemistry*, 2005, vol. 16, no. 4–6, pp. 133–146.
2. G. J. C. G. M. Bosman, F. L. A. Willekens, and J. M. Werre, "Erythrocyte aging: a more than superficial resemblance to apoptosis?" *Cellular Physiology and Biochemistry*, 2005 vol. 16, no. 1–3, pp. 1–8.
3. H. U. Lutz, "Innate immune and non-immune mediators of erythrocyte clearance," *Cellular and Molecular Biology*, vol. 50, no. 2, pp. 107–116, 2004
4. Föllner, M., Huber, S. M., and Lang, F. (2008b). Erythrocyte programmed cell death. *IUBMB Life* 2008, vol. 60, 661–668.
5. K.A.Pyrshv, A.S.Klymchenko, G. Csucs, A.P Demchenko `Apoptosis and eryptosis; Striking differences on biomembrane level`, *BBA Biomembranes*, 2018, vol. 1860, pp. 1362-1372.

6. Repsold, L., and Joubert, A. M. Eryptosis: an erythrocyte's suicidal type of cell death. *Biomed. Res. Intern.* 2018;9405617.
7. Lang, E., and Lang, F. Triggers, inhibitors, mechanisms, and significance of eryptosis: the suicidal erythrocyte death. *Biomed. Res. Intern.* 2015:513-518.
8. PA Lang, DS Kempe, V.Tanneur, BA Klark, S. Missina, G. Hesler, SM Huber, F.Lang, T.Wieder Stimulation of erythrocyte ceramide formation by platelet-activating factor *J.Cell Sci.*, 2005, v. 118, pp1233-1243.
9. K. S. Lang, C. Duranton, H. Poehlmann et al., "Cation channels trigger apoptotic death of erythrocytes," *Cell Death and Differentiation*, 2003, vol. 10, no. 2, pp. 249–256.
- 10.F. Lang, M. Abed, E. Lang, and M. Foller, "Oxidative stress and suicidal erythrocyte death," *Antioxidants & Redox Signaling*, 2014, vol. 21, no. 1, pp. 138–153.
- 11.B. A. Klarl, P. A. Lang, D. S. Kempe et al., "Protein kinase C mediates erythrocyte "programmed cell death" following glucose depletion," *The American Journal of Physiology-Cell Physiology*, 2006, vol. 290, no. 1, pp. C244–C253.
- 12.M. Foller, H. Mahmud, S. Gu et al., "Participation of leukotriene C4 in the regulation of suicidal erythrocyte death," *Journal of Physiology and Pharmacology*, 2009, vol. 60, no. 3, pp. 135–143.
- 13.J. P. Nicolay, G. Liebig, O. M. Niemoeller et al., "Inhibition of suicidal erythrocyte death by nitric oxide," *Pflugers Archiv European Journal of Physiology*, 2008, vol. 456, no. 2, pp. 293–305.
- 14.D. M. Vota, R. L. Crisp, A. B. Nesse, and D. C. Vittori, "Oxidative stress due to aluminum exposure induces eryptosis which is prevented by erythropoietin," 2012, *Journal of Cellular Biochemistry*, vol. 113, no. 5, pp. 1581–1589.
- 15.Senthil Velan Bhoopalan, Lily Jun-shen Huang, Mitchell J. Weiss, Erythropoietin regulation of Erythropoietin regulation of red blood cell production: from bench to bedside and back. *F1000Research* 2020, 9; 1-17.
- 16.Listowski, M.A.; Heger, E.; Bogusławska, D.M.; Machnicka, B.; Kuliczowski, K.; Leluk, J.; Sikorski, A.F. MicroRNAs: Fine tuning of erythropoiesis. *Cell. Mol. Biol. Lett.* 2012, 18, 34–46.
- 17.Testa, U. Apoptotic mechanisms in the control of erythropoiesis. *Leukemia* 2004, 18, 1176–1199.
- 18.Dzierzak, E.; Philipsen, S. Erythropoiesis: Development and Differentiation. *Cold Spring Harb. Perspect. Med.* 2013, 3, a011601.
- 19.Dicato, M.; Morceau, F.; Diederich, M. Pro-inflammatory cytokine-mediated anemia: Regarding molecular mechanisms of erythropoiesis. *Mediators Inflamm.* 2009, 2009, 405016.
20. Li, J.; Yin, Q.; Wu, H. Structural Basis of Signal Transduction in the TNF Receptor Superfamily. *Adv. Immunol.* 2013, 119, 135–153.
- 21.Jacobs-Helber, S.M.; Roh, K.; Bailey, D.; Dessypris, E.N.; Ryan, J.J.; Chen, J.; Wickrema, A.; Barber, D.L.; Dent, P.; Sawyer, S.T. Tumor necrosis factor-alpha expressed constitutively in erythroid cells or induced by erythropoietin has negative and stimulatory roles in normal erythropoiesis and erythroleukemia. *Blood* 2003, 101, 524–531.
- 22.Grigorakaki, C.; Morceau, F.; Chateauvieux, S.; Dicato, M.; Diederich, M. Tumor necrosis factor alpha-mediated inhibition of erythropoiesis involves GATA-1/GATA-2 balance impairment and PU.1 over-expression. *Biochem. Pharmacol.* 2011, 82, 156–166.
- 23.Gibellini, D.; Bassini, A.; Re, M.C.; Ponti, C.; Miscia, S.; Gonelli, A.; La Placa, M.; Zauli, G. Stroma-derived factor 1alpha induces a selective inhibition of human erythroid development via the functional upregulation of Fas/CD95 ligand. *Br. J. Haematol.* 2000, 111, 432–440.
- 24.Boehm, D.; Mazurier, C.; Giarratana, M.C.; Darghouth, D.; Faussat, A.M.; Harmand, L.; Douay, L. Caspase-3 Is Involved in the Signalling in Erythroid Differentiation by Targeting Late Progenitors. *PLoS ONE* 2013, 8, e62303.
- 25.Carlile, G.W.; Smith, D.H.; Wiedmann, M. Caspase-3 has a nonapoptotic function in erythroid maturation. *Blood* 2004, 103, 4310–4316

26. Berg, C.P.; Engels, I.H.; Rothbart, A.; Lauber, K.; Renz, A.; Schlosser, S.F.; Schulze-Osthoff, K.; Wesselborg, S. Human mature red blood cells express caspase-3 and caspase-8, but are devoid of mitochondrial regulators of apoptosis. *Cell Death Differ.* 2001, 8, 1197–1206.
27. Sagan, D.; Jermnim, N.; Tangvarasittichai, O. CD95 is not functional in human erythrocytes. *Int. J. Lab. Hematol.* 2010, 32, 244–247.
28. Toporkiewicz, M.; Grzybek, M.; Meissner, J.; Michalczyk, I.; Dubielecka, P.M.; Korycka, J.; Seweryn, E.; Sikorski, A.F. Release of an ~55kDa fragment containing the actin-binding domain of β -spectrin by caspase-8 during FND-induced apoptosis depends on the presence of protein 4.1. *Arch. Biochem. Biophys.* 2013, 535, 205–213.
29. Mandal, D.; Baudin-Creuz, V.; Bhattacharyya, A.; Pathak, S.; Delaunay, J.; Kundu, M.; Basu, J. Caspase 3-mediated Proteolysis of the N-terminal Cytoplasmic Domain of the Human Erythroid Anion Exchanger 1 (Band 3). *J. Biol. Chem.* 2003, 278, 52551–52558.
30. Machnicka, B.; Grochowalska, R.; Bogusławska, D.M.; Sikorski, A.F. The role of spectrin in cell adhesion and cell–cell contact. *Exp. Biol. Med.* 2019, 1303–1312.
31. Miki, Y.; Tazawa, T.; Hirano, K.; Matsushima, H.; Kumamoto, S.; Hamasaki, N.; Yamaguchi, T.; Beppu, M. Clearance of oxidized erythrocytes by macrophages: Involvement of caspases in the generation of clearance signal at band 3 glycoprotein. *Biochem. Biophys. Res. Commun.* 2007, 363, 57–62.
32. Mandal, D.; Mazumder, A.; Das, P.; Kundu, M.; Basu, J. Fas-, caspase 8-, and caspase 3-dependent signaling regulates the activity of the aminophospholipid translocase and phosphatidylserine externalization in human erythrocytes. *J. Biol. Chem.* 2005, 280, 39460–39467.
33. Mandal, S.; Mukherjee, S.; Chowdhury, K.D.; Sarkar, A.; Basu, K.; Paul, S.; Karmakar, D.; Chatterjee, M.; Biswas, T.; Sadhukhan, G.C.; et al. S-allyl cysteine in combination with clotrimazole downregulates Fas induced apoptotic events in erythrocytes of mice exposed to lead. *Biochim. Biophys. Acta-Gen. Subj.* 2012, 1820, 9–23.
34. Biswas, D.; Banerjee, M.; Sen, G.; Das, J.K.; Banerjee, A.; Sau, T.J.; Pandit, S.; Giri, A.K.; Biswas, T. Mechanism of erythrocyte death in human population exposed to arsenic through drinking water. *Toxicol. Appl. Pharmacol.* 2008, 230, 57–66.

Н. ТЕВЗАДЗЕ, С. ГИОРГАДЗЕ, Н. ГУДЖАБИДЗЕ, Р. РУХАДЗЕ
**ФАКТОРЫ ВНЕКЛЕТОЧНОЙ СИГНАЛЬНОЙ ПУТИ АПОПТОЗА
 В ЗРЕЛЫХ ЭРИТРОЦИТАХ
 (КРАТКИЙ ОБЗОР)**

Тбилисский Государственный Медицинский Университет
 Департамент Гистологии, Цитологии и Эмбриологии

Резюме

Апоптоз играет значительную роль в жизнедеятельности ядродержащих клеток, являясь жизненно важным регулирующим фактором различных процессов, в том числе нормального клеточного цикла, эмбрионального развития, функционирования иммунной системы и т.д. Эритроциты, наподобие ядродержащих клеток, подвергаются апоптозоподобной программированной гибели, известной как эриптоз. Одновременно, многие исследования подтверждают наличие в эритроидных клетках, в том числе и в зрелых эритроцитах, наличие почти всех факторов внеклеточной сигнальной пути апоптоза. Однако, обычные индукторы апоптоза не способны активировать внеклеточный сигнальный путь апоптоза, поскольку эритроциты лишены ядра и митохондрий. Эксперименты подтверждают, что активирование соответствующих факторов (TNF- α , FAS/FASL и др.) может быть вызвано

накоплением свободных радикалов или холестерина. Активирование каспазы-3 и каспазы-8 влияет на мембрану и белки цитоскелета, что определяет состояние клеточной формы и деформабельности эритроцита и, соответственно, влияет на жизнеспособность циркулирующих эритроцитов. Несмотря на наличие множественных исследований, механизм апоптоза эритроидных клеток остается до конца неясным. Выяснение данных механизмов будет иметь большое значение для уточнения патофизиологии различных видов анемий.

ნ. თევზაძე, ს. გიორგაძე, ნ. გუჯაბიძე, რ. რუხაძე

**აპოპტოზის უჯრედგარე სასიგნალო გზის მოლეკულები მწიფე ერითროციტებში
(მოკლე მიმოხილვა)**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
ჰისტოლოგიის, ციტოლოგიის და ემბრიოლოგიის დეპარტამენტი

რეზიუმე

აპოპტოზი, უჯრედის პროგრამული კვდომა, ბირთვიანი უჯრედების ცხოველმყოფელობის პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. აპოპტოზი მონაწილეობს მრავალ სასიცოცხლო მნიშვნელობის პროცესში, როგორცაა უჯრედის ციკლის რეგულაცია, ემბრიონული განვითარება, იმუნური სისტემის განვითარება და ფუნქციონირება და ა.შ. აპოპტოზის სარეგულაციო ორი ძირითადი - უჯრედგარე და უჯრედშიგა - გზა არის ცნობილი. ერითროციტები, რომლებიც უბირთვო უჯრედებია, ასევე განიცდის პროგრამულ კვდომას, რომელიც ერითროციტის სახელით არის ცნობილი. ამასთან ერთად, მრავალრიცხოვანი კვლევები ადასტურებს, რომ ერითროციტული რიგის უჯრედებში, და მათ შორის მწიფე ერითროციტებშიც, გამოვლენილია აპოპტოზის სარეგულაციო გზის ფაქტორების დიდი უმეტესობა. ბუნებრივია, აღნიშნული ფაქტი განსაკუთრებულ ყურადღებას აღძრავს ერითროციტში აპოპტოზის მიმდინარეობის შესაძლებლობისა და თავისებურებების შესახებ. მწიფე ერითროციტში აპოპტოზის უჯრედგარე სარეგულაციო გზის ფაქტორების არსებობის მიუხედავად, აპოპტოზის გამომწვევები, როგორც წესი, ჩვეულ ეფექტს ვერ იწვევს. მეორე მხრივ, ამ ფაქტორების გააქტივება შესაძლოა გამოწვეული იყოს დამატებითი სტიმულატორებით, როგორც არის ჟანგბადის რეაქტიული ფორმების სიჭარბე, ქოლესტეროლის დაგროვება, მძიმე მეტალებით მოწამვლა და ა.შ. ერითროციტებში გამოვლენილი კასპაზა-3 და კასპაზა-8 გავლენას ახდენს ერითროციტის ფორმისა და დეფორმაბელობის ცვლილებაზე, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მოცირკულირე ერითროციტების სიცოცხლისუნარიანობაზე. ფაქტია, რომ მიუხედავად მრავალრიცხოვანი კვლევებისა ამ მიმართულებით, ჯერ კიდევ ბოლომდე გაურკვეველია აპოპტოზის მიმდინარეობის მექანიზმი ერითროციტული რიგის უჯრედებში. ამ მექანიზმების დაზუსტება ანემიების პათოფიზიოლოგიის უკეთ გარკვევის საწინდარი იქნება.



თ.მუზაშვილი, მ.გაჩეჩილაძე, გ.ბურკაძე

BRAF/V600E მუტაციისა და სიმსივნისშიდა იმუნური მიკროგარემოს თავისებურებები ფარისებრი ჯირკვლის პაპილურ კარცინომაში ჰასიმოტოს თირეოიდიტის თანაარსებობით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

T. MUZASHVILI, M. GACHECHILADZE, G. BURKADZE

BRAF/600E MUTATION STATUS AND INTRATUMORAL IMMUNE MICROENVIRONMENT IN PAPILLARY THYROID CARCINOMA WITH HASHIMOTO'S THYROIDITIS
Tbilisi State Medical University

SUMMARY

BRAF/V600E is the most frequently detected mutation in thyroid papillary carcinomas, with the incidence of 45-80%. The aim of our study was to detect the peculiarities of BRAF/V600E mutation and intratumoral immune microenvironment in thyroid papillary carcinomas in cases with or without Hashimoto's thyroiditis. Standard immunohistochemistry was used to detect BRAF/V600E mutation status, and the infiltration with CD3, CD8 T cells and CD68 macrophages. In addition, we have investigated the histopathological characteristics of papillary thyroid carcinoma. The results of our study indicated that thyroid papillary carcinomas with Hashimoto's thyroiditis is characterised with lower malignancy grade. The presence of Hashimoto's thyroiditis does not influence the lymphocytic infiltration. There is the trend of higher frequency of BRAF/V600E mutation in higher grade tumors. The lymphocyte and macrophage infiltration is more frequently seen in cases with BRAF/V600E mutation.

შესავალი

BRAF ცილა მიეკუთვნება RAS/MAPK სასიგნალო გზას [1]. BRAF აქტივაცია ხდება RAS-თან დაკავშირების გზით უჯრედის მემბრანაზე [2], რის შემდგომაც აქტივირდება MAPK სასიგნალო კასკადი, რომელიც არეგულირებს უჯრედის პროლიფერაციაზე, დიფერენციაციაზე და აპოპტოზზე პასუხისმგებელი გენების ექსპრესიას [3]. ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნეებში ქრომოსომული რეარანჟირებები, წერტილოვანი მუტაციები და დელეციები განაპირობებენ BRAF გენის აქტივაციას [4]. BRAF/V600E არის ყველაზე ხშირად გამოვლენილი მუტაცია და გვხვდება ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომის მქონე პაციენტების 45%-80%-ში [5].

BRAF/V600E მუტაციის გამოვლენა შესაძლებელია იმუნოჰისტოქიმიური ტექნოლოგიით [6]. იმუნოჰისტოქიმიური მეთოდით გამოვლენილი BRAF/V600E მუტაციის ინციდენტობა ფარისებრი ჯირკვლის პაპილურ კარცინომებში, სხვადასხვა კვლევების მიხედვით განსხვავებულია. კერძოდ, ერთ-ერთი მეტა ანალიზის მიხედვით პაპილური კარცინომების 1168 შემთხვევიდან BRAF/V600E მუტაცია გამოვლენილი იქნა პაპილური კარცინომის დიდ უჯრედული ვარიანტის 79%-ში, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი ფოლიკულური ვარიანტის დროს შეადგენდა 17%-ს [7]. BRAF/V600E მუტაცია ნაწილობრივ იქნა პაპილური კარცინომის პროგრესიის ყველა ეტაპზე, დაწყებული მიკროკარცინომიდან, დამთავრებული დაბალდიფერენცირებული კარცინომით [7]. BRAF/V600E მუტაცია შესაძლებელია განხილული იქნას, როგორც პროგნოზული მარკერი, რადგან ასოცირებულია არაკეთილსაიმედო პროგნოზულ პარამეტრებთან, როგორებიცაა

მულტიცენტრულობა, ექსტრატირეოიდული გავრცელება და ლიმფურ კვანძებში მეტასტაზირება [8]. გარდა მუტაციური პროფილისა, სიმსივნეების და მათ შორის ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომების პროგრესიაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სიმსივნის იმუნური მიკროგარემო, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია T ლიმფოციტებით და მაკროფაგებით [9]. ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა BRAF/V600E მუტაციისა და სიმსივნისშიდა იმუნური მიკროგარემოს თავისებურებების შესწავლა ფარისებრი ჯირკვლის პაპილურ კარცინომაში ჰასიმოტოს თირეოიდიტის თანაარსებობით და ჰასიმოტოს თირეოიდიტის თანაარსებობის გარეშე.

მასალა და მეთოდები

კვლევა მოიცავდა 71 ფორმალინში დაფიქსირებულ და პარაფინში ჩაყალიბებულ პოსტოპერაციულ მასალას, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო და დიაგნოსტიკური ლაბორატორიიდან. საკვლევი მასალა გაყოფილი იქნა შემდეგ ჰისტოპათოლოგიურ ქვეჯგუფებად: კლასიკური პაპილური კარცინომა ჰასიმოტოს თირეოიდიტის გარეშე (42 შემთხვევა), კლასიკური პაპილური კარცინომა ჰასიმოტოს თირეოიდიტის თანაარსებობით (29 შემთხვევა).

ფორმალინში დაფიქსირებული და პარაფინში ჩაყალიბებული ქსოვილის 4 μ ზომის ანათლები შეღებილი იქნა სტანდარტული ჰემატოქსილინის და ეოზინის მეთოდით და შეფასებული იქნა ორი დამოუკიდებელი პათოლოგანატომის მიერ (თ.მ. და გ.ბ.). შეფასდა შემდეგი ჰისტოპათოლოგიური კრიტერიუმები: ბირთვული ატიპიის არსებობა, სიმსივნის ნეკროზის არსებობა, მიტოზების სიხშირე 10 მაღალი გადიდების მხედველობის ველში, ლიმფოვასკულური ინვაზიის არსებობა, კაპსულაში ინვაზიის არსებობა, ექსტრატირეოიდული გავრცელების არსებობა. სიმსივნეები, რომელშიც დადებითად შეფასდა ორი ან მეტი ჰისტოპათოლოგიური კრიტერიუმი, ჩაითვალა მაღალი ხარისხის ავთვისებიანობის სიმსივნეებად. ხოლო სიმსივნეები, რომელშიც დადებითად ფასდებოდა მხოლოდ ერთი კრიტერიუმი, ჩაითვალა როგორც დაბალი ხარისხის ავთვისებიანობის სიმსივნეები.

იმუნოჰისტოქიმიური კვლევისათვის გამოყენებული იქნა მზა ანტისხეულები შემდეგი ანტიგენების წინააღმდეგ: BRAF V600E მუტაციური ფორმის წინააღმდეგ (RM8, BioSB), CD3 (LN10, Leica) T ლიმფოციტების წინააღმდეგ, CD8 (4B11, Leica) ციტოტოქსიკური T ლიმფოციტების წინააღმდეგ, CD68 (514H12, Leica) მაკროფაგების წინააღმდეგ. ვიზუალიზაცია ჩატარდა ბონდ პოლიმერის სისტემის გამოყენებით (Leica).

იმუნოჰისტოქიმიური შედეგების შედეგები შეფასდა 20 მაღალი გადიდების მხედველობის ველში, მხოლოდ სიმსივნის უბანში. სიმსივნურ ქსოვილში ლიმფოციტების არარსებობა შეფასდა როგორც ნეგატიური. ლიმფოციტური ინფილტრაცია რომელიც მოიცავდა სიმსივნის $\leq 10\%$ -ს შეფასდა როგორც დაბალი ლიმფოციტური ინფილტრაცია, ხოლო რომელიც მოიცავდა $>10\%$ -ს, შეფასდა როგორც ჭარბი ლიმფოციტური ინფილტრაცია.

ჯგუფებს შორის შედარება განხორციელდა მან-ვიტნის ტესტის გამოყენებით. არაპარამეტრული კორელაციები შეფასებული იქნა სპერმანის რანკული ტესტის გამოყენებით. P რიცხვი <0.05 -ზე ჩაითვალა სტატისტიკურად სარწმუნოდ. ყველა სტატისტიკური ტესტი ჩატარდა SPSS V19.00 პროგრამის გამოყენებით.

შედეგები. ჰისტოპათოლოგიური პარამეტრების შეფასების შედეგად გამოვლენილია შემდეგი შედეგები: კლასიკურ პაპილურ კარცინომაში, ჰასიმოტოს თირეოიდიტის გარეშე, ბირთვული ატიპია აღინიშნებოდა 15/42 (35,7%) შემთხვევაში; ნეკროზები აღინიშნებოდა

10/42 (23,8%); მიტოზები ≤ 2 -ზე იყო 29/42 (69%) და > 2 -ზე 13/42 (31%) შემთხვევაში; ვასკულური ინვაზია აღინიშნებოდა 12/42 (28,6%); კაფსულური ინვაზია აღინიშნებოდა 14/42 (33,3%) შემთხვევაში; ექსტრატირეოიდული გავრცელება აღინიშნებოდა 9/42 (21,4%); საერთო ჯამში მაღალი ავთვისებიანობის ხარისხი აღინიშნებოდა 15/42 (64,2%) და დაბალი ავთვისებიანობის ხარისხი აღინიშნებოდა 27/42 (35,8%) შემთხვევაში.

რაც შეეხება პაპილურ კარცინომას, ჰასიმოტოს თირეოიდიტის თანაარსეობით, მასში აღინიშნებოდა ჰისტოპათოლოგიური მახასიათებლების შემდეგი განაწილება: ბირთვული ატიპია აღინიშნებოდა 13/29 (44,8%) შემთხვევაში; ნეკროზები აღინიშნებოდა 7/29 (24,2%); მიტოზები ≤ 2 -ზე იყო 20/29 (69%) და > 2 -ზე 9/29 (31%) შემთხვევაში; ვასკულური ინვაზია აღინიშნებოდა 12/29 (41.4%) შემთხვევაში; კაფსულური ინვაზია აღინიშნებოდა 13/29 (44.8%) შემთხვევაში; ექსტრატირეოიდული გავრცელება აღინიშნებოდა 10/29 (34.5%) შემთხვევაში; საერთო ჯამში მაღალი ავთვისებიანობის ხარისხი აღინიშნებოდა 21/29 (72.4%) და დაბალი ავთვისებიანობის ხარისხი აღინიშნებოდა 8/29 (27.6%) შემთხვევაში. ჰისტოპათოლოგიური მონაცემების განაწილება მოცემულია 1-ელ ცხრილში.

ცხრილი 1. ჰისტოპათოლოგიური მონაცემების განაწილება ჯგუფებში

ჰისტოპათოლოგიური მახასიათებლები		კლასიკური პაპილური კარცინომა ჰასიმოტის თირეოიდიტის გარეშე	კლასიკური პაპილური კარცინომა ჰასიმოტოს თირეოიდიტით
ბირთვული ატიპია	არის	15 / 35.7%	13 / 44.8%
	არ არის	27 / 64.3%	16 / 55.2%
ნეკროზები	არის	10 / 23.8%	7 / 24.2%
	არ არის	32 / 76.2%	22 / 75.8%
მიტოზები	> 2	13 / 31%	9 / 31%
	≤ 2	29 / 69%	20 / 69%
ვასკულური ინვაზია	არის	12 / 28.6%	12 / 41.4%
	არ არის	30 / 71.4%	17 / 58.6%
კაფსულური ინვაზია	არის	14 / 33.3%	13 / 44.8%
	არ არის	28 / 66.7%	16 / 55.2%
ექსტრატირეოიდული გავრცელება	არის	9 / 21.4%	10 / 34.5%
	არ არის	33 / 78.6%	19 / 65.5%
ავთვისებიანობის ხარისხი	დაბალი	27 / 64.2%	21 / 72.4%
	მაღალი	15 / 35.8%	8 / 27.6%
შემთხვევათა საერთო რაოდენობა		42	29

BRAF/V600E მუტაციის იმუნოჰისტოქიმიური კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ფარისებრი ჯირკვლის დაბალი ხარისხის ავთვისებიანობის პაპილურ კარცინომაში, ჰასიმოტოს თირეოიდიტის გარეშე, BRAF/V600E მუტაცია გამოვლინდა 9/27 (33,3%) შემთხვევაში. ფარისებრი ჯირკვლის მაღალი ხარისხის ავთვისებიანობის პაპილურ

ინფილტრაცია - 4/7 (57,1%) შემთხვევაში. CD68 პოზიტიური მაკროფაგებით მცირე ინფილტრაცია აღინიშნებოდა 3/7 (42,9%) შემთხვევაში, ხოლო ჭარბი ინფილტრაცია - 4/7 (57,1%) შემთხვევაში.

მაღალი ხარისხის ავთვისებიანობის პაპილურ კარცინომაში, ჰასიმოტოს თირეოიდიტის თანაარსებობით, BRAF/V600E მუტაციის არმქონე ჯგუფში CD3 პოზიტიური T ლიმფოციტების მცირე ინფილტრაცია აღინიშნებოდა 9/14 (64,3%) შემთხვევაში, ხოლო ჭარბი ინფილტრაცია - 5/14 (35,7%) შემთხვევაში. CD8 პოზიტიური ციტოტოქსიური T ლიმფოციტების მცირე ინფილტრაცია აღინიშნებოდა 7/14 (50%) შემთხვევაში, ხოლო ჭარბი ინფილტრაცია - 7/14 (50%) შემთხვევაში. CD68 პოზიტიური მაკროფაგებით მცირე ინფილტრაცია აღინიშნებოდა 8/14 (57,1%) შემთხვევაში, ხოლო ჭარბი ინფილტრაცია - 6/14 (42,9%) შემთხვევაში.

მაღალი ხარისხის ავთვისებიანობის პაპილურ კარცინომაში, ჰასიმოტოს თირეოიდიტის თანაარსებობით, BRAF/V600E მუტაციის მქონე ჯგუფში CD3 პოზიტიური T ლიმფოციტების მცირე ინფილტრაცია აღინიშნებოდა 1/5 (20%) შემთხვევაში, ხოლო ჭარბი ინფილტრაცია - 4/5 (80%) შემთხვევაში. CD8 პოზიტიური ციტოტოქსიური T ლიმფოციტების მცირე ინფილტრაცია აღინიშნებოდა 2/5 (40%) შემთხვევაში, ხოლო ჭარბი ინფილტრაცია - 3/5 (60%) შემთხვევაში. CD68 პოზიტიური მაკროფაგებით მცირე ინფილტრაცია აღინიშნებოდა 2/5 (40%) შემთხვევაში, ხოლო ჭარბი ინფილტრაცია აღინიშნებოდა 3/5 (60%) შემთხვევაში.

მაღალი ხარისხის ავთვისებიანობის პაპილურ კარცინომაში, ჰასიმოტოს თირეოიდიტის თანაარსებობით, BRAF/V600E მუტაციის არმქონე ჯგუფში CD3 პოზიტიური T ლიმფოციტების, CD8 პოზიტიური ციტოტოქსიური T ლიმფოციტების, CD68 პოზიტიური მაკროფაგების მცირე ინფილტრაცია აღინიშნებოდა ყველა 3/3 (100%) შემთხვევაში, ხოლო ჭარბი ინფილტრაცია არ აღინიშნებოდა არცერთ შემთხვევაში.

ცხრილი 2. BRAF/V600E მუტაციის და ლიმფოციტური ინფილტრაციის განაწილება ჯგუფებში

		42 / 59.2%		71 / 100%		29 / 40.8%											
		ჰასიმოტოს თირეოიდიტის გარეშე		ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომა		ჰასიმოტოს თირეოიდიტის თანაარსებობით											
		დაბალი ხარისხის ავთვისებიანობის		მაღალი ხარისხის ავთვისებიანობის		დაბალი ხარისხის ავთვისებიანობის		მაღალი ხარისხის ავთვისებიანობის		დაბალი ხარისხის ავთვისებიანობის		მაღალი ხარისხის ავთვისებიანობის					
		9 (33.3%) BRAF/V600		18 (66.7%) BRAF/WT		9 (60%) BRAF/V600		6 (40%) BRAF/WT		7 (33.3%) BRAF/V600		14 (66.7%) BRAF/WT		5 (62.5%) BRAF/V600		3 (37.5%) BRAF/WT	
	მცირე	ჭარბი	მცირე	ჭარბი	მცირე	ჭარბი	მცირე	ჭარბი	მცირე	ჭარბი	მცირე	ჭარბი	მცირე	ჭარბი	მცირე	ჭარბი	
CD3	2 (22.2%)	7 (77.8%)	12 (66.7%)	6 (33.3%)	2 (22.2%)	7 (77.8%)	4 (66.7%)	2 (33.3%)	2 (28.6%)	5 (71.4%)	9 (64.3%)	5 (35.7%)	1 (20%)	4 (80%)	3 (100%)	0	
CD8	3 (33.3%)	6 (66.7%)	10 (55.6%)	8 (44.4%)	3 (33.3%)	6 (66.7%)	3 (50%)	3 (50%)	3 (42.9%)	4 (57.1%)	7 (50%)	7 (50%)	2 (40%)	3 (60%)	3 (100%)	0	
CD68	4 (44.4%)	5 (55.6%)	9 (50%)	9 (50%)	4 (44.4%)	5 (55.6%)	3 (50%)	3 (50%)	3 (42.9%)	4 (57.1%)	8 (57.1%)	6 (42.9%)	2 (40%)	3 (60%)	3 (100%)	0	


განსჯა. ჩვენ შევისწავლეთ ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომის ჰისტოპათოლოგიური მონაცემების, BRAF/V600E მუტაციის და ლიმფოციტური ინფილტრაციის განაწილების თავისებურებები ფარისებრი ჯირკვლის პაპილურ კარცინომაში, ჰასიმოტოს თირეოიდიტის თანაარსებობით და ჰასიმოტოს თირეოიდიტის თანაარსებობის გარეშე. ჰისტოპათოლოგიური მონაცემების შედარებითი ანალიზის

შედეგად, ჯგუფებში გამოვლინდა, რომ ბირთვული ატიპია დაახლოებით 10%-ით უფრო ხშირად ვლინდება პაპილურ კარცინომებში ჰასიმოტოს თირეოიდიტის თანაარსებობით, ვიდრე ჰასიმოტოს თირეოიდიტის გარეშე. ავთვისებიანობის სხვა მახასიათებლებში, როგორებიცაა ნეკროზებისა და მიტოზების არსებობა, ვასკულური ინვაზია, კაპსულური ინვაზია და ექსტრათირეოიდული გავრცელება პაპილურ კარცინომებში, ჰასიმოტოს თირეოიდიტით და ჰასიმოტოს თირეოიდიტის გარეშე, სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავებები ნანახი არ იქნა. რაც შეეხება ზოგადად ავთვისებიანობის ხარისხს, დაბალი ხარისხის ავთვისებიანობის სიმსივნეები შედარებით უფრო ხშირად ვლინდება ჰასიმოტოს თირეოიდიტის თანაარსებობის შემთხვევაში, ვიდრე მის გარეშე.


BRAF/V600E მუტაციის იმუნოჰისტოქიმიური ანალიზის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ ფარისებრი ჯირკვლის დაბალი ხარისხის ავთვისებიანობის პაპილურ კარცინომაში, ჰასიმოტოს თირეოიდიტის გარეშე, BRAF/V600E მუტაცია ვლინდება იგივე სიხშირით, რაც დაბალი ხარისხის პაპილურ კარცინომაში, ჰასიმოტოს თირეოიდიტით. რაც შეეხება მაღალი ხარისხის ავთვისებიანობის პაპილურ კარცინომას, ჰასიმოტოს თირეოიდიტის თანაარსებობით და მის გარეშე, აქაც არ იქნა ნანახი სარწმუნო განსხვავება BRAF/V600E მუტაციის სიხშირეში. თუმცა, ორივე ჯგუფში, როგორც ჰასიმოტოს თირეოიდიტის თანაარსებობით, ისე მის გარეშე, BRAF/V600E მუტაციის სიხშირე 20%-ით უფრო მაღალი იყო მაღალი ავთვისებიანობის მქონე შემთხვევებში, დაბალი ავთვისებიანობის პაპილურ კარცინომებთან შედარებით.

შედარებით განსხვავებული მონაცემები იქნა ნანახი BRAF/V600E მუტაციის გენეტიკური ანალიზის შედეგად სიმსივნის გენომის ატლასიდან მიღებული მონაცემების მიხედვით. კერძოდ, პაპილური კარცინომების იმ შემთხვევებში, რომლებიც ასოცირდებოდნენ ჰასიმოტოს თირეოიდიტთან, BRAF/V600E მუტაციის სიხშირე დაახლოებით 5-ჯერ მეტი იყო ჰასიმოტოს თირეოიდიტის თანაარსებობის შემთხვევებში, განსხვავებით ჰასიმოტოს თირეოიდიტის არარსებობისგან. იმუნოჰისტოქიმიურ და გენეტიკურ ანალიზს შორის ეს განსხვავება შესაძლებელია განპირობებული იყოს იმ ფაქტით, რომ იმუნოჰისტოქიმიური მეთოდით ყველა შემთხვევაში არ ხდება სარწმუნოდ BRAF/V600E მუტაციის გამოვლენა და შესაძლებელია საჭირო იყოს დამატებითი გენეტიკური ანალიზის ჩატარება.


გრაფიკი 1. ჰისტოპათოლოგიური მახასიათებლების განაწილების თავისებურებები ჯგუფებში



გრაფიკი 2. BRAF/V600E მუტაციის განაწილების თავისებურებები ჯგუფებში. WT, მუტაციის არარსებობა



გრაფიკი 3. ლიმფოციტური ინფილტრაციის განაწილება ჯგუფებში



ჯგუფებში ლიმფოციტური ინფილტრაციის განაწილების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ CD3 T ლიმფოციტებით ინფილტრაცია BRAF/V600E მუტაციის არსებობის შემთხვევებში, ყველა ჯგუფში უფრო ჭარბად იყო გამოხატული, ვიდრე BRAF/V600E მუტაციის არარსებობის შემთხვევებში. რაც შეეხება CD8 ციტოტოქსიური T ლიმფოციტებით და მაკროფაგებით ინფილტრაციას, ისიც ასევე უფრო ხშირად იქნა გამოხატული BRAF/V600E მუტაციის არსებობის შემთხვევაში ყველა ჯგუფში.

მიუხედავად იმისა, რომ ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომის დაყოფა დაბალი და მაღალი ხარისხის ავთვისებიანობის ტიპებად არ მოიაზრება მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ მოწოდებულ სტანდარტულ ჰისტოპათოლოგიურ კლასიფიკაციაში, გარდა ჩვენი კვლევისა, ლიტერატურაში არსებობს ასევე მონაცემები, სადაც ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომების დეტალური ჰისტო-პათოლოგიური ანალიზის შედეგად ასევე ნანახი იქნა ორი შედარებით განსხვავებული ჯგუფის არსებობა. კერძოდ, Calangiu და კოლეგების მიერ შესწავლილი იქნა ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომის ისეთი ჰისტოპათოლოგიური მახასიათებლები, როგორებიცაა: ბირთვული

ატიპიის არსებობა/არარსებობა, სიმსივნის ნეკროზის არსებობა/არარსებობა, მიტოზების სიხშირე 10 მაღალი გადიდების მხედველობის ველში, ლიმფოვასკულური ინვაზიის არსებობა/არარსებობა, კაფსულაში ინვაზიის არსებობა/არარსებობა, ექსტრატირეოიდული გავრცელების არსებობა/არარსებობა. აღნიშნული ჰისტოპათოლოგიური კრიტერიუმების შეფასების შედეგად ასევე გამოვლინდა ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომების ორი, კერძოდ დაბალი და მაღალი ხარისხის ავთვისებიანობის ქვეტიპის არსებობა, ჩვენი კვლევის შედეგების მსგავსად [10]. თუმცა, განსხვავებით ჩვენი კვლევისგან, აღნიშნულ კვლევაში ჰასიმოტოს თირეოიდიტის თანაარსებობა შეფასებული არ იყო. ჩვენი კვლევის შედეგებს, კერძოდ დაბალი ხარისხის ავთვისებიანობის პაპილური კარცინომების უფრო მაღალი სიხშირის არსებობას, ჰასიმოტოს თირეოიდიტის თანაარსებობის შემთხვევაში, ეთანხმება Marotta და კოლეგების მონაცემები. მათი კვლევის შედეგების მიხედვით ნაჩვენებია, რომ BRAF/V600E მუტაციასთან ასოცირებულ პაპილურ კარცინომებში, რომლებშიც აღინიშნება ჰასიმოტოს თირეოიდიტის არსებობა, ავთვისებიანობის ნიშნები შედარებით უფრო ნაკლებადაა გამოხატული, ვიდრე იმ შემთხვევებში, რომლებშიც არ აღინიშნება ჰასიმოტოს თირეოიდიტის თანაარსებობა [11].

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, ჩვენ პირველმა შევისწავლეთ ლიმფოციტური ინფილტრაციის განაწილება ისეთ ჯგუფებში, როგორებიცაა დაბალი და მაღალი ხარისხის ავთვისებიანობის პაპილური კარცინომები, ჰასიმოტოს თირეოიდიტის თანაარსებობით და მის გარეშე და ასევე BRAF/V600E მუტაციის სტატუსის მიხედვით. ჩვენი კვლევის შედეგებით გამოვლინდა, რომ სიმსივნისშიდა ლიმფოციტური ინფილტრაცია არ განსხვავდება ჰასიმოტოს თირეოიდიტის თანაარსებობის შემთხვევაში. საბოლოო ჯამში უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი კვლევა პირველია, რომელშიც დეტალურად არის შესწავლილი ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომების ჰისტოპათოლოგიური მახასიათებლები, BRAF/V600E მუტაციის სტატუსთან და ჰასიმოტოს თირეოიდიტის კომპონენტთან ერთად, სადაც გარდა იმუნოჰისტოქიმიური მეთოდისა, ასევე გამოყენებულია გენეტიკური ანალიზის მეთოდებიც.

დასკვნები

ჩვენი კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომები, ჰასიმოტოს თირეოიდიტის თანაარსებობით ხასიათდებიან დაბალი ავთვისებიანობის ხარისხით. ჰასიმოტოს თირეოიდიტის კომპონენტის არსებობა გავლენას არ ახდენს სიმსივნისშიდა ლიმფოციტური ინფილტრაციის ხარისხზე. მაღალი ხარისხის ავთვისებიანობის სიმსივნეებში, აღინიშნება BRAF/V600E მუტაციის სიხშირის მატების ტენდენცია. ლიმფოციტური ინფილტრაცია ჭარბადაა გამოხატული BRAF/V600E მუტაციის მქონე შემთხვევებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. M. A. Zaballos and P. Santisteban, “Key signaling pathways in thyroid cancer,” 2017.
2. R. Ren *et al.*, “Activation of the RAS pathway through uncommon BRAF mutations in mucinous pancreatic cysts without KRAS mutation,” *Mod. Pathol.*, vol. 34, no. 2, pp. 438–444, 2021.
3. M. Drosten and M. Barbacid, “Targeting the MAPK Pathway in KRAS-Driven Tumors.,” *Cancer Cell*, vol. 37, no. 4, pp. 543–550, Apr. 2020.
4. R. D. Hall and R. R. Kudchadkar, “BRAF mutations: signaling, epidemiology, and clinical experience in multiple malignancies.,” *Cancer Control*, vol. 21, no. 3, pp. 221–230, Jul. 2014.

5. J. Ge *et al.*, “The BRAF V600E mutation is a predictor of the effect of radioiodine therapy in papillary thyroid cancer.,” *J. Cancer*, vol. 11, no. 4, pp. 932–939, 2020.
6. M. Paja Fano, A. Ugalde Olano, E. Fuertes Thomas, and A. Oleaga Alday, “Immunohistochemical detection of the BRAF V600E mutation in papillary thyroid carcinoma. Evaluation against real-time polymerase chain reaction.,” *Endocrinol. diabetes y Nutr.*, vol. 64, no. 2, pp. 75–81, Feb. 2017.
7. N. Mitsutake *et al.*, “BRAF(V600E) mutation is highly prevalent in thyroid carcinomas in the young population in Fukushima: a different oncogenic profile from Chernobyl.,” *Sci. Rep.*, vol. 5, p. 16976, Nov. 2015.
8. X. Gan *et al.*, “Prognostic implications of the BRAF - V600 E mutation in papillary thyroid carcinoma based on a new cut - off age stratification,” pp. 631–640, 2020.
9. L. Wang, W. Li, H. Ye, and L. Niu, “Impact of Hashimoto's thyroiditis on clinicopathologic features of papillary thyroid carcinoma associated with infiltration of tumor-infiltrating lymphocytes.,” *Int. J. Clin. Exp. Pathol.*, vol. 11, no. 5, pp. 2768–2775, 2018.
10. C. Calangiu, C. Simionescu, A. Stepan, M. Parnov, and L. Cercelaru, “The assessment of prognostic histopathological parameters depending on histological patterns of papillary thyroid carcinoma.,” *Curr. Heal. Sci. J.*, vol. 40, no. 1, pp. 37–41, Jan. 2014.
11. V. Marotta *et al.*, “BRAF mutation positive papillary thyroid carcinoma is less advanced when Hashimoto's thyroiditis lymphocytic infiltration is present.,” *Clin. Endocrinol. (Oxf.)*, vol. 79, no. 5, pp. 733–738, Nov. 2013.

Т. МУЗАШВИЛИ, М. ГАЧЧИЛАДЗЕ, Г. БУРКАДЗЕ

ОСОБЕННОСТИ BRAF/V600E МУТАЦИИ И ИНТРАОПУХОЛЕВОЙ ИММУННОЙ МИКРОСРЕДЫ В ПАПИЛЛЯРНОЙ КАРЦИНОМЕ ЩИТОВИДНОЙ ЖЕЛЕЗЫ С СОЧЕТАНИЕМ ТИРЕОИДИТА ХАШИМОТО

Тбилисский Государственный Медицинский Университет

Резюме

BRAF/V600E мутация самая часто выявляемая мутация в карциномах щитовидной железы, которая встречается в 45%-80%-ах пациентов с папиллярной карциномой щитовидной железы. Целью нашего исследования было изучение особенностей BRAF/V600E мутаций и интраопухолевого иммунного микроокружения в папиллярной карциноме щитовидной железы в сочетании и без сочетания тиреоидита Хашимото. Стандартным иммуногистохимическим методом был изучен статус BRAF/V600E мутаций, инфильтрация CD3, CD8 лимфоцитами и CD68 макрофагами. Также были изучены гистопатологические характеристики папиллярной карциномы щитовидной железы. Результаты исследования показали, что папиллярные карциномы щитовидной железы с сочетанием тиреоидита Хашимото характеризуются низкой степенью злокачественности. Наличие компонента тиреоидита Хашимото не воздействует на степень интраопухолевого лимфоцитарного инфильтрации. В опухолях с высокой степенью злокачественности отмечается тенденция возрастания частоты BRAF/V600E мутаций. Лимфоцитарная инфильтрация резко выражена в случаях BRAF/V600E мутаций.

თ.მუზაშვილი, მ.გაჩეჩილაძე, გ.ბურკაძე

BRAF/V600E მუტაციისა და სიმსივნისშიდა იმუნური მიკროგარემოს თავისებურებები ფარისებრი ჯირკვლის პაპილურ კარცინომაში ჰასიმოტოს თირეოიდიტის თანაარსებობით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

რეზიუმე

ფარისებრი ჯირკვლის კარცინომებში BRAF/V600E არის ყველაზე ხშირად გამოვლენილი მუტაცია, რომელიც გვხვდება ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომის მქონე პაციენტების 45%-80%-ში. ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა BRAF/V600E მუტაციისა და სიმსივნისშიდა იმუნური მიკროგარემოს თავისებურებების შესწავლა ფარისებრი ჯირკვლის პაპილურ კარცინომაში, ჰასიმოტოს თირეოიდიტის თანაარსებობით და თანაარსებობის გარეშე. BRAF/V600E მუტაციის სტატუსი, CD3, CD8 ლიმფოციტებით და CD68 მაკროფაგებით ინფილტრაცია შესწავლილი იქნა სტანდარტული იმუნოჰისტოქიმიური მეთოდის გამოყენებით. გარდა ამისა, შესწავლილ იქნა ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომის ჰისტოპათოლოგიური მახასიათებლები. ჩვენი კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომები, ჰასიმოტოს თირეოიდიტის თანაარსებობით, ხასიათდებიან დაბალი ავთვისებიანობის ხარისხით. ჰასიმოტოს თირეოიდიტის კომპონენტის არსებობა გავლენას არ ახდენს სიმსივნისშიდა ლიმფოციტური ინფილტრაციის ხარისხზე. მაღალი ხარისხის ავთვისებიანობის სიმსივნეებში, აღინიშნება BRAF/V600E მუტაციის სიხშირის მატების ტენდენცია. ლიმფოციტური ინფილტრაცია ჭარბადაა გამოხატული BRAF/V600E მუტაციის მქონე შემთხვევებში.



დ. კობეშავიძე; კ. ხარაბაძე

საკვერცხეების ფუნქციონალური კისტების მართვის ასპექტები
ოსსუ მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი; შ.პ.ს „იმედის კლინიკა“
თბილისი, საქართველო

D. KOBESHVIDZE; K. KHARABADZE

MANAGEMENT OF FUNCTIONAL OVARIAN CYSTS

Department of obstetrics and gynecology of TSMU; Ltd „Imedi Clinic”
Tbilisi, Georgia.

SUMMARY

The review article introduces the prevalence of functional ovarian cysts, pathogenetical aspects of their formation, furthermore regression and management tactics. Special attention is paid to confirm ineffectiveness of hormonal therapy for functional cysts. It was determined the advantages of waiting tactics under the US control. Follicular cyst formation is discussed during application of dydrogesterone.

საკვერცხის ფუნქციონალური კისტები (ფოლიკულური და ყვითელი სხეულის) წარმოადგენს მნიშვნელოვან გინეკოლოგიურ პრობლემას რეპროდუქციული ასაკის მქონე ქალებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით [8]. განსაკუთრებით ყურადსაღებია ამ სიმსივნისმაგვარი წარმონაქმნების არამარტო მზარდი სიხშირე, არამედ არაიშვიათად განხორციელებული, დაუსაბუთებელი ქირურგიული აგრესია, რომელსაც მივყავართ ოვარიალური რეზერვის შემცირებასთან და ფერტილობის დაქვეითებასთან [13].

როგორც წესი, საკვერცხის ფუნქციონალური კისტები გვხვდება საკმაოდ ხშირად და მჟღავნდება შემთხვევით. თვლიან, რომ ფუნქციონალური, ან ფიზიოლოგიური კისტები წარმოადგენს ოვულატორული პროცესის ვარიაციებს [16]. ფოლიკულური კისტა წარმოადგენს მარტივ, ერთკამერიან ცისტურ წარმონაქმნს, თხელი კედლებით, მკვეთრი საზღვრებით და თხიერი შიგთავსით [11]. ფუნქციონალური კისტები, როგორც წესი მიმდინარეობს უსიმპტომოდ და ჩვეულებრივ გაიწოვებიან 8-12 კვირის შემდეგ [10]. კისტის ზომების მომატებას შეიძლება თან ახლდეს ტკივილის სინდრომი, რომელიც გამოწვეულია კისტის გახეთქვით, ან ფეხზე შემოგრებით [1].

ცნობილია, რომ ბიმანუალური გამოკვლევა არასაკმარისია საკვერცხისმიერი წარმონაქმნების როგორც გამოსავლენად, ასევე დასახასიათებლად. Pასქუალ-ის აზრით, ფუნქციონალური კისტის დიაგნოსტიკა შესაძლებელია 97,8%-ში ოპერაციულ ჩარევამდე, უბგ მონაცემებზე დაყრდნობით [15]. 2019 წელს გამოქვეყნდა მულტიცენტრული გამოკვლევების შედეგები, რომლებიც ჩატარდა 14 ქვეყანაში და მოიცავდა 8519 ქალს. ავტორთა აზრით, შესაძლებელია საკვერცხეების ფუნქციონალური კისტის მქონე პაციენტებზე დინამიური დაკვირვება, უბგ მონაცემებზე დაყრდნობით, რადგანაც საკმაოდ დაბალია მალიგნიზაციის და მწვავე გართულებების რისკი. მიღებული დასკვნები ადასტურებს კონსერვატიული მართვის ტაქტიკის მართებულობას, შესაბამისი უბგ მონაცემების არსებობის ფონზე, რაც ამცირებს საკვერცხეების ფუნქციონალური კისტების დაუსაბუთებელი ქირურგიული მკურნალობის სიხშირეს [7]. CA-125-ის შემცველობა შეიძლება დაგვეხმაროს დანამატების მდგომარეობის შეფასებაში, თუმცა CA-125-ზე ტესტირება არ ღირს გამოვიყენოთ სკრინინგის უნივერსალურ ინსტრუმენტად. სისხლში CA-125-ის მომატების მიზეზს შეიძლება წარმოადგენდეს არამარტო კეთილთვისებიანი გინეკოლოგიური დაავადებები (ენდომეტრიოზი, საშვილოსნოს დიდი ზომის მიომა, საკვერცხის ფიბრომა, მცირე მენჯის ორგანოების ანთებები), არამედ მენსტრუაცია და აგრეთვე წინამორბედი ჰისტერექტომია [4, 18]. CA-ს მომატებასთან ასოცირებულ ავთვისებიან დაავადებებს მიეკუთვნება სარძევე ჯირკვლის კიბო, ენდომეტრიუმის კიბო, ფილტვის კიბო, პანკრეასის კიბო, ამას გარდა CA-ის ზრდა შეიძლება გამოიწვიოს ღვიძლის ციროზმა, გაცხიმოვნებამ და ტუბერკულოზმა [4]. ამრიგად, CA-125-ის ტესტირება არ უნდა განვიხილოთ, როგორც საკვერცხეების კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი წარმონაქმნების დიფერენციაციის ერთადერთი ფაქტორი [9].

2010 წელს გამოქვეყნდა რადიოლოგების კონსენსუსის გზით მიღებული გადაწყვეტილება საკვერცხეების ფუნქციონალური კისტების მონიტორინგთან დაკავშირებით, უბგ-ს გამოყენებით [12]. სახელდობრ, პრემენოპაუზაში მყოფ ქალებში რეკომენდირებულია შემდეგი ტაქტიკა: 5სმ-ზე ნაკლები დიამეტრის მქონე კისტებზე შემდგომი დაკვირვება არ არის საჭირო; ნაჩვენებია დინამიური მეთვალყურეობა 5-7სმ დიამეტრის მქონე კისტებზე; აგრეთვე მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია და ქირურგიული მკურნალობის ჩატარება 7სმ-ზე მეტი ზომის კისტების შემთხვევაში.

იმავე რეკომენდაციების მიხედვით, თუ პოსტმენოპაუზაში მყოფ ქალს აღენიშნება 1სმ, ან ნაკლები ზომის საკვერცხის კისტა, შემდგომი გამოკვლევები არ არის საჭირო. პარალელურად რადიოლოგთა ამერიკული კოლეჯი იმავე ასაკობრივ ჯგუფში 3სმ, ან მეტი ზომის კისტის შემთხვევაში მოუწოდებს განმეორებითი უბგ-ს და CA-125 ტესტირების ჩატარებას, თუმცა არ აზუსტებს გამოკვლევებს შორის ინტერვალს [3].

აღიარებულია, რომ კისტა, რომელიც შეიცავს ერთ, თხელ ხარიხას (<3მმ), ან კედელში მცირე ზომის ჩანართებს, თითქმის ყოველთვის კეთილთვისებიანია. მასზე დაკვირვება მიმდინარეობს მარტივ კისტაზე დაკვირვების მსგავსად. არ არსებობს რაიმე ოფიციალური რეკომენდაციები უბგ კვლევის შეწყვეტის თაობაზე [2,3]. თუმცა ერთ-ერთ ნაშრომში კისტის ზომის და მორფოლოგიური სტაბილურობის დადასტურების მიზნით მოწოდებულია 1 ან 2 უბგ კვლევის ჩატარება [14]. კისტის რეზორბციის შემდგომ პერიოდში უბგ კვლევა არ არის აუცილებელი [16].

70-იანი წლების ბოლოდან გინეკოლოგიურ პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენებოდა საკვერცხის კისტების ასპირაციული დრენირება უბგ-კონტროლის ქვეშ. ამჟამად საგრძნობლად შემცირებულია ხსენებული ჩარევის სიხშირე და ჩვენებები [16]. ასპირაცია, როგორც წესი, არ არის რეკომენდებული არც დიაგნოსტიკის და არც მკურნალობის მიზნით. მისი განხილვა შესაძლებელია პაციენტებში, ქირურგიული მკურნალობის მაღალი ალბათობით.

ადრე კისტებზე დაკვირვების პერიოდი, მათი პერსისტენციის შემთხვევაში, მკურნალობის ტაქტიკის შემუშავებამდე (ქირურგიული ჩარევის წარმოება, ან ასპირაციული დრენირება) უფრო ხანმოკლე იყო. დღესდღეობით მონიტორინგის ხანგრძლივობა გაიზარდა, რაც განპირობებულია მკაცრი უბგ-დაკვირვების ფონზე დადგენილი კისტის ზომების და მორფოლოგიის სტაბილურობის შემთხვევაში მალიგნიზაციის არარსებობის მაღალი ალბათობით [16]. Zanetta და თანაავტორების კვლევით დადგინდა, რომ ერთკამერიანი ანექოგენული კისტების სპონტანური რეგრესიის სიხშირე (44,6%) ერთის მხრივ და მსგავსი კისტების ასპირაციის შემდგომ 6 თვის განმავლობაში გაწოვის სიხშირე (46%) მეორეს მხრივ, იყო თანაბარი [20]. სხვა გამოკვლევებით დადგინდა, რომ ასპირაციის შემდგომ 1 წლის განმავლობაში რეციდივების სიხშირე საკმაოდ მაღალია და შეადგენს 25%-ს [5].

ფუნქციონალური კისტების შემთხვევებში რაიმე მკურნალობის დანიშვნა არ არის ნაჩვენები. დიდი ხნის წინ დადგენილია, რომ წარმატების მაჩვენებელი მოცდითი ტაქტიკის და ჰორმონალური თერაპიის დროს ერთიდაიგივეა [6]. 2011 წლის კოხრენის მიმოხილვის მიხედვით კომბინირებული ორალური კონტრაცეპტივები არ აჩქარებენ საკვერცხის კისტის გაწოვას. ეს თანაბრად ვრცელდება როგორც ოვულაციის ინდუქციის დროს აღმოჩენილ კისტებზე, ასევე იმ კისტებზეც, რომლებიც არ უკავშირდება უნაყოფობის სამკურნალოდ გამოყენებულ პრეპარატებს. კისტოზური წარმონაქმნი, რომელიც არ შეიწოვება რამდენიმე თვის განმავლობაში, სავარაუდოდ არ მიეკუთვნება ფუნქციონალურ კისტას [8].

ამგვარად, ორალური კონტრაცეპტივები იწვევს ახალი ფუნქციონალური კისტების ფორმირების პრევენციას, მაგრამ ისინი არ ახდენენ ზეგავლენას უკვე არსებულ კისტაზე [16,17].

ენდომეტრიოზის ფართოდ გავრცელებამ და მინიმალური გვერდითი მოვლენების მქონე პრეპარატების მოძიების აუცილებლობამ ბოლო ხანს ხელი შეუწყო კონკრეტული მედიკამენტის - დიდროგესტერონის პოპულარიზაციას და მის ფართოდ გამოყენებას გარეგანი გენიტალური ენდომეტრიოზის და მასთან ასოცირებული ტკივილის და

უნაყოფობის სამკურნალოდ. ამ პრეპარატის უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ მისი გამოყენებისას არ ხდება ოვულაციის დათრგუნვა. P. Vercellini- ს აზრით, პრიორიტეტულია მკურნალობის ის მეთოდები, რომელთაც შეუძლიათ ენდომეტრიოზის ეფექტური მკურნალობა ოვულაციის ინჰიბიციის გარეშე [19]. ამ მოთხოვნებს – ოვულაციის დათრგუნვის ეფექტის არარსებობა და ამასთან ერთად ტკივილის სინდრომის კუპირება – პასუხობს დიდროგესტერონი.

კლინიკურ პრაქტიკაში დიდროგესტერონის გამოყენებისას (20-30მგ დღეში, მენსტრუალური ციკლის მე-5 დღიდან 25-ე დღემდე) რიგ შემთხვევებში ფიქსირდება ფუნქციონალური (ფოლიკულური) კისტები.

კლინიკური მონაცემების მიხედვით კისტის სპონტანური რეგრესია დინამიური უბგ კვლევით აღინიშნება შემდგომი მენსტრუალური ციკლის მე-5 დღეს.

არ არის გამორიცხული, რომ ხსენებული კისტების უბგ გამოვლინების სიხშირე პირდაპირ კავშირშია ამ პაციენტებზე დინამიურ მეთვალყურეობასთან და თანაზომადია ფოლიკულური კისტების წარმოშობის საერთოპოპულაციური სიხშირის იმ ქალებში, რომლებიც არ იყენებენ ჰორმონალურ თერაპიას და მათი მონიტორინგი ხდება არაუმეტეს ერთისა 6 თვის განმავლობაში.

აღნიშნული კისტების გამოვლინება არ ქმნის მღელვარების საფუძველს, რადგანაც ისინი ექვემდებარებიან სპონტანურ რეგრესიას, როგორც წესი ერთი-ორი თვის განმავლობაში, არ ითხოვს არავითარ მკურნალობას და რაც მთავარია არ არის საჭირო დიდროგესტერონის მიღების შეწყვეტა, ან დოზის კორექტირება.

ამრიგად, ფუნქციონალური კისტების ფორმირების თავისებურებების და მათი რეგრესიის დინამიკის გაგება უდაოდ ემსახურება პუბლიკაციის ძირითადი იდეის მართებულობის დადასტურებას, რაც გულისხმობს საკვერცხის ფუნქციონალური კისტების დაუსაბუთებელი ჰორმონალური და ოპერაციული მკურნალობის სიხშირის მაქსიმალურ შემცირებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ackerman S., Irshad A., et all. Ovarian cystic lesions: a current approach to diagnosis and management. „Radiol. Clin. North. Am.” 2013; 51(6): 1067-85.
2. American College of Obstetricians and Gynecologists. ACOG Practice Bulletin. Management of adnexal masses. „Obstet. Gynecol.” 2007; 110(1): 201-14.
3. Atri M., Alabousi A., et all. Expert panel of women’s imaging. ACR Appropriateness Criteria Clinically suspected adnexal mass. no acute symptoms. „J. Am. Coll. Radiol.”; 2019; 16(5. Suppl.): S77-93.
4. Biggs W.S., Marks S.T. Diagnosis and management of adnexal masses. „Am. Fam. Ph.”; 2016; 93(8): 676-81.
5. Bonilla-Musoles F., Ballester M. J., et all. Is avoidance of surgery possible in patients with perimenopausal ovarian tumors using transvaginal ultrasound and duplex color Doppler sonography? „J. Ultrasound Med.”; 1993; 12(1): 33-9.
6. Doret M., Raudrant D. Functional ovarian cysts and the need to remove them. „Eur. J. Obstet. Gynecol. Reprod. Biol.”. 2001; 100(1): 1-4.
7. Froyman N., Landolfo C., et all. Risk of complications in patients with conservatively managed ovarian tumors; a 2-year interim analysis of a multicenter, prospective, cohort study. „Lancet Oncol.”. 2019; 20(3): 448-58.
8. Grimes D.A., Jones I.B. et all. Oral contraceptives for functional ovarian cysts. Cochrane Database Syst. Rev. 2011; (9): CD006134.
9. Kainjser J., Sayasnch A., et all. Presurgical diagnosis of adnexal tumors using mathematical models and scoring systems: a systematic review and meta-analysis. „Hum. Reprod. Update” , 2014; 20(3): 449-62.
10. Laing F.C., Allison S. US of the ovary and adnexa; to worry or not? „Radiographics” ; 2012; 32(6): 1621-39.
11. Langer J.E., Oliver E.R. et all. Imaging of the female pelvis through the live cycle. „Radiographics.”, 2012; 32(6): 1575-97.

12. Levine D., Brown D.L. et all. Management of asymptomatic ovarian and other adnexal cysts imaged at US: Society of Radiologists in Ultrasound Consensus Conference Statement. „Radiology”, 2010; 256(3): 943-54.
13. Li C.Z., Wei D.Y. et all. Impact on ovarian reserve function by different homeostasis methods during laparoscopic cystectomy in treatment of ovarian endometrioma. Zhonghua Fu Chan Ke Za Chi. 2013;48:11-5.
14. Liu J.H., Zanatti K.M., Management of the adnexal mass. „Obstet. Gynecol.” 2011; 117(6): 1413-28.
15. Pascual A., Hereter L. et all. Transvaginal sonographic appearance of functional ovarian cysts. „Hum. Reprod.” 1997; 12(6): 1246-9.
16. Ross E.K., Kebria M. Incidental ovarian cysts: When to reassure, when to reassess, when to refer. Cleve Clin. J. Med. 2013; 80(8): 503-14.
17. Seehusen D.A., Earwood J.S. Oral contraceptives are not an effective treatment for ovarian cysts. „Am. Fam. Physician.”; 2014; 90(9): 623.
18. Van Calster B., Valentin L. et all. A novel approach to predict the likelihood of specific ovarian tumor pathology based on serum CA-125: a multicenter observational stud. „Cancer Epidemiol. Biomarkers Prev.” 2011; 20(11): 2420-8.
19. Vercellini P., Buggio L. et all. Estrogen-progestins and progestins for the management of endometriosis. „Fertil. Steril.”. 2016; 106(7): 1552-71.
20. Zanetta G., Lissoni A. et all. Role of puncture and aspiration in expectant management of simple ovarian cysts: a randomized study. BMJ. 1996; 313(7065): 1110-3.

დ. კობეშავიძე; კ. ხარაბაძე

ПРИНЦИПЫ ВЕДЕНИЯ БОЛЬНЫХ С ФУНКЦИОНАЛЬНЫМИ КИСТАМИ ЯИЧНИКОВ

Департамент акушерства и гинекологии ТГМУ; О.О.О. «Клиника Имеди»;
Тбилиси, Грузия

Резюме

В обзорной статье представлены данные о распространённости, формирования, регрессии и тактики ведения функциональных кист яичников. Подчёркивается неэффективность гормональной терапии функциональных кист. Рассмотрены преимущества выжидательной тактики под контролем УЗИ. Определены преимущества выжидательной тактики под контролем США. Обсуждается образование фолликулярной кисты во время применения дидрогестерона.

დ. კობეშავიძე; კ. ხარაბაძე

საკვერცხების ფუნქციონალური კისტების მართვის ასპექტები
თსსუ მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი; შ.პ.ს „იმედის კლინიკა“
თბილისი, საქართველო

რეზიუმე

მიმოხილვით სტატიაში მოცემულია საკვერცხის ფუნქციური კისტების ფორმირების, გავრცელების, რეგრესიის და მართვის ტაქტიკის ასპექტები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფუნქციური კისტების ჰორმონალური თერაპიის არაეფექტურობას. განისაზღვრა ლოდინის ტაქტიკის უპირატესობები აშშ-ს კონტროლის ქვეშ. განიხილება ფოლიკულური კისტის ფორმირება დიდროგესტერონის გამოყენების დროს.

თ. ზარქუა, ი. კეკელიძე, ვ. თედიაშვილი, ი. წურჭუმია, ლ. ლომიძე
ნექსიუმის მარკეტინგული კვლევა
ოსსუ სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტი

T. ZARKUA, I. KEKELIDZE, V. TEDIASHVILI, I. TSURTSUMIA, L. LOMIDZE

MARKETING RESEARCH OF NEXIUM

TSMU, Department of Social and Clinical Pharmacy

SUMMARY

Actuality of topic: The best treatment for GERD are proton pump inhibitors, especially Nexium. Problem with GERD has mostly any age human, considering that, marketing research of Nexium, pharmaceutical and social factors of it, is very urgent topic for modern pharmacy and medicine.

Research goal: Market research of Nexium.

Research methods: Special online questionnaires which were made in "Google Drive", for patients and for pharmacists.

Research results: GERD is very common disease, and there is a lot of treatment for it. The most effective is Proton Pump Inhibitor, especially Nexium. The results of polls showed that, 88.1% of patients take Proton Pump Inhibitor with doctor prescription, 4.5% with advice of pharmacist, 2.9% prefers self-treatment, 4.5% with other people advice. Poll also showed up that, for 12.5% of patients is important safety, for 25% quality, for 43.7% price and for 18.8% efficiency. 82.5% of patients are satisfied with efficiency of Nexium. The most common cases of using Nexium is hyper acidity, then peptic diseases and disorders, and finally as gastroprotective drug. 95.8% of patients didn't have any side effect while taking Nexium.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, გასტროეზოფაგური რეფლუქსური დაავადება (გერდი) აღენიშნება მსოფლიოს ზრდასრული მოსახლეობის 20%-ს. მთელს მსოფლიოში, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, მიუხედავად სოციალური მდგომარეობისა და საქმიანობის სპეციფიკისა, არ მისდევს ცხოვრების ჯანსაღ წესს, იკვებება სწრაფი საკვებით, იღებს ალკოჰოლს და მოიხმარს თამბაქოს, რაც უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე და ვითარდება სხვადასხვა სახის დაავადება [3].

რეფლუქსის გამომწვევ მიზეზებს მიეკუთვნება დიაფრაგმის საყლაპავი მილის ხვრელის თიაქრები, ანატომიური დეფექტები, საყლაპავის თანდაყოლილი ან შექმნილი დესტრუქციული პათოლოგიები, სიმპათიკური ნერვული სისტემის აქტივაცია, მუცლის ღრუში წნევის მატება, ასევე ზედმეტად ცხიმოვანი საკვები, გაზიანი სასმელები, ალკოჰოლი, კოფეინი (ყავა), თამბაქო, მედიკამენტები, რომლებიც აქვეითებენ სპინქტერის ტონუსს, ანტიქოლინერგიული პრეპარატები, ანტიჰისტამინები, კალციუმის იონების არხების ბლოკატორები, პროგესტერონი. რეფლუქს-ეზოფაგიტის არადროულმა ან არასრულმა თერაპიამ შესაძლოა გამოიწვიოს მძიმე გართულებები, როგორცაა საყლაპავის პეპტიდური წყლული, ბარეტის დაავადება, ადენოკარცინომა [1,4].

გასტროეზოფაგური რეფლუქსი იწვევს კუჭის შიგთავსის საყლაპავში გადმოსვლას, რაც აზიანებს საყლაპავს რიგი გართულებებით. გერდ-ის სამკურნალოდ ყველაზე კარგ

შედეგს იძლევა პროტონული ტუმბოს ინჰიბიტორები, კერძოდ კი პრეპარატი ნექსიუმი (ეზომეპრაზოლი) [2].

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს პრობლემა აღენიშნება თითქმის ყველა ასაკის ადამიანს. გამომდინარე აღნიშნულიდან, გასტროენტეროლოგიურ პრაქტიკაში გამოყენებული სამკურნალო საშუალების, ნექსიუმის (ეზომეპრაზოლი) მარკეტინგული გამოკვლევა, მასზე მოქმედი ფარმაცევტული და სოციალური ფაქტორების შესწავლა წარმოადგენს თანამედროვე ფარმაციისა და მედიცინის აქტუალურ საკითხს.

კვლევის მიზანს წარმოადგენს პრეპარატ ნექსიუმის (ეზომეპრაზოლი) მარკეტინგული კვლევა. მიზნიდან გამომდინარე, საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

ა) მსოფლიოში არსებული მწვავე ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო, სპეციალური ელექტრონული კითხვარების შექმნა, ("GOOGLE DRIVE"-ის მეშვეობით), როგორც პაციენტებისთვის, აგრეთვე ფარმაცევტებისთვის. (პაციენტებისთვის სპეციალურად გამოყენებული იქნა მარტივი და გასაგები ტერმინოლოგია, რადგანაც არ წარმოქმნოდათ სირთულეები კვლევაში მონაწილეობის დროს. გასტროენტეროლოგიური რეფლუქსური დაავადება შეიცვალა: "გულძმარვით", "მომატებული მჟავიანობით" და "წვის შეგრძნებით").

ბ) მომხმარებლების მოთხოვნების განსაზღვრა გერდ-ის სამკურნალო პრეპარატების შერჩევისას;

გ) ფარმაცევტის როლი გერდ-ის სამკურნალო პრეპარატების შერჩევისას.

კვლევის საგანს წარმოადგენდა ნექსიუმის (ეზომეპრაზოლი) კვლევა, კერძოდ:

- რამდენად დიდ გავლენას ახდენს ცხოვრების წესი;
- რამდენად ხშირია პაციენტებში გერდ-ის სინპტომები;
- პაციენტების ასაკობრივი ჯგუფი;
- ნექსიუმის (ეზომეპრაზოლი) დანიშნუიანობა;
- ნექსიუმის (ეზომეპრაზოლი) ეფექტურობა სხვა პრეპარატებთან შედარებით;
- ნექსიუმის (ეზომეპრაზოლი) უსაფრთხოება;

კვლევის მეთოდები:

- "Google Drive"-ში შემუშავებული სპეციალური ელექტრონული კითხვარები, როგორც პაციენტებისთვის, აგრეთვე ფარმაცევტებისთვის.

შერჩეულ იქნა ანკეტური გამოკითხვის მეთოდი. შევარჩიეთ ორი ტიპის ანკეტა-კითხვარი, ერთი - ფარმაცევტებისთვის, რომ გაგვეგო :

- რამდენად ხშირად მიმართავენ პაციენტები ფარმაცევტს გერდის სამკურნალო პრეპარატების არჩევისას;
- რა სახის ჩივილების დროს ხდება პრეპარატი ნექსიუმის რეალიზაცია;
- რომელ ფაქტორებს ენიჭება უპირატესობა პრეპარატის არჩევის დროს.

მეორე ანკეტა-კითხვარი პაციენტებისათვის, რათა გაგვეგო:

- რამდენად ხშირად მიმართავენ პაციენტები თვითმკურნალობას;
- კმაყოფილია თუ არა პაციენტი ფარმაცევტის კომპეტენციით;
- იცნობენ თუ არა პრეპარატ ნექსიუმს;
- რა შედეგი აღენიშნებოდათ ნექსიუმის გამოყენებისას.

კვლევის შედეგები:

